ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

ხუთშაბათი, 14 ნოემბერი, 2013 №270 (6271) ფასი: 30 თეთრი

12 ნოემბრიდან!
„ახალი თაობა“
+
„საზღაური“
4 ლარი




# „ალმაშენებელზე თურქებსა და ირანელებს საროსკიპოები აქვთ გახსნილი“



გვ.2

## ნუგზარ წიკლაური: „მარგველაშვილი პუტინს მაგონებს“

ვინ აწეპირებინებს სტუდენტებს ივანიშვილის გამონათქვამებს გვ.4



## სააკაშვილი მარგველაშვილის ინაუგურაციას დაესწრება?! გვ.5

## სანდრო ბრეგაძე: „საპრეზიდენტო არჩევნებზე მნიშვნელოვანი თბილისის მერის არჩევნებია“ გვ.3





ყოფილი პატიმარი მისი საქმის ხელახალ შესწავლას ითხოვს

## ნორა კვიციანი: „მიპასუხოს სააკაშვილმა, რატომ ჩამსვა ციხეში!“ გვ.4

## გია მაისაშვილი: „საქართველოში ბიზანტიური პოლიტიკა დომინირებს“ გვ.5





## დავით სერგეენკო: „საქართველოში ექიმებს ავტორიტეტი აღარ აქვთ“ გვ.6

## ნოდარ ხადური: „საქართველოს ეკონომიკა შოკიდან გამოდის“ გვ.6





## ლევან ვასაძეს რაინდის წოდება მიანიჭეს გვ.7

ISSN 1987-9385

**7** ქვეყნის განვითარების საკითხში ემიგრანტები უნდა ჩაერთონ

**6** დარახველიძემ არ იცის, დარჩება თუ არა მინისტრთა კაბინეტის ახალ შემადგენლობაში

**2** არასრულწლოვნებზე სექსუალური ექსპლუატაციით და ძალადობით ჩადენილ დანაშაულებზე კანონი მკაცრდება

**11** პოლონეთის პრეზიდენტმა რუსეთს ბოდიში მოუხადა

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# ნანა კაკაბაძე: „ალმაშენებელზე თურქებსა და ირანელებს საროსკიპოები აქვთ გახსნილი“

**მინისტრთა კაბინეტის ფორმირების ეტაპზე არაერთი საუბრობს სასჯელაღსრულების მინისტრის შეცვლის აუცილებლობაზე. შეინარჩუნებს თუ არა სოზარ სუბარი მინისტრის პორტფელს, ამ ეტაპზე უცნობია, თუმცა მის მოღვაწეობაში მნიშვნელოვან ხარვეზებს ვერ ხედავს უფლებადამცველი ნანა კაკაბაძე. მისი თქმით, ყველაზე მძიმე სიტუაცია წინა ხელისუფლების დროს სასჯელაღსრულების სისტემაში იყო და ეს ერთი ხელის მოსმით ვერ შეიცვლებოდა. კაკაბაძის თქმით, პრობლემები არის მართვაშიც, მაგრამ უფლებადამცველი ცალსახად ვერ აფიქსირებს, რომ ვინმე სხვა უკეთესი მინისტრი იქნებოდა, ვიდრე სოზარ სუბარია.**

**„ყოფილი პატიმრების ადამიანის უფლებებისთვის“ ორგანიზაციის წარმომადგენელი აცხადებს, რომ დღეს ციხეებში პატიმრებს ადამიანურად ეპყრობიან, ბევრი რამ კეთდება და სუბარი არ არის უწარსულო პოლიტიკოსი, ანუ ისეთი უცხო სახე, როგორებიც დღეს მოდიან თანამდებობაზე.**

**გთავაზობთ ინტერვიუს ნანა კაკაბაძესთან.**



შორენა კოწოწაშვილი

***– ქალბატონო ნანა, ახალი მინისრტთა კაბინეტის ფორმირებაზე რა აზრის ხართ. რამდენად შეიცვლება ივანიშვილის მთავრობა და რა აზრის ხართ პრემიერის პოსტზე ირაკლი ღარიბაშვილის დანიშვნასთან დაკავშირებით? რას გამოკვეთს ღარიბაშვილის მთავრობა?***

– ძნელი სათქმელია. იმიტომ, რომ არასოდეს ასეთი ბუნდოვანი არ ყოფილა მომავალი, როგორც ახლა არის. მე ცუდს არ ვგულისხმობ, ვგულისხმობ გაუგებარ სიტუაციას. რაც შეეხება იმას, თუ რას ვგულისხმობ ამ გაუგებრობაში, გეტყვით: ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში დაინიშნენ ადამიანები, რომელთა შესახებ ან საერთოდ არ არსებობს ინფორმაცია, ან არის ძალიან მწირი. მაგალითად, ავიღოთ შს მინისტრი ან მთავარი პროკურორი. ამ ადამიანებზე კითხვის ნიშნები არსებობს და მეტი არაფერი. რაღაც გამოკვეთილი ინფორმაცია ამ უწყებების ახლად დანიშნულ პირველ პირებზე, არ არის, რაც თავისთავად ბადებს ეჭვებს, რომ ადამიანი, რომლის შესახებაც არავინ არაფერი იცის, როგორი ხელმძღვანელი იქნება?! მაგალითად, არჩილ კბილაშვილის მთავარ პროკურორად დანიშვნის შემთხვევაში, შეიძლება ის, როგორც პროკურორი, არავინ იცოდა, მაგრამ როგორც იურისტს და კარგ პროფესიონალს, მას მთელი საქართველო იცნობდა. ახლა კი საერთოდ სხვა რეალობის წინაშე დავდექით. მთავარ პროკურორად მოდის ადამიანი, რომელსაც არავინ იცნობს. ამიტომ, ბუნებრივია, სწორედ ასეთი საკადრო პოლიტიკა იწვევს გარკვეულწილად კითხვის ნიშნებს. რაც შეეხება მოქმედ პრემიერს ანუ ბიძინა ივანიშვილს, მისი წასვლა ჩემთვის აბსოლუტურად გაუგებარია, აუხსნელია წმინდა სახელმწიფოებრივი მიდგომებიდან გამომდინარე.

***– რატომ არის გაუგებარი?***

– იმიტომ, რომ როცა ადამიანი ხელისუფლებაში მოდიხარ, რაღაც ვალდებულებები გაქვს აღებული და საზოგადოებას შენთან დაკავშირებით გარკვეული მოლოდინი აქვს. ხოლო თუკი ეს ვალდებულებები და მოლოდინი არ არის შესრულებული და მანამდე მიდიხარ ასეთი მნიშვნელოვანი თანამდებობიდან, ესეც გარკვეულ კითხვებს აჩენს. ისე ჩანს, თითქოს ამ პოლიტიკის რაღაც ვალდებულებები შეასრულა და მეტი მის ვალდებულებებში არ შედიოდა და ამიტომ მიდის. საზოგადოებაში პრემიერის გადაწყვეტილება ასეთ შთაბეჭდილებას სტოვებს იმიტომ, რომ გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია. არადა, არავის, როგორც ბიძინა ივანიშვილს, შეეძლო ამის გაკეთება და ბოლომდე მიყვანა იმ პროცესისა, რასაც თუნდაც სამართლიანობის აღდგენა ჰქვია. კი, სააკაშვილი წავიდა ხელისუფლებიდან, მაგრამ საზოგადოებისთვის მარტო ეს არ იყო მთავარი მიზანი. მთავარი იყო სამართლიანობის აღდგენა. და აი, ამ პროცესის დაწყებამდე, როდესაც ის მიდის, გაუგებარია, როგორ შესრულდება საზოგადოების მთავარი მოთხოვნა. ირაკლი ღარიბაშვილის პოლიტიკური კარიერა, მართალია, ერთ წელს ითვლის და საზოგადოებაში მასზე დადებითი აზრია, მაგრამ პრემიერ-მინისტრობა და ის შესაძლებლობები, რაც მან ამ დროს უნდა გამოავლინოს, არ ვიცით, მას ამის გაკეთება როგორ შეუძლია. ჯერ ვერაფერს ვიტყვით, როგორი პრემიერი იქნება ირაკლი ღარიბაშვილი, თუმცა უდავოდ ნიჭიერი ადამიანია. ასეთ სიტუაციაში, თუკი შენ რაღაცის გაკეთება გინდა ქვეყნისთვის, ქვეყანას ამხელა პრობლემები აქვს ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებით, სამართლიანობის აღდგენასთან დაკავშირებით და ამ ყველაფერს რამდენად შეძლებს ღარიბაშვილი ამ ეტაპზე, პოლიტიკაში საკმაოდ გამოუცდელი ადამიანია, არ ვიცი, ვნახოთ. თვითონ ივანიშვილის წასვლა რომ არ იყო კარგი, ეს ფაქტია.

***– თქვენც ახსენეთ, ბევრი პრობლემაა მოუგვარებელიო. სუსტი სამთავრობო გუნდი ჰყავდა ბიძინა ივანიშვილს და ამიტომ ვერ მოხერხდა ბევრი წინასაარჩევნო დაპირების შესრულება?***

– ვხედავთ, რომ პირველი პირები იცვლებიან. ისე ჩანს, რომ მთელი ეს სისტემა ივანიშვილზე იყო აგებული, ეს ძალიან ცუდია. აქ უნდა წასულიყო სისტემური ცვლილებები, რომელიც პიროვნებაზე ორიენტირებული კი არ იქნებოდა, იქნებოდა კანონზე და სისტემაზე დაფუძნებული. ბიძინა ივანიშვილი პრემიერის პოსტიდან ისეთ დროს წავიდა, როდესაც მართვა ჯერ კიდევ ერთ პიროვნებაზე იყო აგებული. ბუნებრივია, ბევრმა მმართველმა ვერ გაუძლო ამ მომენტს, დაწერა განცხადება და წავიდა. ეს ფაქტია. აქედან გამომდინარე, მე ვფიქრობ, რომ ივანიშვილის წასვლა ძალიან ნაადრევი იყო. ამიტომ მისი დანიშნული მთავარი პროკურორი თუ მინისტრები ტოვებენ თანამდებობებს და ღარიბაშვილი ახალი გუნდით უნდა მოვიდეს.

***– კბილაშვილის წასვლას მთავარი პროკურორის პოსტიდან რას უკავშირებთ? ბევრი ფიქრობს, რომ ის გაწირეს, ანუ გუნდის ინტერესებს შეეწირა. ადვოკატთა ასოციაციის ხელმძღვანელი კი ფიქრობს, რომ ის აიძულეს თანამდებობა დაეტოვებინა.***

– მისი განცხადებიდანაც ეს ჩანს, რომ მას არ მიეცა საშუალება, რაღაც გარკვეული რეფორმების გატარებისა. თუ არჩილ კბილაშვილი ამიტომ წავიდა თანამდებობიდან, ეს ძალიან ცუდია.

***– რეალობას შეესაბამება ხმები, რომ ვიფიქროთ, არჩილ კბილაშვილს შიდა უწყებრივი პრობლემები ჰქონდა და ამიტომაც დატოვა თანამდებობა?***

– კი, ამის თაობაზე იყო ხმები. ეტყობა მართლაც იყო შიდა უწყებრივი პრობლემები და ამიტომაც წავიდა თანამდებობიდან. გამოდის, უსაფუძვლო არ იყო ხმები, რომლებიც ლაშა ნაცვლიშვილთან დაკავშირებით ვრცელდებოდა. ფაქტია, რომ ნაციონალების ინტერესების გათვალისწინება სერიოზულად ხდებოდა. როცა არჩილ კბილაშვილმა თქვა, რომ როდესაც არ გაკეთებინებენ რაც შენ გინდა, უნდა წახვიდე, ეს იმას ნიშნავს, რომ მას არ უნდოდა ის, რაც პროკურატურაში ხდებოდა. როგორც ჩანს, კბილაშვილს რაღაცნაირად ბლოკავდნენ, ყოველ შემთხვევაში, მე მისი განცხადება ასე გავიგე, რომ ის ამიტომ წავიდა. ამ ყველაფერს მოკლე ხანში დავინახავთ. მაგრამ მთავარი ის არის, საზოგადოებას რამდენად ექნება ბერკეტი ამის გამოსწორებისა. ჯერ იყო და ნაციონალური მოძრაობის დროს ერთპარტიული მმართველობა იყო. ახლა მკაფიოდ ორპარტიული მმართველობა შემოიტანეს. ერთი ნაწილი მმართველობისა დაუტოვეს იმ კრიმინალურ ძალას, რომელსაც ნაციონალური მოძრაობა ჰქვია და ნომერ პირველ ოპოზიციად აქციეს, რითაც ფაქტობრივად ყველა დანარჩენ ოპოზიციას, მათ შორის ჯანსაღ ოპოზიციას და მართლაც რეალურ ოპოზიციას გადაუკეტეს გზები; და მეორე, რჩება ქართული ოცნება – ძალიან ეკლექტური შემადგენლობის კოალიცია, რომელიც მთელი თავისი ერთწლიანი მოღვაწეობის შედეგად ქმედუუნარობით უფრო გამოირჩეოდა, ვიდრე ქმედუნარიანობით. როგორც გითხარით, ხელისუფლებაში რჩება ეს ორი ძალა, აქედან გამომდინარე, საფრთხეც რჩება, ანუ დაბრუნდება თუ არა ნაცმოძრაობა ხელისუფლებაში, ანუ მართვის ის სტილი შეიძლება დაბრუნდეს. იმიტომ, რომ ყველგან, ქვედა ეშელონებში ფაქტობრივად შენარჩუნებული არიან ნაციონალების კადრები, ე.წ. ,,პროფესიონალები“, რეალურად კი კრიმინალები, რომლებიც დანაშაულს სჩადიოდნენ. აქ ვგულისხმობ იგივე პროკურორებს, მოსამართლეებს, შს თანამშრომლებს და სხვა უწყებების წარმომადგენლებს. ნაციონალები ამბობდნენ, ჩვენ ერთი გუნდი ვართო, მათ კრიმინალი აერთიანებდა. ეს ადამიანები დარჩნენ თანამდებობებზე. მართვის სადავეებს რეალურად რამდენიმე სახე ჩამოშორდა. ვხედავთ, რომ ძალაუფლება გაიყვეს ამ აქტიურმა ბოროტმოქმედებმა ნაცმოძრაობის სახით და ქმედუუნარო „ქართულმა ოცნებამ“. დანარჩენ პოლიტიკურ ძალებს, ფაქტობრივად, პოლიტიკური არენა მოუსპეს. როდის მოძლიერდება არასაპარლამენტო ოპოზიცია და როდის შეიქმნება მათგან ძლიერი ოპოზიცია, ძნელი სათქმელია. ყოველ შემთხვევაში რეალობა კარგი პროგნოზის გაკეთების საშუალებას არ იძლევა.

***– სამართლიანობის აღგენის თემას დავუბრუნდეთ. შიდა სახელისუფლო დაპირისპირების შედეგია, რომ ამ კუთხით სერიოზული ნაბიჯები არ გადაიდგა?***

– ეს შიდა სახელისუფლო დაპირისპირების კი არა, დასავლეთის ზეწოლის შედეგია. თუნდაც შიგნით ის ძალები, რომლებიც თვლიდნენ, რომ უნდა ყოფილიყვნენ მონურ მორჩილებაში დასავლეთთან და იმ შემთხვევაში, როდესაც თვითონაც კარგად იცოდნენ, რა კრიმინალურ ძალასთან ჰქონდათ საქმე, მიუხედავად ამისა, დასავლეთის დაკვეთის შესრულება არჩიეს, ვიდრე ქართველი ხალხის.

***– რიგითი მოქალაქეები აღნიშნავენ, რომ სწორედ ამის შედეგია საპრეზიდენტო არჩევნებზე ნაკლები აქტივობა.***

– კი, ნაკლები აქტივობა იყო. 3,5 მილიონი ადამიანიდან 2 მილიონზე მეტმა მონაწილეობა არ მიიღო, რაც პირდაპირი მნიშვნელობით ბოიკოტს ნიშნავს. იქედან მოსული 62%, ანუ ამომრჩეველთა 17% -ითაც არ არის არჩეული დღევანდელი პრეზიდენტი ანუ გიორგი მარგველაშვილის ლეგიტიმაცია საკმაოდ დაბალია.

***– არაერთი დევნილი პოლიტიკური ნიშნით, მათ შორის ბიზნესწრეებიდან, საუბრობს, რომ თუ მასთან მიმართებაში სამართლიანობა არ იქნა აღდგენილი და არ დაისჯებიან პროკურორი, მოსამართლე და გამომძიებელი, ის სამართალს თვითონ აღადგენს. ფიქრობთ, რომ ადამიანები თავად დაიწყებენ სამართლის აღსრულებას?***

– ასეთი განცხადებები: ჩვენ თვითონ აღვადგინოთ სამართლიანობა, რადგან ხელისუფლება ამას არ აკეთებს, ეს უკვე გამოჩნდა. პრეზიდენტის ინაუგურაციამდე ხალხი თავს იკავებს, თუმცა ამის პრეცედენტი უკვე რამდენჯერმე იყო. ვფიქრობ, რეალურად თუ ხელისუფლება ამ კუთხით ნაბიჯებს არ გადადგამს, ელემენტარულად აფექტის საკითხებია, რომლისგანაც დაცული არავინაა. როგორ ფიქრობთ, ადამიანს ქუჩაში რომ შეხვდება კაცი, რომელიც ციხეში პატიმრებს აუპატიურებდა, აწამებდა, მის ოჯახის წევრზე ძალადობა, იყენებდა ათას სიბინძურეს, როცა ასეთი ადამიანი ქუჩაში შეგხვდება, როგორ ფიქრობთ, გამორიცხულია ანგარიშსწორების მომენტი? ეს ხალხი არ დასჯილა, მათზე სისხლის სამართლის საქმეებიც არ არის აღძრული, ზოგიერთი სამსახურსაც ინარჩუნებს, ხომ ხედავთ, ჩხიტუნიძის ესქსტრადირებაც აღარ ხდება საქართველოში. არ ვიცი, მიზანმიმართულად უსუსური იყო გამოძიება, თუ სუსტი. და რაც მთავარია, ქვეყანაში არ შეიქმნა იმის იმიჯი, რომ ეს ძალა, რომელსაც ჩხიტუნიძე წარმოადგენდა, იყო დამნაშავე ძალა. შეფასება არ მომხდარა ნაციონალური მოძრაობის 9-წლიანი მოღვაწეობისა. ნებისმიერმა ქვეყანამ უნდა იცოდეს, როცა პირის დაკავება ხდება, რა შეფასება მისცა პარლამენტმა წინა ხელისუფლების 9-წლიან პერიოდს. დასავლეთს არ აწყობს, დაისაჯონ ნაცმოძრაობის ის წარმომადგენლები, რომლებსაც მათთან ბინძურ გარიგებებში ჰქონდათ კავშირი. დღეს, როგორც არასდროს, საქართველოს სჭირდება ეროვნული ინტერესების გამტარებელი ხელისუფლება.

***– ქალბატონო ნანა, თქვენ ეროვნული მოძრაობიდან დაწყებული საკმაოდ აქტიურად იყავით ჩართული პოლიტიკაში. შეგიძლიათ თქვათ, რომ დღეს სახელმწიფოებრივ ინტერესებს ეროვნული ძალების გააქტიურება სჭირდება?***

– კი, რა თქმა უნდა. ქვეყნის ინტერესები, რომელსაც ეროვნული ინტერესები ჰქვია, მათი დაკმაყოფილების სერიოზული პრობლემაა. საქართველოში ყველა ძალის ინტერესების გათვალისწინება ხდება – დასავლეთის, ჩრდილოეთის. ერთადერთი, რისი გათვალისწინებაც არ ხდება, ეს არის ეროვნული ინტერესები. არ ვიცი, ეროვნული ძალების წარმომადგენლები რამდენად შეძლებენ გააქტიურებას და რამდენად იქნება შესაძლებელი ქართულ სახელმწიფოზე ორიენტირებული ძალების პოლიტიკაში გაძლიერება, ამის ნიშნები ჯერ არ ჩანს, მაგრამ ამის აუცილებლობა და მოთხოვნილება, რა თქმა უნდა, არსებობს. მარტო ალმაშენებლის ქუჩა რომ აიღოთ, ნახავთ, რომ აქ გათვალისწინებულია თურქების, ირანელების ინტერესები. გახსნილია საროსკიპოები, სადაც ქართველ მამაკაცებს არ უშვებენ და კაცმა არ იცის, ქალები იქ რა დღეში ჰყავთ. არანაირი საკანონმდებლო რეგულაციები არ არსებობს იმ მიმართულებით, რომ ქვეყანა არ გაიხრწნას. პირველ ადგილზე მხოლოდ ბიზნესინტერესები არ უნდა იდგეს. რისი წახალისება ხდება, ჩემთვის გაუგებარია. ავიღოთ თუნდაც პრეზიდენტ სააკაშვილის პოლიტიკა, რომელიც ყველას აძლევს მოქალაქეობას, ვინც მიმართავს. კაცმა არ იცის, ამ ქვეყანაში რა კატეგორიის ადამიანები შემოედინებიან. ამ დროს არსად ჩანს ძალა, რომელსაც ეროვნული და სახელმწიფოებრივი ინტერესები აქვს და ამაზე ხმას ამოიღებს. ამ ტენდენციას პარლამენტიდან ძალიან სწრაფი საკანონმდებლო რეაგირება უნდა მოჰყვეს და მკაცრი ტონი, რომ ეს ყველაფერი შეჩერდეს.

## არასრულწლოვნებზე სექსუალური ექსპლუატაციით და ძალადობით ჩადენილ დანაშაულებზე კანონი მკაცრდება

არასრულწლოვნებზე სექსუალური ექსპლუატაციით და ძალადობით ჩადენილ დანაშაულებზე კანონმდებლობა მკაცრდება. აქედან გამომდინარე, „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში“ ცვლილებები შედის. ამის შესახებ გუშინ იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე იმსჯელეს.

კანონპროექტი იურიდიულ საკითხთა კომიტეტის წევრებს იუსტიციის მინისტრის მოადგილემ ალექსანდრე ბარამიძემ გააცნო. მისი ინფორმაციით, კანონპროექტის მომზადება ევროპის საბჭოს მიერ 2007 წლის 25 ოქტომბერს მიღებულ „სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისგან ბავშვთა დაცვის შესახებ“ კონვენციამ განაპირობა, რომელზეც საქართველოს სახელმწიფომ ხელი 2009 წლის მარტში მოაწერა.

ალექსანდრე ბარამიძის განცხადებით, ევროპის საბჭოს კონვენციის შესაბამისად, ცვლილებები შედის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 253-ე და 2551 მუხლებშიც, ამასთან ერთად აღნიშნული ცვლილებებიდან გამომდინარე რამდენიმე სხვადასხვა მოქმედი კანონიც იცვლება.

ნიუსპრესი

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# სანდრო ბრეგაძე: „საპრეზიდენტო არჩევნებზე მნიშვნელოვანი თბილისის მერის არჩევნებია“

ნონა ცაბაძე

### ინტერვიუ მოძრაობა „ეროვნულების“ ლიდერ სანდრო ბრეგაძესთან

*— ბატონო სანდრო, როგორია თქვენი დამოკიდებულება ბოლო პერიოდში განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებთან დაკავშირებით?*

— დამოკიდებულების გაცხადება ჯერჯერობით ნაადრევია, იმიტომ, რომ პოლიტიკური პროცესები, ფაქტიურად ახალ ფაზაში გადავიდა. ბანალური ვიქნები და ვიტყვი, რომ მას შემდეგ, რაც პრეზიდენტის არჩევნები შედგა, ახალი პრემიერ-მინისტრის კანდიდატურა დასახელდა, გარკვეული ცვლილებები მოხდა აღმასრულებელ ხელისუფლებაში, რა თქმა უნდა, ბევრი რამ შეიცვალა. ახლა მთავარია, საითკენ შეიცვალა, კარგისკენ თუ ცუდისკენ?

*— თქვენ როგორ ფიქრობთ?*

— ზუსტად ამაზე მაქვს საუბარი, რომ ჯერჯერობით ნაადრევი დასკვნების გამოტანა არ მინდა. მე განვაცხადე კიდევაც, სანამ ბატონი ივანიშვილი საპრეზიდენტო კანდიდატურას დაასახელებდა, რომ მინისტრთა კაბინეტიდან და ახლაც განვმეორდები, მისი მინისტრთა კაბინეტიდან, ყველაზე ღირსეული კანდიდატურა პრემიერ-მინისტრის პოსტზე იყო ირაკლი ღარიბაშვილი. ეს განვაცხადე დაახლოებით ორი კვირით ადრე, ვიდრე მისი კანდიდატურა დასახელდებოდა. ეს ასეც არის, რადგან ღარიბაშვილი ყველაზე კრეატიული, ყველაზე თანამედროვე, ყველაზე ეროვნულად მოაზროვნე მინისტრია მინისტრთა კაბინეტში. ერთადერთი პიროვნებაა, რომელსაც შეუძლია, რომ სიტუაცია მართოს ქვეყანაში, იმ ძალიან ცუდ ფონზე, რომელი ცუდი ფონიც ნაციონალური მოძრაობის მეორე ადგილზე გასვლამ დატოვა საპრეზიდენტო არჩევნების შემდგომ. აქედან გამომდინარე, ღარიბაშვილი ღირსეული კანდიდატურაა, ხოლო დანარჩენი მისი ნაბიჯები, ეს უკვე მასზე იქნება დამოკიდებული. ღარიბაშვილს შეუძლია იყოს ყველაზე წარმატებული პრემიერ-მინისტრი, ღარიბაშვილს შეუძლია იყოს ასევე წარუმატებელი პრემიერ-მინისტრი. ეს მის ნაბიჯებზე იქნება დამოკიდებული. მე არა ვარ მომხრე, ძალიან მაღიზიანებს და ანგაჟირებულად მიმაჩნია იმ ადამიანების პოზიცია, რომლებიც კაბინეტში ჯერ კიდევ არ შესულ პრემიერს კრიტიკის ქარ-ცეცხლში ატარებენ. ღარიბაშვილი ნამდვილად არ იმსახურებს ამ კრიტიკას და ლანძღვას. ასევე ძალიან მაღიზიანებს კარიერისტების, საშოვარზე გამოსული მოპოლიტიკოსო და მოჟურნალისტო ელემენტების დითირამბები და ქება-დიდება, რომლითაც ისინი გარდაუვალი რენესანსის დაწყებას გვაუწყებენ საქართველოში. ერთი პოზიციაც გადამეტებულია და მეორეც. ჩვენ უნდა შევხედოთ ახალ ხელისუფლებას ისე, როგორც უყურებენ ევროპული ცივილიზაციის ქვეყნებში. მოდით, ჩვენ ახალ მთავრობას, როგორც მესიას, ისე ნუ შევხედავთ, ეს არის პოლიტიკური პროცესი. დანარჩენი, თუ რა იქნება, ეს უნდა გამოჩნდეს. ამ მთავრობის მოღვაწეობა არ იქნება ია-ვარდით მოფენილი და ადვილი. ეს იქნება საკმაოდ რთული და წინააღმდეგობით აღსავსე პროცესი. როგორ გაართმევს ამ ყველაფერს ღარიბაშვილი თავს, ეს უკვე დროის ამბავია.

*— საუბარია იმის თაობაზე, რომ ღარიბაშვილს შიგნითვე ჰყავს მოწინააღმდეგეები. თქვენ რამდენად იზიარებთ ამ მოსაზრებას?*

— მე რომ ვთქვა არ ჰყავს-მეთქი და დავფარო ეს ისე, როგორც ზოგიერთი ფარავს, რა თქმა უნდა, ეს არ იქნება სწორი. რა თქმა უნდა, გუნდში, ღარიბაშვილის პრემიერმინისტრობით საკმაოდ ბევრი ადამიანი გაღიზიანებულია. ახლა მე არ დავიწყებ მათ ჩამოთვლას, საზოგადოება ამას ისედაც ხვდება და კარგად იცის. აქ ეს არ არის მთავარი, მთავარია ის, თუ როგორ აქცენტებს გააკეთებს ღარიბაშვილი, როგორ ხალხზე გააკეთებს ის აქცენტს და როგორ პოლიტიკას გაატარებს. სწორედ საკადრო პოლიტიკაა გადამწყვეტი. საკადრო პოლიტიკა და პიროვნებები ქმნიან იმ პოლიტიკურ კურსს, რომელი პოლიტიკური კურსითაც ქვეყანა უნდა წავიდეს. ამიტომ მე ფრთხილი ვარ შეფასებებში, იმედით ვარ აღსავსე, ვიცნობ რა ღარიბაშვილს და ვიცი რა მისი ძალიან ბევრი დადებითი თვისება, მაინც ფრთხილი ვიქნები შეფასებებში. არ მინდა წინასწარ ისეთი რამ ვთქვა, რაც ობიექტურ საფუძვლებზე არ იქნება დამყარებული. რაც შეეხება წინააღმდეგობებს, ფაქტია, რომ კოალიცია დიდხანს ვერ გასტანს. იმდენად ჭრელია, რომ ამას უნდა ველოდეთ. კოალიცია იყო ივანიშვილის მიერ შექმნილი ორგანო, რომელიც საკმაოდ ჭრელია თავისი იდეოლოგიური წარსულით, აწმყოთი და მომავლით. ამიტომ კოალიცია, რა თქმა უნდა, დაიშლება, ყველა თავის გზას იპოვის და ამ დაშლის პროცესშიც არ უნდა მოხდეს ისეთი კატაკლიზმები, რომელმაც ცუდი შედეგები შეიძლება გამოიღოს. მე კიდევ გავიმეორებ, ნაციონალური მოძრაობის მეორე ადგილი, ეს ნიშნავს მუდმივ ნაღმს, რომელიც არის ქართულ პოლიტიკურ სივრცეში ჩადებული, რომელიც როდის აფეთქდება, კაციშვილმა არ იცის.

*— კულუარულად საუბრობდნენ იმის თაობაზე, რომ თითქოს რესპუბლიკელები უპირისპირდებიან ღარიბაშვილსო, თუმცა ხიდაშელი აცხადებს, რომ ღარიბაშვილი ივანიშვილზე ეფექტური პრემიერ-მინისტრი იქნებაო... ეს როგორ გავიგოთ?*

— რა გითხრათ.. არსებობს ასეთი გამოთქმა, გეშინოდეთ იმ ხალხის, რომლებიც გაძაგებენ, მაგრამ კიდევ უფრო გეშინოდეს იმ ადამიანების, რომლებიც არაგულწრფელად გაქებენო. მე არ ვიცი, ეს გამოთქმა მიესადაგება თუ არა თინა ხიდაშელს, მაგრამ კარგია, თუკი ხიდაშელი ფიქრობს, რომ ღარიბაშვილი იქნება ძალიან კარგი პრემიერ-მინისტრი. რაც შეეხება მათ მომავალ ურთიერთობებს, ეს თავად რესპუბლიკური პარტიის გადასაწყვეტია. თუმცაღა მე არ ვფიქრობ, რომ რესპუბლიკელები ბოლომდე დარჩებიან კოალიციაში. ისინი ალბათ არ დარჩებიან კოალიციაში.

*— რაც შეეხება ნაციონალურ მოძრაობას, სააკაშვილის პრეზიდენტობა დღეებს და საათებს ითვლის და ამის ფონზე აქტიურად გვესმის განცხადებები როგორც ქვეყნის შიგნიდან, ისე გარედან, რომ ის არ უნდა დაკითხონ და არ უნდა დაიჭირონ. ზოგიერთმა ისიც თქვა, რომ მეორე კლასში ვართ და თუ არ დავიჭერთ, მეოთხეში ვიქნებით დემოკრატიის კუთხითო...*

— საქართველოში საკმაოდ ბევრნი არიან გენიოსის მანტიას ამოფარებული ბრიყვები, რომლებიც ცდილობენ, ყველაფერში თავიანთი უპრეცედენტო განათლება წარმოაჩინონ და სინამდვილეში მათი უკიდეგანო განათლებულობის უკან, ცარიელი სივრცე, ანუ ფუღუროა. დღეს სისულელეა იმის გაცხადება, რომ სააკაშვილის დაჭერა-არდაჭერაზეა დამოკიდებული საქართველოს მომავალი განვითარება. ყველა ის ადამიანი, რომელიც სააკაშვილის დაპატიმრება-არდაპატიმრების საკითხს პოლიტიკურად უდგება, მე ვფიქრობ, რომ საკმაოდ შორს არის დემოკრატიისგან და სამართლებრივი სახელმწიფოსგან. პოლიტიკოსების გადასაწყვეტი ნამდვილად არ არის ვინმეს დაჭერა ან გაშვება. ეს არის სამართალდამცავი ორგანოების და პროკურატურის და სასამართლოს პრეროგატივა. აქედან გამომდინარე, სააკაშვილს თუ აქვს დანაშაულობები ჩადენილი საქართველოს მოსახლეობის წინაშე და მე ვთვლი, რომ მას აქვს ეს დანაშაულობები ჩადენილი, ამას მე ვთვლი და არა პროკურატურა და სასამართლო, ის, რა თქმა უნდა, უნდა წარდგეს მართლმსაჯულების წინაშე. ეს არ უნდა გადაწყვიტოს რომელიმე პოლიტიკოსმა. თუ პოლიტიკურ კონტრაქტს დავდებთ დასავლეთის რომელიმე სახელმწიფოსთან ან რომელიმე პოლიტიკოსთან, რომ ჩვენ სააკაშვილს არ დავიჭერთ და შენ ეს გააკეთე, ეს უკვე პრეცედენტი იქნება იმისა, რომ ხვალ, ზეგ, მაზეგ იგივე განმეორდება სხვადასხვა პოლიტიკოსებთან დაკავშირებით. მე ვფიქრობ, რომ სამართლებრივად დანაშაულია კულუარულად პოლიტიკური კონტრაქტების დადება საერთაშორისო დონეზე, იმასთან დაკავშირებით, რომ სააკაშვილი უნდა დავიჭიროთ თუ უნდა გავუშვათ.



**მე ვფიქრობ, სააკაშვილი დამნაშავეა, მაგრამ არ მოვუწოდებ პროკურატურას, რომ მან დაუყოვნებლივ აიღოს სანქცია და დააპატიმროს იგი**

*— კითხვებიც კი არ დაუსვათო...*

— ეს არის სამართალდამცავი ორგანოების გადასაწყვეტი და სხვისი არავისი! მე ვფიქრობ, სააკაშვილი დამნაშავეა, მაგრამ მე არ მოვუწოდებ პროკურატურას, რომ მან დაუყოვნებლივ აიღოს სანქცია და დააპატიმროს სააკაშვილი. ეს ყველაფერი სამართლებრივი კუთხით უნდა წავიდეს და თუ ასე მოხდება, ლოგიკურად დასრულდება ეს პროცესი. რას ნიშნავს, კითხვებიც არ დავუსვათ, მაშინ ცალკე სამართლებრივი აქტია ამასთან დაკავშირებით მისაღები, რომ ყველა ქვეყნის პირველ პირს, რაც არ უნდა გააკეთოს, პასუხი არაფერზე არ უნდა მოეთხოვოს. თუკი ჩვენ ასე მოვიქცევით და კითხვასაც არ დავუსვამთ სააკაშვილს, ეს იქნება ძალიან ცუდი პრეცედენტის გაგრძელება, შევარდნაძის პრეცედენტის, როდესაც ადამიანმა, რომელმაც ამოაგდო საქართველო და კორუფციის ჭაობში ჩაძირა, ერთი კითხვაც კი არ დაუსვეს თავისი დანაშაულებრივი საქმიანობის შესახებ. სწორედ მისმა არგასამართლებამ გამოიწვია პრეზიდენტის ისეთი მახინჯი ფორმა, როგორიც სააკაშვილი იყო. ის ფიქრობდა, შევარდნაძეს ამდენი რამ ეპატია და მე რა, არ მაპატიებენო? ახლა თუ სააკაშვილსაც ეპატია, მომავალი პრეზიდენტებიც ანალოგიურად იფიქრებენ, რომ იმუნიტეტი მიცავს და რასაც მინდა, იმას გავაკეთებ. ჩემი აზრით, ეს პრეცედენტი იქნება ძალიან ცუდის მანიშნებელი. ჩვენ ერთ რამეს უნდა მივეჩვიოთ, დაარღვევს კანონს პრეზიდენტი? მან უნდა აგოს პასუხი. დაარღვევს კანონს მენაგვე, მან უნდა აგოს პასუხი. განსხვავება მენაგვესა და პრეზიდენტს შორის არ უნდა იყოს ამ შემთხვევაში, ჩვენ თუ ევროპულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბება გვინდა, თუ ჩვენ ფარულ გარიგებებს დავიწყებთ ზოგიერთ სახელმწიფოსთან, მაშინ ეს აღარ არის სამართლებრივი სახელმწიფო, ეს უფრო ბანანის რესპუბლიკებს ემსგავსება. ის ადამიანები, რომლებიც დიდ ინტელექტუალებად მიიჩნევენ საკუთარ თავს, ცოტა უნდა დაფიქრდნენ საკუთარ გამონათქვამებზე და მიხვდებიან, რომ მათი განცხადებები ძირშივე არასწორია. თუ არ არის ეს ვინმეს პირადი ინტერესი, რომ სააკაშვილი გადაარჩინოს. რადგან არიან ადამიანები, რომლებსაც ამოძრავებთ ფარული, პლატონური სიყვარული სააკაშვილის მიმართ, რომელ პლატონურ სიყვარულსაც დღემდე ვერ ამჟღავნებდნენ და როდესაც სააკაშვილს ძალიან გაუჭირდა, მაშინ დაიწყეს ამის გამომჟღავნება.

*— რადგან სააკაშვილზე ვსაუბრობთ, აქვე მის პარიზულ ვოიაჟზე გკითხავთ, უამრავი ვერსია გაჩნდა, საუბარია, რომ თითქოს კეზერაშვილი იარაღის უკანონო ბიზნესის გამოა დაკავებული და ამ ბიზნესში სააკაშვილი და მისი ბიძა თემურ ალასანიაც იყო ჩართულიო... რამდენად რეალურად გეჩვენებათ ეს ინფორმაცია და რისი თქმა შეგიძლიათ ამის თაობაზე?*

— მე გახლდით თავის დროზე პარლამენტის დეპუტატი და საკმაოდ ბევრ ინფორმაციაზე მიმიწვდებოდა და დღესაც მიმიწვდება ხელი. დიახ, მე დავადასტურებ იმას, რომ საქართველოში სააკაშვილის და შევარდნაძის მმართველობის დროსაც, მიმდინარეობდა იარაღით ვაჭრობა და ნარკოტიკების ტრანზიტი საკმაოდ დიდი რაოდენობით და ეს არ არის რაღაც ეფემერული და გამოგონილი ამბავი. ეს ასე არის და ყველამ ძალიან კარგად იცის, რომ ეს ბინძური ბიზნესი საქართველოში ყვაოდა. ახლა რამდენად არის ფრანგული სამართალდამცავი ორგანოები ამით დაინტერესებული, მე ეს არ ვიცი, არა მაქვს ამის შესახებ ინფორმაცია, მაგრამ ლოგიკურია, ეს ასე იყოს. თუკი ეს დადასტურდა, მე დამაინტერესებს იმ ადამიანების პოზიცია, რომლებიც სააკაშვილს როგორც ფარი, ისე არიან გადაფარებული და იძახიან, რომ მას კითხვებიც არ უნდა დავუსვათ. მე დარწმუნებით შემიძლია გითხრათ, რომ ფრანგული სამართალდამცავები იმდენად პროფესიონალები არიან, რომ ისინი თავიდან ბოლომდე გამოიკვლევენ ამ საქმეს და ლოგიკურ დასკვნასაც დადებენ.

*— შევცვალოთ საუბრის თემა და მოახლოებულ ადგილობრივ არჩევნებზე გკითხავთ, რომელიც წინ გველოდება. თქვენი აზრით, რამდენად სერიოზულია ეს არჩევნები ქვეყნისთვის და რას უნდა ველოდოთ? რა სურათი დაიდება?*

— პირდაპირ შემიძლია განვაცხადო, რომ საპრეზიდენტო არჩევნებზე ბევრად მნიშვნელოვანია თბილისის მერის არჩევნები. რა თქმა უნდა, სხვა ქალაქებისაც, მაგრამ თბილისის განსაკუთრებით. ეს იქნება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი არჩევნები პირველი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდგომ. ვფიქრობ, რომ მანამდე პოლიტიკურ ძალთა ბალანსი აბსოლუტურად სხვა იქნება. ბევრად უფრო ჭრელი და ძლიერი იქნება სხვადასხვა პოლიტიკური ცენტრი საქართველოში, ვიდრე დღეს ეს არის. ამავე დროს ძალიან ცუდია, რომ ხელოვნურად შენარჩუნებული ნაციონალური მოძრაობა კვლავ იქნება პოლიტიკურ ასპარეზზე და კვლავ იქნება იმის საფრთხე, რომ ქვეყანაში არეულობა და კატაკლიზმები იყოს. სწორედ ამაზე უნდა იყოს კონცენტრირებული ახალი ხელისუფლება, რომ ეს არ მოხდეს. ახალი ხელისუფლების საკადრო პოლიტიკაზეა დამოკიდებული საქართველოს მომავალი განვითარება. ასევე ამაზეა დამოკიდებული ადგილობრივი არჩევნებიც. ადგილობრივ არჩევნებს სჭირდება პოლიტიკოსთა ნება, რათა ის ჩატარდეს დემოკრატიულ ვითარებაში და დასრულდეს იმ შედეგით, რომელიც საქართველოს და მის მოსახლეობას სურს. ადგილობრივი არჩევნების წინ საკმაოდ ბევრი რამ შეიცვლება, ბევრი გადანაწილება მოხდება. პირდაპირ გეტყვით, მე რამდენადაც ვიცი, კოალიციიდან დამოუკიდებლად მონაწილეობას მიიღებს სერიოზული კანდიდატი თბილისის მერის პოსტზე. ოღონდ არა ქართული ოცნებიდან, უბრალოდ კოალიციის ერთ-ერთი ლიდერი იქნება კანდიდატურა თბილისის მერის პოსტზე, რომელიც დაუპირისპირდება კოალიციის კანდიდატს. თუ ვინ არის, ამას წინასწარ არ ვიტყვი, მაგრამ ჩემი სიტყვა დაიმახსოვრეთ, ეს ასე იქნება და ეს იქნება საკმაოდ რთული არჩევნები ყველასთვის.

*— ყველაზე ხშირად ალასანიაზე საუბრობენ, მას სურს მერობაო და თქვენც მას ხომ არ გულისხმობთ?*

— მე წინასწარ არავისზე არაფერს არ ვიტყვი. ჩემი განცხადება გარკვეულ ინფორმაციაზეა დაყრდნობილი, მაგრამ კონკრეტიკისაგან ამ ეტაპზე თავს შევიკავებ. დღეს ჩემს თავს არ მივცემ იმის უფლებას, რომ ამ კანდიდატის გვარი ხმამაღლა განვაცხადო. ერთი დაიმახსოვრეთ, რომ აუცილებლად იქნება ასეთი კანდიდატურა და ის საკმაოდ სერიოზული და ძლიერი კანდიდატურა იქნება, რაზეც სერიოზული დაფიქრება მოუწევს ხელისუფლებას.

*— საუბრის ბოლოს ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებზე გკითხავთ, როგორ ფიქრობთ, ამ თემამ ჩაიარა? თუ კვლავ დადგება დღის წესრიგში ეს საკითხი?*

— ეს საკითხი დადგება და ვადამდელი საპარლამენტო არჩევნებიც აუცილებლად იქნება. ეს იქნება ადგილობრივ არჩევნებამდე, თუ ადგილობრივი არჩევნების შემდგომ არ ვიცი, მაგრამ ის აუცილებლად იქნება. იმიტომ, რომ ანომალიაა, როდესაც ხუთპროცენტიანი პარტია, საქართველოს პარლამენტში ფლობს 40%-ს მანდატებისას. ეს აუცილებლად იქნება საქართველოს მოსახლეობის მოთხოვნა. სხვათა შორის ირაკლი ღარიბაშვილის მთავრობის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაც სწორედ ეს იქნება. ვადამდელი არჩევნები აუცილებლად უნდა ჩატარდეს და მან ერთხელ და სამუდამოდ ბეჭედი უნდა დაუსვას იმ პოლიტიკურ ძალთა ბალანსს, რომელი პოლიტიკური ბალანსი და რეალობაც არსებობს.

## ირაკლი ღარიბაშვილი საფრანგეთის ევროპული საქმეების მინისტრს შეხვდა



საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი საფრანგეთის რესპუბლიკაში ოფიციალური ვიზიტით იმყოფება. საქართველოს ევროპული ინტეგრაციის პერსპექტივების შესახებ ინფორმაციის გაცვლის მიზნით, ირაკლი ღარიბაშვილი ევროპული საქმეების მინისტრ ტიერი რეპენტინს შეხვდა. შეხვედრაზე მინისტრებმა საქართველოსა და ევროკავშირს შორის არსებული თანამშრომლობის ჩარჩოებით აღებული ვალდებულებების შესრულება და სამომავლო გეგმები განიხილეს. ასევე, საუბარი შეეხო ვილნიუსის სამიტის მნიშვნელობას და საქართველოს ევროინტეგრაციის საკითხებს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, გარდა ამისა, ღარიბაშვილმა ფრანგ კოლეგებს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული ვითარება გააცნო. ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი გუშინ ფრანგ კოლეგას საფრანგეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრ მანუელ ვალსს შეხვდა. მინისტრებმა საფრანგეთსა და საქართველოს შორის ცირკულარული მიგრაციის შესახებ ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს. აღნიშნული ხელშეკრულება ხელს შეუწყობს ლეგალურ მიგრაციას და საფრანგეთში საქართველოს მოქალაქეების დასაქმების დამატებით შესაძლებლობებს უზრუნველყოფას.

ნიუსპრესი

# ნორა კვიციანი: „მიპასუხოს სააკაშვილმა, რატომ ჩამსვა ციხეში!“

შორენა მარსაგიშვილი

**ნორა კვიციანი პატიმრობიდან უკვე ერთ წელზე მეტია, რაც გათავისუფლებულია და ყოფილი პოლიტპატიმარი სამართლიანობის აღდგენას ითხოვს. არაერთი მიმართვის მიუხედავად, საოცნებო პარლამენტმა ის პოლიტპატიმრად არ შერაცხა. მის მიმართ დეპუტატებს არავითარი პრეტენზიები არ აქვთ, ნორა კვიციანი მხოლოდ იმიტომ „დაისაჯა“, რომ ციხიდან ვადამდე გათავისუფლდა.**

მას სააკაშვილის ხელისუფლებისთვის შეწყალება არ უთხოვია და არც ბრალი ულიარებია. საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ პოლიტპატიმრად აღიარებულს რამდენიმე თვეღა ჰქონდა დარჩენილი სასჯელის ვადის ამოწურვამდე. ის ახალმა ხელისუფლებამ ლამის ძალით გამოიყვანა საპყრობილიდან.

ამ ამბიდან ძალიან მალე პარლამენტში შეიქმნა კომისია, რომელმაც 200-მდე პატიმარი პოლიტპატიმრის სტატუსით გაათავისუფლა. ამ სიაში უკვე გათავისუფლებული კვიციანი ვერ მოხვდა.

მისი ბედი სხვა ცნობილმა პატიმრებმაც გაიზიარეს, რომელთა დანაშაული მხოლოდ ის იყო, რომ გაცილებით ადრე გამოვიდნენ ციხიდან. დეპუტატებმა პირობა მისცეს, რომ მოხდებოდა მათი საქმეების განხილვა და ისინიც მიიღებდნენ პოლიტპატიმრის სტატუსს.

დანაპირები დანაპირებად დარჩა, მათი საქმეები არ განუხილავთ, როგორც ამბობენ, ეს პროცედურა დასავლეთის ზეწოლით შეჩერდა. დასავლეთის ინტერესებში, ბუნებრივია, არ შედის იმის აღიარება, რომ დემოკრატიის შუქურად მიჩნეულ სააკაშვილს პოლიტპატიმრები ჰყავდა. 200 პოლიტპატიმარიც თურმე ცუდად მოხვდათ გულზე და ყველაფერი გააკეთეს, რომ ეს რიცხვი აღარ გაზრდილიყო.

ეს ადამიანები გაჩერებას არ აპირებენ. გაჩერებას არც ნორა კვიციანი აპირებს. ის საქმის ხელახალ გამოძიებას ითხოვს და პოლიტპატიმრის სტატუსისთვისაც აპირებს ბრძოლას.

– 6 წელი და 4 თვე გავატარე ციხეში. არ დამაკლეს ზუგდიდის საპყრობილე და რუსთავის კრიტი. 2 თვე მქონდა დარჩენილი. მე ჩემი სიმართლით უნდა გამოვსულიყავი. იმიტომ გამომიყვანეს, რომ პოლიტპატიმრის სტატუსი არ მოენიჭებინათ. 21-ე საუკუნეში მძევალი ვიყავი, მეუბნებოდნენ, გაგათავისუფლებთ იმ შემთხვევაში, თუ ჩაბარდება შენი შვილი და ძმაო. ვეკითხები ვანო მერაბიშვილს, ირაკლი ოქრუაშვილს, მიხეილ სააკაშვილს, რატომ ჩამსვეს ციხეში 6 წლით, მაშინ, როცა მომიყენეს 25-წლიანი პატიმრობის მუხლები. დანაშაული რომ მქონოდა ჩადენილი, მომისჯიდნენ 25 წელს, – განაცხადა „რეპორტიორის“ პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე ნორა კვიციანმა.



### ყოფილი პატიმარი მისი საქმის ხელახალ შესწავლას ითხოვს

ნორა კვიციანი 2006 წლის ივლისში კოდორის ცნობილი მოვლენების დროს დააპატიმრეს. მას სამი მუხლით ჰქონდა ბრალდება წაყენებული. კერძოდ, უკანონო შეიარაღებული ფორმირების შექმნა, იარაღის უკანონო შენახვა და მისი გამგებლობის დროს სახელმწიფო ქონების – 75 ათასი ლარის მითვისება. მოგვიანებით ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ მას თავისუფლების 6 წლითა და 6 თვით აღკვეთა მიუსაჯა. თავიდან პროკურატურა მისთვის 18 წლიანი პატიმრობის შეფარდებას ითხოვდა.

2006 წლის ივლისში კოდორში დატრიალებული მოვლენები ცალკე შესასწავლია. რა მოხდა ზუსტად მაშინ კოდორში, ამაზე სააკაშვილის ხელისუფლების წარმომადგენლები, ბუნებრივია, არ ისაუბრებენ. ამ თემაზე მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოწოდება კოდორის ხეობაში პრეზიდენტის ყოფილ რწმუნებულს, ემზარ კვიციანს შეუძლია.

ემზარ კვიციანი მზადაა ყველა კითხვას უპასუხოს. ოღონდ მას შემდეგ, რაც საქართველოში დაბრუნდება. აქ, მართალია, ხელისუფლება შეიცვალა, მაგრამ ვიღაცებს ეტყობა, არ აწყობს კოდორის საიდუმლოს გაჟღერება. ამიტომაც ხელს უშლიან ემზარ კვიციანის სამშობლოში დაბრუნებას. მისთვის არც პოლიტდევნილის სტატუსი მიუნიჭებიათ.

სამშობლოში დაბრუნების უფლება მხოლოდ მის ცოლ-შვილს მისცეს. ისინი რამდენიმე თვის მანძილზე საკუთარ სახლში ვერ შედიოდნენ. ეს სახლი 2006 წელს დალუქა სააკაშვილის ხელისუფლებამ.

ეს სახლი კვიციანების ოჯახს ირაკლი ღარიბაშვილმა დაუბრუნა. ყოფილმა პატიმარმა მომავალ პრემიერ-მინისტრს გუშინ ამ გადაწყვეტილებისთვის კიდევ ერთხელ გადაუხადა მადლობა. ის იმედს გამოთქვამს, რომ სამართლიანობა აღდგება და მისი და მისი ძმის, ემზარ კვიციანის, საქმეები სწორი მიმართულებით იქნება შესწავლილი.

– არავის მიმართ შურისძიება და ციხეში ჩასმა არ მინდა. გამწირეს, გამანადგურეს, გისოსებში დამტანჯეს. ვკითხულობ – რატომ არაა ჩემი ძმა საქართველოში, რატომ არ ითხოვენ მის ჩაბარებას თუ დამნაშავეა და რატომაა გაძევებული საქართველოდან? იმედს ვიტოვებ, რომ ახალი ხელისუფლება აღადგენს სამართლიანობას და რა დანაშაულიც იყო ჩადენილი ერისა და ჩემი ოჯახის მიმართ, იქნება გამოძიებული. ერთადერთი სამართლიანი გადაწყვეტილება ირაკლი ღარიბაშვილმა მიიღო, როცა ჩემს ძმას წართმეული სახლი დაუბრუნა, – განაცხადა ნორა კვიციანმა.

# ნუგზარ წიკლაური: „მარგველაშვილი პუტინს მაგონებს“

### ვინ აზეპირებინებს სტუდენტებს ივანიშვილის გამონათქვამებს



შორენა მარსაგიშვილი

**რუსეთის პირველ არხს არჩეულმა პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა ინტერვიუ გასული კვირის ბოლოს მისცა. მისი გამონათქვამები ნაციონალებს, ეტყობა, გულში მწარედ ჩარჩათ და პარლამენტის გუშინდელ სხდომაზეც ამ თემაზე საუბრით შეიქციეს თავი.**

ნაციონალი დეპუტატის სერგო რატიანის შეფასებით, გიორგი მარგველაშვილის მიერ რუსული ტელეარხისთვის მიცემული ინტერვიუ ადასტურებს იმას, რომ ადგილი აქვს რუსეთის საოკუპაციო პოლიტიკისთვის გარკვეული კომფორტის შექმნას, ორ ქვეყანას შორის არსებულ პრობლემებზე და შექმნილ რეალობაზე თვალის დახუჭვას.

– შეშფოთებას იწვევს, რომ საქართველოს პრეზიდენტი თავის ერთ-ერთ პირველ ინტერვიუში არ ახსენებს სიტყვებს: „ოკუპაცია“, „დევნილები“, „მავთულხლართები“, არ საუბრობს ორ ქვეყანას შორის არსებულ პრობლემებზე, არ ახსენებს ნატო-ს და საქართველოს ევროატლანტიკურ მისწრაფებებს. სამაგიეროდ, საუბრობს საქართველოს ხელისუფლების დანაშაულებსა და იმ პრობლემებზე, რომელსაც თურმე საქართველოს ხელისუფლება და ქვეყნის პრეზიდენტი რუსეთს უქმნიდა. მსხვერპლისათვის დანაშაულის დაბრალება არის ის, რასაც მხოლოდ კომუნისტები და ნაცისტები აკეთებდნენ. ეს არის ტიპური რუსული დისკურსი, როცა მსხვერპლს ადანაშაულებ იმაში, რაც მას არათუ არ გაუკეთებია, არამედ პირიქით – მის წინააღმდეგ იყო მიმართული, – განაცხადა შეშფოთებულმა სერგო რატიანმა.

შეშფოთებული და აღშფოთებული იერი ედო ნუგზარ წიკლაურსაც. ადრე ის ივანიშვილის განცხადებების ანალიზს აკეთებდა, ახლა მარგველას განცხადებებიც „დაამუღამა“. წიკლაურის შეფასებით, მარგველაშვილის ინტერვიუ პუტინის გამოსვლას ჰგავდა.

ნუგზარ წიკლაურმა ეს ინტერვიუ დაუნდობლად გააკრიტიკა. მისი თქმით, მძიმედ საყურებელი იყო ის, რომ ქვეყნის მომავალი მეთაური ოკუპანტის ერთ-ერთ არხთან საუბრისას არაფერს ამბობდა ოკუპაციაზე, საქართველოში რუსეთის ბარბაროსულ ქმედებაზე, ასეულობით დევნილის პრობლემაზე.

– მარგველაშვილი ვერ აცნობიერებს, რა არის მნიშვნელოვანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში. თუკი ჩვენ ვილაპარაკეთ მხოლოდ მოცეკვავეებზე, ჩურჩხელებზე, ნიახურზე, რომელსაც რუსეთში გავიტანთ, კულტურულ გაცვლაზე, ასამბლების ჩამოსვლაზე, ასე პოლიტიკა არ გაკეთდება. თუკი დავმალავთ არსებულ პრობლემებს, აბუჩად ავიგდებთ ასი ათასობით დევნილს და პატრიოტ მოქალაქეებს, ამით საქართველო ვერაფერს მოიგებს, – განაცხადა წიკლაურმა პარლამენტის პლენარულ სხდომაზე.

მისივე თქმით, მარგველაშვილის განცხადებები დღევანდელი ხელისუფლების ერთიანი პოლიტიკის ნაწილი და სხვადასხვა დროს ბიძინა ივანიშვილის მიერ გაკეთებული უპასუხისმგებლო განცხადებების ექოა.

მომავალი პრეზიდენტის ინტერვიუს შეფასების გარდა, დეპუტატებმა სხვა საკითხებისთვისაც მოიცალეს. კანონმდებლებმა რამდენიმე დღის წინ ზუგდიდში პოლიციელის დაჭრის ფაქტსაც ვერ აუარეს გვერდი. პლენარულ სხდომაზე ამ სამწუხარო ფაქტს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ზუგდიდში პოლიციელის დაჭრის ფაქტს გამოეხმაურა.

დეპუტატის განმარტებით, ზუგდიდში მომხდარი ინციდენტი შინაარსით ძალიან მძიმეა და საკითხში გარკვევა სამართალდამცავების საქმეა. მისი განცხადებით, სისხლის სამართლის საქმე აღძრულია როგორც პოლიციელის მიერ, ასევე მის მიმართ ჩადენილ ქმედებაზე.

– მნიშვნელოვანია, რომ არ არის მცდელობა, ვინმემ ხელი დააფაროს იმას, რაც მოხდა. ეს არის მთლიანობაში იმ პოლიტიკის გაგრძელება, რასაც ჩვენ ვახორციელებთ – არც ერთი დანაშაულებრივი ქმედება არ იმალება. მართლაც, ძალიან შთამბეჭდავია შსს-ს სტატისტიკა. უპრეცედენტო ამნისტიის ფონზე, რომელიც სამართლიანობის აღსრულების პროცესში უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი იყო, დანაშაულის ჩადენის რიცხვი ძალიან საგრძნობლად არის შემცირებული. როგორი განცხადებებიც არ უნდა აკეთონ ჩვენმა ოპონენტებმა, ციფრები პირდაპირ მეტყველებს იმაზე, რომ 22 პროცენტზე ნაკლები იყო 10 თვის მონაცემებით დანაშაულის ჩადენის რაოდენობა, ხოლო გახსნის მაჩვენებელმა 60 პროცენტს გადააჭარბა, – განაცხადა ბესელიამ.

დეპუტატის შეფასებით, ასეთი მაჩვენებელი საქართველოს ბოლო წლებში არ ჰქონია, განსაკუთრებით კი იმ ფონზე, როდესაც საქართველოს ციხეები პატიმრებით სავსე იყო.

– ხელისუფლებამ ამნისტიის კანონში შეგნებულად არ შეიყვანა ისეთი მუხლები, როგორიც იყო მკვლელობა, ნარკოტიკების რეალიზაცია. ამის მიუხედავად, რამდენიმე დღის წინ სააკაშვილმა მიიღო კიდევ ერთი გადაწყვეტილება და ნარკოტიკების რეალიზაციისთვის 17 წლით მსჯავრდებული გაათავისუფლა, რომელსაც მხოლოდ ორი წელი ჰქონდა მოხდილი. ამგვარი დამოკიდებულება შემაშფოთებელია. დანაშაულის ჩადენის რიცხვის კლება და გახსნის მაჩვენებლის ზრდა არის ის რეალობა, რომელიც საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ გადაწყვეტილება სწორად იყო მიღებული და სამართალდამცავი ორგანოები ძალიან კარგად მუშაობენ. ამას ვამბობ განსაკუთრებით მათ საყურადღებოდ, ვინც ყოველდღიურად უკიჟინებს ხალხს, რომ ვითარება ძალიან რთულია. პირიქით, ვითარება არის ისეთი, რომელიც საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ყველაფერი კონტროლდება, – აღნიშნა ბესელიამ.

ახალქალაქის მაჟორიტარი დეპუტატი, ნაციონალი სამველ პეტროსიანი კი საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარეს თედო ჯაფარიძეს და დეპუტატ გუგული მაღრაძეს დაუპირისპირდა. პეტროსიანი კოლეგებს სომხეთის პრეზიდენტის მიმართ არაკორექტული განცხადების გაკეთებაში ადანაშაულებს.

– მიმდინარე წლის 4 ოქტომბერს, თურქეთისა და აზერბაიჯანის წარმომადგენლების მიერ, ასევე საქართველოს პარლამენტის წევრების თედო ჯაფარიძის და გუგული მაღრაძის მიერ გაკეთდა არაკორექტული განცხადება სომხეთის პრეზიდენტისადმი. მისგან მოითხოვეს ბოდიშის მოხდა იმის გამო, რომ თითქოს სომხეთის პრეზიდენტმა თავის გამოსვლებში თურქეთის მიმართ ტერიტორიული პრეტენზიები გამოხატა. თურქეთი და სომხეთი საქართველოსთვის მეგობარი ქვეყნებია. მიმაჩნია, რომ ჩვენი პოზიცია მიმართული უნდა იყოს სომხეთსა და თურქეთს შორის ურთიერთობის გაუმჯობესებისკენ. დარწმუნებული ვარ, რომ სომხეთს სამართლიანობის პრინციპზე სურს ნორმალური, თანასწორუფლებიანი ურთიერთობის დამყარება ყველა მეზობელ ქვეყანასთან – მათ შორის, თურქეთთან. ბატონო თედო და ქალბატონო გუგული, თქვენი განცხადებით უფრო ღრმა ბზარს აჩენთ მეზობელ ქვეყნებს შორის ურთიერთობაში. თქვენ დღეს ცდილობთ, არ დაუშვათ ურთიერთობათა გაუმჯობესება სომხეთსა და მეზობელ ქვეყნებს შორის. თუკი გნებავთ რაღაცის თქმა სომხეთსა და მეზობელი ქვეყნის ურთიერთობების შესახებ, რომელთანაც სომხეთს დიპლომატიური კავშირი არა აქვს, მაშინ ისაუბრეთ მათ ურთიერთობათა გაუმჯობესებაზე და არა გაუარესებაზე. მიმაჩნია, სწორად აღიქვამთ ჩემს ნათქვამს და მიიღებთ ზომებს შეცდომის გამოსასწორებლად, – განაცხადა პეტროსიანმა.

აღშფოთებულ და შეურაცხყოფილ პეტროსიანს მოგვიანებით გასცა პასუხი თედო ჯაფარიძემ. ის სომხეთის პრეზიდენტის არაკორექტულად მოხსენიებას უარყოფს.

გუშინდელ სხდომაზე მცირე შეკამათება მოხდა ომარ ნიშნიანიძესა და აკაკი ბობოხიძეს შორის. ნაციონალმა ბობოხიძემ განაცხადა, რომ მეოცნებე ნიშნიანიძე ანტიკურ ისტორიაში სტუდენტებს ბიძინა ივანიშვილის გამონათქვამებს აზეპირებინებს.

კოლეგის განცხადებას ომარ ნიშნიანიძემ ჭორი და სიცრუე უწოდა.

– მაინცდამაინც დიდი წარმოდგენა არ მქონდა აკაკი ბობოხიძის, მისი კოლეგის მხარდამჭერების გონებრივ ინტელექტუალურ შესაძლებლობებზე. ერთ-ერთ დებატებზე ბობოხიძე ამტკიცებდა, რომ ნიშნიანიძე ანტიკურ ისტორიაში სტუდენტებს ბიძინა ივანიშვილის გამონათქვამებს აზუთხინებსო. თქვე დალოცვილებო, მართლა ბნელეთის მოციქულებო, ერთი მაინც გეკითხათ, ანტიკური ისტორია საერთოდ არ იკითხება უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის პირველ კურსზე. რაც შეეხება საზოგადოებრივ მეცნიერებებს, აქ ლექტორი ვალდებულია სტუდენტებს ნებისმიერი პოლიტიკური მოღვაწის, ნიკო ნიკოლაძიდან დაწყებული, ბიძინა ივანიშვილით დასრულებული, დამოკიდებულებები გააცნოს. თუ რამე ღირებულებები გაგიკეთებიათ, შემიძლია, თქვენზეც ვისაუბრო, მაგრამ თავის ქიცინის და ტყუილების მეტი არაფერი გიკეთებიათ. მე სტუდენტებს თქვენი და მიხეილ სააკაშვილის მაგალითზე ვასწავლი, როგორ არ უნდა შეურაცხყო მასწავლებელი, მოსწავლეები, ჟურნალისტები, – მიმართა ნიშნიანიძემ ბობოხიძეს.

# გია მაისაშვილი: „საქართველოში ბიზანტიური პოლიტიკა დომინირებს“

გულიკო ბალაძე

## ინტერვიუ გია მაისაშვილთან

***– ბატონო გია, ბიძინა ივანიშვილის წასვლით, ახალი პრემიერისა და ახალი გენპროკურორის მოსვლით იქმნება ახალი კონფიგურაცია. რა გავლენას იქონიებს ეს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაზე? რა გავლენები წარმოიშობა და რა მოვლენები?***

– საერთოდ არ ვადევნებ თვალყურს, ვინ არის გენპროკურორი, ვინ დაინიშნა და ვინ გათავისუფლდა. რა კონფიგურაციაა, საერთოდ, წარმოდგენა არ მაქვს. მთელი ჩემი არსებით ვფიქრობ ლიდერთა სკოლის გაფართოებაზე. განათლების სფეროში ვარ გადასული მთელი ჩემი ინტელექტითა და ფიზიკური შესაძლებლობით.

***– ანუ არ გინდათ, რომ ამ საკითხზე ვისაუბროთ?***

– არც ვიცი რაზე გელაპარაკოთ. მე ვიცი, როგორ იმართება ქვეყანა. ვიცი, პრემიერ-მინისტრმა როგორ უნდა ჩამოაყალიბოს თავისი აპარატი, რომ იყოს ეფექტური, რა ფუნქციების მატარებელი უნდა იყოს, როგორ უნდა მოაწყოს ყოველდღიური მმართველობა. ეს საქმე ძალიან კარგად ვიცი. ამას 25 წლის განმავლობაში მასწავლიდნენ მსოფლიოს ყველაზე წარჩინებულ სკოლაში ამერიკაში. თუმცა, არ ვიცი ბიზანტიური პოლიტიკა როგორ იწარმოება. ამ მხრივ რა ხდება, წარმოდგენა არ მაქვს.



***– როგორი პოლიტიკა, ბიზანტიური?***

– ბიზანტიური პოლიტიკა, ზურგს უკან მახვილის ჩაცემა, სხვადასხვა კონფიგურაციის ჩამოყალიბება საქართველოში, ამ მხრივ რა ხდება, ამაზე წარმოდგენა არ მაქვს და როგორ მოგიყვეთ, არ ვიცი.

***– ე.ი. თქვენ ამბობთ, რომ დღეს სწორედ ასეთი პოლიტიკა დომინირებს ჩვენს ქვეყანაში?***

– არა მარტო დღეს დომინირებს ბიზანტიური პოლიტიკა საქართველოში, არამედ დიდი ხანია. 20-22 წელია საქართველოში ასეთი პოლიტიკა დომინირებს, სამწუხაროდ. საქართველო ვერ გადავიდა თანამედროვე მართვის რელსებზე. ხდება ვიწრო კლანის მიერ სახელმწიფოს მართვა და ვიწრო ინტერესის დაკმაყოფილება. არ ჩამოყალიბებულა ქვეყნის მთავარი ინტერესი, მთავარი ამოცანა და ამოცანის ირგვლივ საუკეთესო ადამიანების დარაზმვა ისე, რომ ქვეყანა სწორი მიმართულებით ეფექტურად მიედინებოდეს. სხვა რა გითხრათ, მთავრობის შიგნით რა ხდება, წარმოდგენა არ მაქვს და, საერთოდ, ტელევიზორს არ ვუყურებ.

***– თქვენი თანამშრომლობა ახალ ხელისუფლებასთან არ შედგა?***

– ერთი წლის წინ, როდესაც ბიძინა ივანიშვილი გამოვიდა ასპარეზზე, ძალიან გამიხარდა. ჩვენ გვქონდა ორი ძალიან დიდი ხნიანი შეხვედრა. მე ჩემი ხედვა, მექანიზმი, საკეთებელი, რაც სჭირდებოდა ამ ქვეყანას, რაც მათ დაეხმარებოდა, ამ კონკრეტულ საკითხებზე ვისაუბრეთ. ძალიან დიდი ენთუზიაზმი იყო მისგან, რომ ეს ყველაფერი გაგრძელებულიყო. შემდეგ ჩვენი ურთიერთობა გაგრძელდა მიმოწერით. ისეთი მიმოწერით, რომ კონფიდენციალური ყოფილიყო და ის სხვას არავის ენახა. ძალიან დიდი ენთუზიაზმი იყო, მაგრამ არჩევნების შემდეგ ეს ურთიერთობა აღარ გაგრძელდა.

***– 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ?***

– დიახ, 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ ჩვენი ურთიერთობა აღარ გაგრძელდა. წარმოდგენა არ მაქვს, რატომ?

***– ანუ თქვენსა და ივანიშვილს შორის მიმოწერები და საკითხები, რომელზეც საუბრობდით, კონფიდენციალურად დარჩა?***

– იმ მიმოწერებიდან და იმ საკითხებიდან, რომელზეც ჩვენ ვსაუბრობდით, ცდილობენ რაღაც იდეების გამოყენებას, ისე, როგორც მიხეილ სააკაშვილი ცდილობდა ჩემი კონცეფციიდან რაღაც ამოვარდნილად იდეების გამოყენებას, მაგრამ ამოვარდნილად, კონცეფციის გარეშე ის იდეები არ იმუშავებს. მე ერთადერთი სურვილი მაქვს, ჩემს ქვეყანას ჰყავდეს ჩამოყალიბებული, ეფექტური ფუნქციონალური მთავრობა და მთელი სულითა და გულით ვგულშემატკივრობ როგორც ბიძინა ივანიშვილს, ასევე ახალ პრემიერს. მათ ვუსურვებ წარმატებას. თუ რაიმე დახმარება მოუნდებათ, აგერ ვარ. როგორც ჩანს, ჯერჯერობით, არანაირი დახმარება არ სურთ, ყველაფერი კარგად იციან. იმედია, ჩემი დახმარების გარეშე თავს გაართმევენ.

***– ახლა შეგვიძლია გავახმაუროთ ის კონფიდენციალური მიმოწერები, რაც თქვენსა და ბიძინა ივანიშვილს შორის იყო? მთავარი საკითხები რა იყო, რაზეც ყურადღებას ამახვილებდით?***

– არა, რასაკვირველია. ეს მიმოწერები არის არქივში. მოვა დრო და, ალბათ, გამოქვეყნდება, მაგრამ ახლა არ იქნება ეფექტური ჩემგან ამის გახმაურება.

***– თუკი ასეთი დიდი ინტერესი იყო ბატონ ბიძინას მხრიდან თქვენი შეთავაზებების მიმართ, როგორ ფიქრობთ, 1 ოქტომბრის არჩევნების მიმართ რა შეიცვალა? რამ შეუშალა ხელი თქვენს თანამშრომლობას?***

– წარმოდგენა არ მაქვს. იქ არის ძალიან ბევრი პარტია, კოალიცია, რომელსაც პოზიციის გამაგრება უნდა და, ალბათ, ამან შეუშალა ხელი.

***– როგორ ფიქრობთ, დასავლეთი იმ ცვლილებას, რომელიც ახლა ხდება საქართველოს***

გაგრძელება მე-6 გვერდზე

# სააკაშვილი მარგველაშვილის ინაუგურაციას დაესწრება?!



**17 ნოემბერს საქართველოს მეოთხე პრეზიდენტის ინაუგურაცია გაიმართება. რიგით მეოთხე პრეზიდენტის უფლებამოსილება, მისი წინამორბედებისგან განსხვავებით, მკვეთრად შეზღუდულია. შეიძლება ითქვას, ინაუგურაციაც შესაბამისი იქნება — მოკრძალებული ცერემონიალი — ასეთი შეფასება უკვე დაიმსახურა 17 ნოემბრის ინაუგურაციამ. თუმცა, ინაუგურაციის საორგანიზაციო საკითხების კომისიის თავმჯდომარის მოადგილის განცხადებით, მოკრძალებულობა არ ნიშნავს, რომ რამე დააკლდება.**



ნათია ხურცილავა

საქართველოს პრეზიდენტის ინაუგურაცია, ქვეყნის უმაღლესი კანონის – კონსტიტუციის თანახმად, რუსთაველის გამზირზე უნდა გაიმართოს. კონსტიტუცია ინაუგურაციასთან დაკავშირებით სხვა დეტალებსაც არეგულირებს.

კონსტიტუციის თანახმად, საქართველოს ახლად არჩეული პრეზიდენტი თანამდებობის დაკავების წინ წარმოთქვამს საპროგრამო სიტყვას და დებს ფიცს. სწორედ კონსტიტუციით განსაზღვრული ფიცის დადების შემდეგ ითვლება პრეზიდენტი უფლებამოსილად განახორციელოს კონსტიტუციით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებები.

საქართველოს პრეზიდენტის ინაუგურაცია იმართება პრეზიდენტის არჩევის დღიდან მესამე კვირა დღეს.

ინაუგურაციის დღეს საქართველოს პრეზიდენტი მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში გვირგვინით შეამკობს ილია ჭავჭავაძის საფლავს. შემდეგ საქართველოს პრეზიდენტი და თანმხლები პირები შემოივლიან პანთეონს.

საქართველოს პრეზიდენტის ფიცის დადების ცერემონია ტარდება საქართველოს პარლამენტის შენობაში, სადაც პრეზიდენტის ფლიგელის ფოიეში საქართველოს პრეზიდენტსა და მისი ოჯახის წევრებს ხვდებიან საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, საქართველოს სახელმწიფო მინისტრი, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე და ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.

მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუციაში განსაზღვრულია ადგილი, სად ტარდება ინაუგურაცია, კომისიის გადაწყვეტილებით, 17 ნოემბერს ცერემონიალი პარლამენტის ძველი შენობის ეზოში გაიმართება. კომისიის წევრების განცხადებით, პრაგმატული დატვირთვა აქვს გადაწყვეტილებას, რომ რუსთაველის პროსპექტი არ გადაიკეტოს.

კონსტიტუცია განსაზღვრავს ფიცის დადების შემდეგ დეტალებს:

საქართველოს პრეზიდენტი მარჯვენა ხელს ადებს კონსტიტუციას და წარმოთქვამს ფიცს: „მე, საქართველოს პრეზიდენტი, ღვთისა და ერის წინაშე ვაცხადებ, რომ დავიცავ საქართველოს კონსტიტუციას, ქვეყნის დამოუკიდებლობას, ერთიანობასა და განუყოფლობას, ვიზრუნებ ჩემი ქვეყნის მოქალაქეთა უსაფრთხოებისა და კეთილდღეობისათვის, ჩემი ხალხისა და მამულის აღორძინებისა და ძლევამოსილებისთვის“.

ინაუგურაციის მხატვრულ ნაწილს კულტურის მინისტრიეს მოადგილე მანანა ბერიკაშვილი უხელმძღვანელებს.

საქართველოს პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების აღსანიშნავად საღამოს, ცნობილია, რომ რუსთაველის თეატრში მოწვეული სტუმრებისთვის საზეიმო მიღება გაიმართება.

ახლად არჩეული პრეზიდენტის გიორგი მარგველაშვილის ინაუგურაციას 30-მდე ქვეყნის დელეგაცია, მათ შორის ორი ან სამი ქვეყნის პრეზიდენტი დაესწრება. საგარეო საქმეთა მინისტრის მაია ფანჯიკიძის განცხადებით, ახალი პრეზიდენტის ინაუგურაციას დაესწრება ეუთოს გენერალური მდივანი ლამბერტო ზანიერი.

რა დონეზე იქნება ამერიკის შეერთებული შტატები წარმოდგენილი, ჯერ უცნობია.

ამდენად, თუ როგორ იქნება ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის შემადგენლობა წარმოდგენილი, მინისტრი ვარაუდობს, რომ ეს იქნება მაღალი დონის დელეგაცია, თუმცა კონკრეტული ინფორმაცია უახლოეს დღეებში გახდება ცნობილი. ინაუგურაციაზე ასევე ელოდებიან ისრაელის პარლამენტის სპიკერს. რაც შეეხება ირანს, მაია ფანჯიკიძის განმარტებით, თეირანისგან ჯერჯერობით საგარეო საქმეთა სამინისტროს არ აქვს მიღებული ინფორმაცია, თუ ვისი ვიზიტი იგეგმება.

– ჩვენ გვაქვს დასტური 30-მდე დელეგაციისგან, მათ შორის – 2 ან 3 ქვეყნის პრეზიდენტის. კერძოდ, გადაწყვეტილია მოლდოვას პრეზიდენტის თემა, განიხილება ლიტვის პრეზიდენტის ჩამოსვლის საკითხი, ასევე ველოდებით სხვადასხვა ქვეყნებიდან საგარეო საქმეთა მინისტრებს, პარლამენტის თავმჯდომარეებს, მთავრობის წევრებს. ყველა ქვეყანაში, ალბათ, დელეგაციების შემადგენლობების შერჩევა მოხდა იმის მიხედვით, რომელ ქვეყანას რა სფერო აინტერესებს, – განაცხადა თავის დროზე ფანჯიკიძემ.

მას შემდეგ, რაც მეოთხე პრეზიდენტი საქართველოს მოქალაქეებმა არჩევნებით ავირჩიეთ და მას შემდეგ, რაც დასავლეთმაც მოგვიწონა ევროპული სტანდარტებით ჩატარებული არჩევნები, დღის წერიგში დადგა ერთი საკითხი: ინაუგურაციას დაესწრებიან თუ არა წინამორბედი პრეზიდენტები? საკითხი კომისიამ დადებითად გადაწყვიტა. თუმცა, გაირკვა, რომ მოსაწვევი ედუარდ შევარდნაძემ მიიღო, მოლოდინშია მიხეილ სააკაშვილი.

ედუარდ შევარდნაძემ პრეზიდენტის ინაუგურაციაზე დასასწრები მოსაწვევი მიიღო.

ამ ინფორმაციას ადასტურებს ექსპრეზიდენტის პრესსამსახური. ედუარდ შევარდნაძე როგორც რუსთაველის გამზირზე გიორგი მარგველაშვილის ფიცის დადების ცერემონიაზე, ისე სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“ ოფიციალურ მიღებაზეა დაპატიჟებული.

პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ანდრო ბარნოვი აცხადებს, რომ საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს ინაუგურაციაზე დასასწრები მოსაწვევი ჯერ არ მიუღია.

მოსაწვევის მიღების შემთხვევაში, არ არის გამორიცხული, რომ ამ გამოწვევას სააკაშვილმა დადებითად უპასუხოს და ის თავის ოჯახთან ერთად დაესწროს ინაუგურაციას.

ედუარდ შევარდნაძის ოჯახი, ცნობილია, რომ მსგავსი ტრადიციისთვის საფუძვლის ჩაყრას მიესალმება და ისინი მზად არიან, რომ მოწვევის შემთხვევაში აღნიშნულ ცერემონიალში სიამოვნებით მიიღონ მონაწილეობა.

დღის ბოლოს ცნობილი გახდა, რომ მიხეილ სააკაშვილს გიორგი მარგველაშვილის ინაუგურაციაზე დასასწრები მოსაწვევი გაეგზავნა.

# დარახველიძემ არ იცის, დარჩება თუ არა მინისტრთა კაბინეტის ახალ შემადგენლობაში

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, დევნილთა და განსახლების მინისტრმა, დავით დარახველიძემ არ იცის, დარჩება თუ არა პრეზიდენტის ინაუგურაციის შემდეგ დამტკიცებული მთავრობის შემადგენლობაში. მან ამის შესახებ „პრაიმ-ტაიმის“ პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

მისი თქმით, მომავალ პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილთან მინისტრების ამჟამინდელი ურთიერთობა მინისტრთა კაბინეტის ფარგლებში ერთი წელია გრძელდება. თავად კი ღარიბაშვილს ცოტა ადრეც იცნობდა. მინისტრის განმარტებით, მის და შინაგან საქმეთა უწყებებს 1 წლის განმავლობაში რამდენიმე შემთხვევა ჰქონდათ, რომლებზეც გადაწყვეტილების ერთობლივად მიღება მოუხდათ. ერთ-ერთი შემთხვევა თბილისში ბაქოს ქუჩა №1-სა და ბამბის ნართის ნგრევად ობიექტს



უკავშირდებოდა. კერძოდ, დარახველიძის თქმით, ბაქოს ქუჩაზე მდებარე ობიექტში შეჭრილ დევნილებს ბამბის ნართის ნგრევად ობიექტში მცხოვრები დევნილები დაუპირისპირდნენ. ამ პრობლემის გადაჭრა დევნილთა და შინაგან საქმეთა უწყებებს ერთობლივად მოუხდათ.

„ეს გამოცდა ორივე სამინისტრომ წარმატებით ჩააბარა. დარჩენილია ერთი ობიექტი, სადაც მომავალ კვირაში ისეთ პროცედურებს ჩავატარებთ, რომლებიც არავის უფლებას შელახავს. ირაკლი ღარიბაშვილი ჩემს საქმიანობას იცნობს. დანარჩენი არ ვიცი. სხვა არაფერი შემიძლია ვთქვა“, — აღნიშნა დავით დარახველიძემ.

**მედიანიუსი**

# საპარტნიორო ფონდის წარმომადგენლები ყაზახეთში იმყოფებიან

საპარტნიორო ფონდის დელეგაცია სამუშაო ვიზიტით ყაზახეთში იმყოფება. საპარტნიორო ფონდის აღმასრულებელი დირექტორის ირაკლი კოვზანაძის განცხადებით, დაგეგმილია შეხვედრები ყაზახეთის ოფიციალურ და ბიზნეს-წრეების ფართო წარმომადგენლობასთან, მათ შორის ყაზახეთის საინვესტიციო ფონდში.

ამ ეტაპზე, ყაზახ ინვესტორებთან ერთად საპარტნიორო ფონდი ახორციელებს ინფრასტრუქტურულ პროექტს ლიკანში, რომელიც ითვალისწინებს ,,რიქსოსის“ ხუთვარსკვლავიანი მრავალფუნქციური სასტუმრო კომპლექსის აშენებას. პროექტის მთლიანი საინვესტიციო მოცულობა 40 მლნ აშშ დოლარამდეა.

საპარტნიორო ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ინფორმაციით, ყაზახური ბიზნეს-წრეები საქართველოში ინვესტირების და საპარტნიორო ფონდთან თანამშრომლობის სერიოზულ ინტერესს გამოხატავენ. ყაზახეთში ფონდის წარმომადგენლობითი ვიზიტი სწორედ ამ ინტერესს ეხმიანება, განმარტავენ საპარტნიორო ფონდში.

ყაზახეთში საპარტნიორო ფონდის სამუშაო ვიზიტი მიმდინარე კვირის ბოლომდე გასტანს.

**მედიანიუსი**

# დავით სერგეენკო: „საქართველოში ექიმებს ავტორიტეტი აღარ აქვთ“

მერი ნამორაძე

რამდენად დროულად იყო ინიცირებული ჯანდაცვის სამინისტროს მიერ მედიკამენტების რეცეპტის გარეშე გაყიდვაზე შეზღუდვის დაწესება და რატომ ალაპარაკდა ამ თემაზე უწყება ხელისუფლების შეცვლიდან ერთი წლის შემდეგ? რა საფრთხეებს ხედავდა ჯანდაცვის მინისტრი დავით სერგეენკო ამ პროცესის ერთი წლით ადრე დაწყებაში? მინისტრი გუშინ ამ კითხვებზე პასუხის გაცემას შეეცადა.

ცნობისათვის, წამლები ნებისმიერ ქვეყანაში მინიმუმ ორ ჯგუფად იყოფა, ეს არის მედიკამენტები, რომლებიც აუცილებლად ექიმის დანიშნულებით ანუ რეცეპტით უნდა გაიცემოდეს და მეორე ჯგუფი შეიძლება იყოს თავისუფალ გაყიდვაში. ევროკავშირის ქვეყნებში მედიკამენტები ძირითადად ამ ორ ჯგუფად იყოფა. თუმცა, მინისტრის განმარტებით, არის ქვეყნები, სადაც მედიკამენტები სამ ჯგუფად ნაწილდება – კანადაში, აშშ-შ და ასე შემდეგ. საქართველოშიც მედიკამენტების სამი ჯგუფია – ძლიერმოქმედი ნარკოტიკები, რომლებიც რეცეპტით გაიცემა. მესამე ჯგუფშია წამლები, რომლებიც თავისუფალ გაყიდვაშია ყველგან და მეორე ჯგუფი, რომელსაც ახლა „ემუქრება“ ცვლილებები, ესენი არ არის ნარკოტიკები, მაგრამ მათმა არასწორად და არადანიშნულებისამებრ გამოყენებამ შეიძლება კატასტროფული საფრთხეები შეუქმნას ადამიანის ჯანმრთელობას. ასეთებია ანტიბიოტიკები, ნერვულ და გულ-სისხლძარღვთა სისტემაზე მოქმედი პრეპარატები და ასე შემდეგ.

ვისაც უჩნდება კითხვა, რატომ უნდა გაიცემოდეს საერთოდ წამალი რეცეპტით, მას მინისტრი პასუხობს, რომ წამალი ძლიერმოქმედი სამკურნალო საშუალებაა, რომლის არადანიშნულებისამებრ ან არასწორად გამოყენებას შეუძლია ადამიანის ჯანმრთელობას და სიცოცხლეს საფრთხე შეუქმნას. მინისტრს არ გაკვირვებია საქართველოში რატომ გამოიწვია ცხარე დისკუსია წამლის რეცეპტით გაცემის აუცილებლობამ.

– დავუშვათ, რომ საქართველოს ბაზარზე 5 ათასი დასახელების წამალია მიმოქცევაში. აქედან, ალბათ, მხოლოდ 10 რეგულირდება რეცეპტით გაცემაზე, ესენია ნარკოტიკები და ძლიერმოქმედი საშუალებები – მაგალითად, დიაზეპამი და ასე შემდეგ. ანუ ეს პარიტეტი – 5 ათასიდან 10, არის წარმოუდგენელი, არამცთუ ლიბერალური, არამედ ვერ აკმაყოფილებს ველური ბაზრის პირობებსაც. ცალსახად მიუღებელია ეს ყველაფერი, – განაცხადა სერგეენკომ და ის მიზეზებიც განმარტა, რამაც აქამდე მიგვიყვანა.



მისი თქმით, ერთმა სიტყვამ წამლის შესახებ კანონში მთელი მეორე ჯგუფის პრეპარატები გადაანაცვლა მესამეში, ანუ რეცეპტით უნდა გაიცემოდეს, მაგრამ თუ რეცეპტი არ აქვს პაციენტს, მაინც უნდა გაიცეს მასზე პრეპარატი. ამით აზრი დაკარგა ყველაფერმა და ყველაფერი აბსურდამდე მივიდა. ამან გაზარდა საააფთიაქო ნარკომანია, გაიზარდა თვითმკურნალობის რისკები და შეუძლებელი გახადა ხარისხის კონტროლი.

სერგეენკომ განაცხადა, რომ ქვეყნის მოსახლეობისთვის დიდი რისკის შემცველია ის, რომ ექიმის ავტორიტეტმა, ცოდნამ, მის მიმართ დამოკიდებულებამ, განიცადა მკვეთრი დევალვაცია. საზოგადოებაში ღრმად გაჯდა ის აზრი, რომ არ არის საჭირო ექიმის დანიშნულება და ადამიანები თვითმკურნალობას იწყებენ.

– ცალსახად ვუსვამ ხაზს, ეს არამცთუ ცეცხლთან თამაშია, ეს მოქმედი ვულკანის პირას სიარულია. თუმცა, ეს არ არის სუბიექტური და მოგვიტანა იმან, რომ ბოლო წლების განმავლობაში ექიმებს ველური ბაზრის პირობებში უწევდათ მუშაობა და გადარჩენისთვის, არსებობისთვის ბრძოლა. სწორედ ამან გამოიწვია ის, რომ ექიმის ავტორიტეტი დღეს ძალიან დაბალია. არაფრით შეიძლება ექიმის დანიშნულების გარეშე გარკვეული ჯგუფის მედიკამენტების მიღება, – განაცხადა მინისტრმა.

მაინც რატომ მოხდა ცვლილებების ინიცირება ორიოდე თვის წინ და რატომ არ გაკეთდა თავიდანვე? მინისტრი განმარტავს, რომ ამას არ უნდა გამოეწვია დამატებითი ბარიერების შექმნა მოქალაქეებისთვის, პირველ რიგში არ გაეძვირებინა მედიკამენტები, რაც მოსალოდნელი იყო და კიდევ რჩება რისკად. შეიძლებოდა შექმნილიყო ასევე დამატებითი ბიუროკრატიული ბარიერი ქრონიკული დაავადებებით მოავადე პირებისათვის, რომლებსაც მუდმივად სჭირდებათ მედიკამენტები. ამ რისკების განეიტრალებას ცდილობდა სერგეენკოს უწყება ერთი წლის განმავლობაში. მინისტრის თქმით, მიაღწიეს იმას, რომ შესაძლებელი გახადა საქართველოს მოსახლეობის 100 პროცენტისათვის ოჯახის ექიმთან მისვლა ყოფილიყო შეუზღუდავი და ხელმისაწვდომი, რაც პირველი ივლისიდან განხორციელდა. თუმცა, მუდმივი მონიტორინგი ხორციელდება ბარიერების გამოსავლენად. სამინისტრო მუდმივად ინტერესდება, ხომ არ ინიშნება ისეთი კონსულტაციები ან კვლევა, რომელიც არ იფარება საყოველთაო ჯანდაცვით და პაციენტი იძულებული ხდება დამატებითი თანხა გადაიხადოს. სერგეენკო ირწმუნება, რომ ასეთი რისკები განულებულია, მაგრამ ერთეული შემთხვევები რჩება. პრობლემა ქრონიკული დაავადებებით მოავადეთათვის ხანგრძლივადმოქმედი რეცეპტით გადაწყდება და შესაძლებელი იქნება ერთი წლის განმავლობაში ექიმთან ვიზიტის გარეშე, მრავალჯერადი რეცეპტით პრეპარატის შეძენა.

როგორც სერგეენკომ განაცხადა, საქართველოში ერთობ დიდია რაოდენობა იმ მედიკამენტებისა, რომლებიც მასობრივად არადანიშნულებისამებრ გამოიყენება. ციფრებში ეს ასეულ მილიონჯერ მეტით გამოიხატება, ვიდრე საჭიროება არსებობს. რეცეპტების შემოღება, რა თქმა უნდა, შეზღუდავს არადანიშნულებისამებრ გამოყენებას, რაც კომპანიების ბიზნესს გარკვეულ დარტყმას მიაყენებს. მოგების შემცირების გამო კომპანიები სხვა პრეპარატებს გააძვირებენ, რათა დააბალანსონ მოგება. სწორედ ამის თავიდან ასაცილებლად სრულდება მედიკამენტების ხარისხის კონტროლის სისტემის შექმნა, რაც ბაზრის გახსნის და მაქსიმალური კონკურენციის შესაძლებლობას გააჩენს. მინისტრმა აღნიშნა, რომ ეს ხელ-ფეხს შეუბორკავს არადანიშნულებისამებრ გამოყენებადი წამლებით მიღებული მოგებების მსურველ კომპანიებს.

მედია დაინტერესდა, რატომ იქმნება გაუთავებელი რიგები ოჯახის ექიმთან ვიზიტისას და რატომ სჭირდება მასთან მოხვედრას ზოგჯერ რამდენიმედღიანი ლოდინი. მინისტრმა განმარტა, რომ რიგებია იმ შემთხვევაში და იმ ჯგუფში, ვისაც შეზღუდული აქვს სამედიცინო დაწესებულების თავისუფალი არჩევანი. პრაქტიკულად რიგები არ არის საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით მოსარგებლეთათვის, რომლებსაც სამედიცინო დაწესებულების არჩევის უფლება მიეცათ. მინისტრი დარწმუნებულია, რომ გასაღები ამ პრობლემის გადასაწყვეტად დაწესებულების არჩევის უფლების მიცემაა. დღეისათვის მოსახლეობის ნახევარს თავისუფალი არჩევანის საშუალება აქვს, ნახევარს – არა. საბოლოო ჯამში, რამდენიმე თვეში, კერძოდ, მომავალი წლის აპრილიდან, მოქალაქეების 100 პროცენტს ექნება თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობა, რაც რიგებს მოსპობს. ეს მაშინ, როცა სახელმწიფო მთლიანად საკუთარ თავზე აიღებს ჯანდაცვაზე საბაზო მოთხოვნილების დაკმაყოფილებას, კერძო სადაზღვევო კომპანიები კი ზედნაშენს გააკეთებენ.

მინისტრი ოსიაურის სამხედრო ბაზაზე სამხედრო მოსამსახურეების მოწამვლის ფაქტს გამოეხმაურა და განაცხადა, რომ მიზეზი საკვების დამზადების პროცესში დარღვევებია, რაზეც პასუხისმგებლობა კვების ბლოკის კონკრეტულ თანამშრომელს დაეკისრა. მოსამსახურეებს მსუბუქი მოწამვლა აღენიშნებოდათ, მათ მიაკითხეს სამხედრო პუნქტს და ერთჯერადი დახმარებით მოხდა პრობლემის მოგვარება.

„ახალი თაობა“ დაინტერესდა მოსახლეობის სიკვდილობის მიზეზებით მოზრდილებში და ბავშვთა პოპულაციაში. მინისტრის თქმით, ზუსტი მონაცემები 2014 წლის დასაწყისში გახდება ცნობილი, თუმცა, ეტაპობრივი მონაცემებით, დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობასთან დაკავშირებით დიდი ცდომილება აღმოჩნდა მონაცემთა მოპოვების ოფიციალურ არხებსა და ახლად დამატებულ ოპერატიულ არხს შორის.

# გია მაისაშვილი: „საქართველოში ბიზანტიური პოლიტიკა დომინირებს“

დასაწყისი მე-5 გვერდზე

***ხელისუფლებაში, იწონებს?***

– სამწუხაროდ, ზოგადად, დასავლეთში ახალ ხელისუფლებას დიდი მოწონებით არ უყურებენ.

***– თუმცა, ამერიკის ელჩი მაშინვე მიესალმა, მაგალითად, ღარიბაშვილის მომავალ პრემიერობას.***

– აბა, ელჩი ხომ არ იტყოდა, არ მივესალმებიო. მეც ძალიან ვესალმები ღარიბაშვილის გაპრემიერებას. განსაკუთრებით ვგულშემატკივრობ ირაკლი ღარიბაშვილს იმიტომ, რომ ისე, როგორც არავისზე, მასზეა უზარმაზარი ტვირთი და მას არ აქვს ამის გამოცდილება. ამიტომ მე ყოველგვარი გადაპრანჭვის გარეშე, ადამიანურად თანავუგრძნობ, რადგან ყველაზე დიდი ტვირთი ამ კაცის მხრებზეა ახლა. შიგნით არიან ძალიან ბევრი განცალკევებული ჯგუფები, რომლებიც ახდენენ პოზიციონირებას. მინდა ამ კაცს შეეძლოს ამ ყველაფრის დაძლევა და ეფექტური მთავრობის ჩამოყალიბება. ამ კუთხით მას სჭირდება ძალიან დიდი მხარდაჭერა ყველასაგან. ყველა ჩვენთაგანის მოვალეობაა, ღარიბაშვილს ამ რთულ მომენტში მხარი დავუჭიროთ.

***– ასაკს რაიმე მნიშვნელობა ენიჭება ამ პროცესში?***

– მაინც მთავარია მენტალური ასაკი. რთულია, როდესაც ახალგაზრდა ამხელა ტვირთს საკუთარ მხრებზე აიღებს, მაგრამ ეს უკვე გადაწყვეტილია და მინდა მან გაამართლოს.

***– თქვენ ერთი ძალიან დამახასიათებელი ფრაზა თქვით, როდესაც ბოლო 22 წლის განმავლობაში პოლიტიკაში ზურგში დანის ჩაცემაზე საუბრობდით. კონკრეტულად, ხომ არ შეგიძლიათ ისაუბროთ, როგორ ხდება პოლიტიკაში დანის ჩაცემა და როგორ აისახება ეს ჩვენს ცხოვრებაზე?***

– 22 წლის მანძილზე ვერ ჩამოყალიბდა ქვეყნის მთავარი ამოცანა, ეკონომიკური ამოცანა, საზოგადოების ფეხზე დაყენების ამოცანა. ქვეყნის საგარეო პოლიტიკური ამოცანა გასაგებია – ნატოში შესვლა და ევროკავშირთან ინტეგრაცია. ჩვენი სანუკვარი ამოცანაა, დამოუკიდებლობის შემდგომი იდეა არის ქვეყნის თავისუფლების იდეა. ამდენი ხანი ვიბრძოდით და ქვეყნის თავისუფლებას მივაღწიეთ. ახლა მთავარია, იმ ამოცანის ჩამოყალიბება, რისთვის გვინდოდა ეს თავისუფლება. ეს არ ჩამოყალიბებულა და ამდენი ხნის მანძილზე არ მომხდარა ეფექტური მთავრობის ჩამოყალიბება, რომელიც მოახერხებდა ქვეყნის ყველა პროდუქტიული ძალის კონსოლიდაციას და გამოყენებას. ხელისუფლებაში მოდიოდა პატარა ძალა, ახდენდა სრულ მონოპოლიზებას და დანარჩენ ძალებს არ აძლევდა საშუალებას, მონაწილეობა მიეღოთ, იგივეს აკეთებდა და პოლიტიკურ პროცესში მხოლოდ ვიწრო კლანი მონაწილეობდა. ამიტომ ქვეყანა დაქსაქსულია. ერთ ნაწილს არ უნდა მეორე ნაწილის გამარჯვება, ანუ ისტორიული შური და მტრობა თანამედროვე გარდამავალ ეტაპზე ისევ მახინჯი ფორმით არის მიღებული. ახლა საჭიროა ახალი მთავრობა, რომელიც შეძლებს ამ ყველაფრის ჩამოყალიბებას და თქმას იმისა, რომ ახლა თანამედროვე პატარა სახელმწიფოების დროა. თანამედროვე პატარა სახელმწიფოები წარმატებას აღწევენ მხოლოდ და მხოლოდ მთელი მისი პროდუქტიული ძალების კონსოლიდაციით. ვინც ამას შეძლებს, ის იქნება გამარჯვებული. თუ საქართველო ამას შეძლებს, საქართველოს ექმნება მომავალი. თუ ამას ვერ შეძლებს, მაშინ საქართველოს მომავალი ვერ ექნება.

***– ბოლო ერთი წლის განმავლობაში, ვთქვათ, ბიძინა ივანიშვილის პრემიერობის პერიოდში იმაზე, რაც თქვენ ახლა საუბრობდით, იქითკენ ნაბიჯები მაინც არ გადაიდგა? თუ ვერ გადაიდგა?***

– ბიძინა ივანიშვილმა ძალიან მძიმე მემკვიდრეობა მიიღო და რთული სიტუაციიდან დაიწყო საქმიანობა, მაგრამ მე მაინც მგონია, რომ შეეძლო ამ ერთ წელიწადში უფრო აქტიური ნაბიჯები გადაედგა ამ მიმართულებით. ჩემი გემოვნებისთვის მთლად ვერ გადადგა ისეთი ნაბიჯები, რომელიც იქნებოდა ქვეყნისთვისაც ეფექტური ეკონომიკური განათლების თვალსაზრისით, საგარეო პოლიტიკური თვალსაზრისით. რაც მთავარია, შიგნით საზოგადოების კონსოლიდირება მოხდებოდა. ეს ჩემი გადასახედიდან ვერ მოხდა.

***– როგორ ფიქრობთ, რატომ ვერ მოახერხა ბატონმა ივანიშვილმა ის, რაზეც თქვენ საუბრობთ?***

– არ ვიცი. ალბათ, ქვეყნის შიგნით გათიშულობამ. ქვეყნის შიგნით არსებულმა სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფებმა, გამოცდილებისა და ცოდნის არ ქონამ ამ სფეროში. ალბათ, ყველაფერმა ერთად.

***– დასავლეთის ზეწოლაც ხომ არ იყო მიზეზი?***

– დასავლეთის ზეწოლა ყოველთვის იქნება. ყველა ქვეყანა არის ზეწოლის ქვეშ, მაგრამ ვაჟკაცობა ის არის, რომ ზეწოლის პირობებში შეძლო შედეგის მიღწევა. არც ერთი ორგანიზაცია, არც ერთი საზოგადოება, არც ერთი ქვეყანა, არც ერთი ადამიანი არ მობილიზებს ზეწოლის გარეშე. წარმატებული ადამიანები ზეწოლის პირობებშიც აღწევენ უმაღლეს შედეგებს. ჩვენ გვინდა, ჩვენი პრემიერი, მთავრობა და ქვეყანა იყოს ასეთი ეფექტური და წარმატებული.

***– მოგეხსენებათ, ბიძინა ივანიშვილი იმ სიტუაციაში გამოჩნდა პოლიტიკაში, როდესაც ოპოზიციური ძალები სრულიად დამარცხებულები იყვნენ რეჟიმთან ბრძოლაში. როგორ ფიქრობთ, კიდევ შეიძლება შეიქმნას ისეთი სიტუაცია, რომ პოლიტიკაში ბიძინა ივანიშვილის კვლავ დაბრუნება გახდეს საჭირო ვითარების შესაცვლელად?***

– ძნელი სათქმელია.

***– ან, ვთქვათ, შეიძლება ნაციონალების დაბრუნებისა და ვითარების დაძაბვის საშიშროება შეიქმნას?***

– ის კი არ არის მნიშვნელოვანი, ნაციონალები იქნებიან თუ ოცნებელები, ჩემთვის მთავარია, ჩემს ქვეყანაში ჩამოყალიბდეს თანამედროვე საზოგადოება, სადაც შეიქმნება მატერიალური და სულიერი სიმდიდრე, რომელიც დანარჩენ კაცობრიობას სჭირდება და ამას ქართველები აკეთებენ. ამისთვის მთავრობა ქმნის გარემოს და ხელს უწყობს ამას. ეს არის ჩემთვის მთავარი. ნაციონალები დაბრუნდებიან თუ არა, მნიშვნელობა არ აქვს.

***– მე ვგულისხმობ დამნაშავე ძალების არ ყოფნას ხელისუფლებაში. შესაძლებელია დამნაშავე ჯგუფები კვლავ მოვიდნენ ხელისუფლებაში?***

– შესაძლებელია თუ მმართველი უძლურია.

***– როგორც ვიცი, ნაციონალებთან თქვენი თანამშრომლობა არ შედგა სააკაშვილთან დაპირისპირების გამო. ბიძინა ივანიშვილთან თქვენი თანამშრომლობა იმიტომ ხომ არ ჩაიშალა, რომ კოალიციაში სხვადასხვა ძალებმა მოიყარეს თავი და მათთვის თქვენი პერსონა მიუღებელი აღმოჩნდა?***

– არ ვიცი. ნაციონალებთან თანამშრომლობა იმიტომ არ შედგა, რომ ნაციონალების პოლიტიკა ჩემთვის სრულიად მიუღებელი იყო.

***– გთავაზობდნენ?***

– თქვენთვის ხომ არის ცნობილი, რომ მიხეილ სააკაშვილი მთავაზობდა თანამშრომლობას, მაგრამ ჩემთვის მიუღებელი იყო, რასაც ის წარმოადგენდა. ამიტომ არ გამოვიდა ჩემი თანამშრომლობა მასთან. ახალი კოალიცია ნამდვილად არაფერს მთავაზობს.

***– კოალიცია არ გთავაზობთ, მაგრამ ბიძინა ივანიშვილთან გქონდათ ურთიერთობა, კონფიდენციალური მიწერ-მოწერა და შესაძლებელი იყო შემოეთავაზებინათ თქვენთვის უფრო მჭიდრო თანამშრომლობა და გამოეყენებინათ თქვენი გამოცდილება და სწავლა-განათლება, მაგრამ ეს არ მოხდა. რატომ, კოალიცია არ გახლდათ თანახმა?***

– გულწრფელად გეუბნებით, წარმოდგენა არ მაქვს.

***– როგორ ფიქრობთ, ბიძინა ივანიშვილის როლს ისტორია როგორ შეაფასებს?***

– ჯერ ისტორიამდე შორია. დღეს ძნელია შეფასება. მისი როლი იყო გადამწყვეტი ნაციონალური მოძრაობის ჭირის ქვეყნისთვის მოსაშორებლად. ამაში მას ძალიან დიდი წვლილი მიუძღვის. ჯერჯერობით, აქ მთავრდება ყველაფერი.

***– ანუ ბიძინა ივანიშვილი კიდევ საჭიროა ქართული პოლიტიკისთვის?***

– მან მთავარი რაც იყო, შეასრულა. დანარჩენი არაფერი არ ჩანს ისეთი შესრულებული. მინდა მან კიდევ ბევრი გააკეთოს. ეს რაც შეეხება პოლიტიკას. სხვა მხრივ, არ ვიცი, რას გააკეთებს.

***– რა შეთავაზებას დათანხმდებოდით?***

– საქმე ისაა, რომ ის ადამიანები, რომლებიც ასპარეზზე არიან, ისინი ასპარეზზე გამოვიდნენ დიდი ხანი არაა. მე მეექვსე კლასიდან ჩემი ქვეყნის დამოუკიდებლობისთვის ვიბრძვი და სისხლი, სწავლა, შრომა, ოფლი მაქვს ჩაღვრილი ამაში. მე არ მჭირდება ვიღაცის მიერ რაღაცის შემოთავაზება. სადაც არ უნდა ვიყო, მთელი ჩემი სიცოცხლის განმავლობაში ბოლომდე ამ ქვეყნის მომავლის გამოსაჭედად ვიბრძოლებ. ვინ რა უნდა შემომთავაზოს!

# ნოდარ ხადური: „საქართველოს ეკონომიკა შოკიდან გამოდის“



ეკონომიკა „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ დატოვებული შოკიდან გამოდის - აღნიშნული განცხადება საქართველოს ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა პარლამენტის პლენარულ სხდომაზე, უმცირესობის წევრების მიერ ქვეყნის ეკონომიკურ ვითარებასთან დაკავშირებით კრიტიკული კითხვების პასუხად გააკეთა.

მისი თქმით, 2013-14 წლებში საქართველოს წინა ხელისუფლების მიერ აღებული ვალის 1.5 მლრდ ლარის გადახდა უწევს, მაშინ როდესაც წინა წლებში 300 მლნ ლარზე მეტი გადასახადი არ იყო.

„ეს ქვეყანას აკლდება, მაგრამ ჩვენ ყველა ვალს მოვემსახურებით და გადავიხდით. გარდა ამისა, მინდა ვთქვა, რომ ქვეყნის ეკონომიკაში გაჯანსაღების პროცესი დაიწყო. კერძო სექტორი გამოვა თქვენი ზეწოლიდან და გამოსულია. ისინი თავისუფლები არიან, არავინ აღარ დაიბარებს არსად და არ წაართმევს ფულს, როგორც ამას აკეთებდით“ - განაცხადა ხადურმა სხდომაზე.

მისი თქმით, გასულ წელს 100 000 000 ლარი იყო აკრეფილი ე.წ არადეკლარირებული გადასახადების საგადასახადო შეთანხმებებით.

„როდესაც ბიზნესმენებს იბარებდა ერთ-ერთი კონკრეტული ჩინოვნიკი და პირდაპირ აწერდა ფულებს, სწორედ ასეა ასი მილიონი ლარი შარშან შესული ბიუჯეტში. სანაცვლოდ ეუბნებოდნენ, რომ წასულიყვნენ და დაეწვათ და გაეუქმებინათ თავიანთი ბუღალტერია“ - განაცხადა ხადურმა.

მან წინა ხელისუფლების მიერ ბიზნესის ზეწოლის რამდენიმე მაგალითი დაასახელა და განაცხადა, რომ წინა ხელისუფლება ეკონომიკური ზრდის იმიტაციას ქმნიდა.

„ეკონომიკური ზრდის იმიტაცია არ უგრძვნიათ ადამიანებს, არც სილარიბე შემცირებულა, ჩვენ მივდივართ იმისკენ რომ კერძო ბიზნესი იყოს თავისუფალი“ - განაცხადა ხადურმა და აღნიშნა, რომ ბიზნესს ინვესტირებისა და სამუშაო ადგილების შექმნის შესაძლებლობა უნდა მიეცეს.

ნიუსპრესი

## „ნაციონალური მოძრაობა“ პარტიაში განხეთქილების არსებობას უარყოფს

,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრები პარტიაში განხეთქილების არსებობაზე გავრცელებულ ინფორმაციას აბსურდულს უწოდებენ.

ისინი პარტიის პოლიტსაბჭოს გუშინდელ სხდომაზე კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით კამათის ფაქტებს ადასტურებენ, თუმცა, უთანხმოების არსებობას არ ადასტურებენ. მათი მტკიცებით, ასევე, სიმართლეს არ შეესაბამება ინფორმაცია იმის შესახებ, რომ პოლიტსაბჭოს სხდომა დავით საყვარელიძემ, გიგა ბოკერიამ და გიორგი კარბელაშვილმა დატოვეს.

,,ეს აბსოლუტური სისულელეა, ჯერ ერთი, გიგა ბოკერია შეხვედრას საერთოდ არ ესწრებოდა და ბათუმში იყო, ზოგადად კი, პოლიტსაბჭო ძალიან წყნარად მსჯელობდა. რა თქმა უნდა, სხვადასხვა მიმდინარე საკითხზე ბევრი დისკუსია იყო. გავრცელებული ინფორმაცია განხეთქილებაზე გამოგონილი და ჭორია“ – განაცხადა ,,ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელმა გოკა გაბაშვილმა.

პარტია ,,ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ პოლიტიკური საბჭოს ყრილობა გუშინ საღამოს გამართა. პოლიტსაბჭომ მიხეილ მაჭავარიანი პარტიის აღმასრულებელ მდივნად დანიშნა. ვანო მერაბიშვილის პატიმრობაში ყოფნამდე იგი გენერალური მდივნის ფუნქციებსაც შეასრულებს.

**ნიუსპრესი**

## „ნაცმძრაობის“ გენმდივნის ფუნქციებს მერაბიშვილის პატიმრობის პეროდში მიხეილ მაჭავარიანი შეასრულებს



პარტია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ გენერალურ მდივნის ფუნქციებს მიხეილ მაჭავარიანი შეასრულებს, რომელიც გუშინწინ პარტიის პოლიტსაბჭოს გადაწყვეტილებით, ,,ნაციონალური მოძრაობის“ აღმასრულებელ მდივნად დაინიშნა.

როგორც პოლიტსაბჭოს წარმომადგენლები აღნიშნავენ, მაჭავარიანი გენდმივნის მოვალეობებს ვანო მერაბიშვილის პატიმრობაში ყოფნის პერიოდში შეასრულებს.

,,ჩვენ თავმჯდომარესთან და პოლიტიკურ ლიდერთან ერთად, გვყავს პოლიტიკური საბჭოს თავმჯდომარე და ორი კვირის შემდეგ გვეყოლება პოლიტიკური მიმართულების მიხედვით მდივნები. გენერალური მდივნის ფუნქციებს კი, მერაბიშვილის არ ყოფნის პერიოდში, აღმასრულებელი მდივანი შეასრულებს“ – განაცხადა გოკა გაბაშვილმა.

პოლიტიკური საბჭოს სხდომაზე, ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრებმა პარტიის ახალი სტრუქტურაც დაამტკიცეს.

**ნიუსპრესი**

## გამოკითხულთა უმრავლესობა მთავარ ოპოზიციურ ძალად „დემოკრატიულ მოძრაობას“ მიიჩნევს

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესის“ მიერ, მიმდინარე წლის 6 ნოემბრიდან 13 ნოემბრამდე საანალიზო პერიოდში ჩატარებული გამოკითხვის შედეგების თანახმად, გამოკითხვაში მონაწილეთა უმრავლესობა, ხელისუფლების მთავარ ოპოზიციურ ძალად ნინო ბურჯანაძის პარტიას მიიჩნევს.

კითხვაზე – „ვის მიიჩნევთ ხელისუფლების მთავარ ოპოზიციურ ძალად,“ გამოკითხულთა 62,9 პროცენტმა უპასუხა, რომ ასეთი ძალა „დემოკრატიული მოძრაობა ერთიანი საქართველოა,“ 22,2 პროცენტის აზრით კი, მთავარი ოპოზიციური ძალა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობაა.“

ამასთან, გამოკითხვაში მონაწილეთა 1,9 პროცენტი ასეთ ძალად „ლეიბორისტულ პარტიას“ მიიჩნევს, 3,7 პროცენტის აზრით კი, მთავარი ოპოზიციური ძალა სხვა პარტიებიდანაა.

დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემა, გამოკითხვაში მონაწილეთა 9,3 პროცენტს გაუჭირდა.

**ნიუსპრესი**

## ოსიაურის საწვრთნელ ბანაკში სამხედროების მოწამვლის ფაქტი დაფიქსირდა

ოსიაურის საწვრთნელ ბანაკში სამხედრო მოსამსახურეების მოწამვლის ფაქტი დაფიქსირდა. 61-მა სამხედრო მოსამსახურემ ერთჯერადი ჩივილებით სამხედრო ნაწილის სამედიცინო პუქტს მიმართა. მომხდართან დაკავშირებით მოკვლევა უკვე დაწყებულია. სისხლის სამართლის საქმე სამხედრო პოლიციამ აღძრა.

ფაქტს უკვე გამოეხმაურა შპს „ქართული კვების კომპანია“, სადაც აცხადებენ, რომ გამოძიების პირველადი მონაცემებით, საკვების მომზადებისას მზარეულის დაუდევრობა გამოიკვეთა. მზარეული სამსახურიდან უკვე დაითხოვეს.

სამხედროები საწვრთნელ პოლიგონზე დაბრუნდნენ, დადასტურდა, რომ მათ მსუბუქი დიარეა აღენიშნებოდათ და ინტოქსიკაციას ადგილი არ ჰქონია.

**ნიუსპრესი**

## ლევან ვასაძეს რაინდის წოდება მიანიჭეს



რა დამსახურებისთვის მიენიჭა ლევან ვასაძეს რაინდის წოდება? ამ შეკითხვით „პირველი რადიოს“ ბაგრატიონთა სამეფო კანცლერს, კახა ქორიძეს დაუკავშირდა. ქორიძის თქმით ვასაძეს ეს წოდება ქვეყნის წინაში მისი დამსახურებისთვის მიანიჭა: „სამეფო გვირგვინის ორდენებია ეს და მისი კავალერი, რაინდი გახდა ლევან ვასაძე, იმ დამსახურებისთვის რა დამსახურებებიც აქვს მას ქვეყნის წინაშე- საგანმანათლებლო ცენტრი, სპორტული მოედნები, რომელსაც აშენებს და გუნდი ყავს სპორტული და ყოველივე ამისთვის იგი იქნა დაჯილდოვებული.“ განუცხადა კახა ქორიძემ „პირველ რადიოს“.

**პირველი რადიო**

## „დემოკრატიული მოძრაობა“ პარლამენტს მოუწოდებს ადვოკატებთან დაკავშირებით კანონში ცვლილებებს მხარი არ დაუჭიროს

„დემოკრატიული მოძრაობა“ ყოვლად გაუგებარს უწოდებს მთავრობის მიერ ინიცირებულ კანონპროექტს „ადვოკატთა შესახებ“, რომლის მიხედვითაც ადვოკატი ვალდებული ხდება საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს მიაწოდოს ინფორმაცია „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული გარიგების თაობაზე.

„გვინდა შეგახსენოთ, რომ ადვოკატის პირდაპირი და ცალსახა ვალდებულებაა დაიცვას პროფესიული საიდუმლოება და ამასთანავე, კლიენტის თანხმობის გარეშე არ გაავრცელოს საადვოკატო საქმიანობის განხორციელების პროცესში მისგან მიღებული ინფორმაცია, აღნიშნული ცვლილება, კი პირდაპირ წინააღმდეგობაში მოდის ადვოკატის ამ მთავარ ვალებულებასთან. საღ აზრსაა მოკლებული ასევე, „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ კანონპროექტში შეტანილი ცვლილება, სადაც მონიტორინგის განმახორციელებელ წრეს ადვოკატის ინსტიტუტიც დაემატა; რომელიც ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვალდებული იქნება მოახდინოს თავისი კლიენტების ანუ გარიგების მონაწილე პირის იდენტიფიკაცია; გარიგების შესახებ ინფორმაციის აღრიცხვა, სისტემატიზაცია და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის წარდგენა“ – ნათქვამია პარტიის განცხადებაში.

როგორც „დემოკრატიულ მოძრაობაში“ განმარტავენ, ადვოკატი რეალურად მოკლებულია შესაძლებლობას განახორციელოს ამგვარი მონიტორინგი, გარდა ამისა ხდება პასუხისმგებლობის დუბლირება, რადგან მონიტორინგის განმახორციელებელი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, ნოტარიუსები და ა.შ ისედაც აწვდიან ამ ინფორმაციას სახელმწიფო მონიტორინგის სამსახურს.

„დემოკრატიული მოძრაობა“ ყოვლად დაუშვებლად მიიჩნევს სახელმწიფოს ჩარევას კლიენტისა და უფლებადამცველის ურთიერთობაში.

„იქმნება შთაბეჭდილება, რომ ბოლო პერიოდში საქართველოს პარლამენტში ინიცირებული კანონპროექტები გამიზნულად ებრძვის სამოქალაქო საზოგადოებას და ადვოკატის ინსტიტუტის ჩამოშლისკენაა მიმართული. კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ დაუშვებელია ადვოკატის დავალდებულება კონფიდენციალური ინფორმაციის გათქმაზე. მსოფლიოს ყველა დემოკრატიულ სახელმწიფოში დაცულია პროფესიული საიდუმლოება. მით უმეტეს,ადვოკატისა და კლიენტის ურთიერთობა ნდობისა და კონფიდენციალურობის ქვაკუთხედზე დგას“ – აღნიშნავს პარტია.

„დემოკრატიული მოძრაობა“ მოუწოდებს საქართველოს პარლამენტს არ დაუჭიროს მხარი აღნიშნულ ცვლილებებს, მოუწოდებს დეპუტატებს, რომლებიც წინა ხელისუფლების პირობებში დაკავებულნი იყვნენ უფლებადაცვითი საქმიანობით, რომ არ მისცენ ხმა ადვოკატის ინსტიტუტის დისკრედიტაციას.

**ნიუსპრესი**

## ზუგდიდის ცენტრში პოლიციელის დაჭრაში ბრალდებულის მხარდამჭერი აქცია გაიმართა

ზუგდიდის ცენტრში, დრამატული თეატრის წინ პოლიციელის დაჭრაში ბრალდებულ კონსტანტინე გულორდავას მხარდამჭერი აქცია გაიმართა. აქციის პარალელურად თეატრის შენობაში თვითმმართველობის კოდექსის განხილვა მიმდინარეობდა.

ოჯახის წევრები და ახლობლები გულორდავას დაუყოვნებლივ პატიმრობიდან გათავისუფლებას ითხოვდნენ. აღნიშნულ საკითხზე სასაუბროდ მათ ხელისუფლების წარმომადგენლებთან შეხვედრაც სურდათ.

ინფრასტრუქტურის მინისტრი დავით ნარმანია აქციის მონაწილეებს გაესაუბრა და მათ სიმშვიდისკენ მოუწოდა.

,,ძალიან მძიმე რამ იყო რაც მოხდა, თუმცა კანონი კანონია და სამართლიანობა სამართლიანობაა“– აღნიშნა ნარმანიამ.

შეგახსენებთ, რომ საპატრულო პოლიციის თანამშრომელი ზუგდიდში დაჭრილი გუშინ იპოვეს. არსებული ინფორმაციით, კონსტანტინე გულორდავამ პოლიციის თანამშრომელს გოგა ანჩაბაძეს პირადი კონფლიქტის გამო, ჯერ ყური მოაჭრა, შემდეგ კი სხეულის მრავლობითი დაზიანებები მიაყენა. ამჟამად გულორდავა დაპატიმრებულია. გავრცელებული ინფორმაციით, ანგარიშსწორების მიზეზი გულორდავას მეუღლის გაუპატიურების მცდელობა გახდა.

**მედიანიუსი**

## „ეროვნული ფრონტი“ „იდენტობის“ პროექტის განხორცილების შემთხვევაში მძიმე შედეგებით იმუქრება

არასამთავრობო ორგანიზაცია „ეროვნული ფრონტი“ არასამთავრობო ორგანიზაცია „იდენტობის“ მიერ ინიცირებულ პროექტს, რომელიც ბავშვთა და მოხუცთა თავშესაფრის მოწყობას გულისხმობს, მზაკვრულ ჩანაფიქრად აფასებს.

ამის შესახებ ორგანიზაციის წარმომადგენლებმა გუშინ „პრაიმტაიმის „ პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადეს და დასძინეს, რომ პროექტი მიზნად ისახავს ავადმყოფური და არაბუნებრივი იდეების დამკვიდრება--განხორცილებას მომავალ თაობებში და ატარებს სატანურ, არაქართულ, არატრადიციულ მიზნებს.

როგორც „ეროვნული ფრონტის“ თავმჯდომარე ევგენი მიქელაძე აცხადებს, ქართული საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი პროექტის განხორციელებას ყველანაირი ხერხით დაუპირისპირდება და „17 მაისი იქნება მოგონილი“.

„ვეროპაშიც მიხვდნენ, რომ ეს ფასეულობები, რომლებიც ეწინააღმდეგება ღვთის კანონებს, ეროვნულ, სახალხო კანონებს, არის მიუღებელი. ქართველი არ დაუშვებს, რომ მისი მომავალი თაობის ღირებულობები შეცვალოს ერთი მუჭა გრანტიჭამია ადამიანების ჯგუფმა, რომლებიც ვითომ კეთილშობილური მიზნებით აპირებენ საკუთარი მზაკვრული მიზნების განხორციელებას. ქართველი საზოგადოების რეაქცა იქნება უმწვავესი და შემიძლია ვთქვა, რომ ეს პროექტი არ განხორციელდება“,-განაცხადა ევგენი მიქელაძემ და დაამატა, რომ თუ სახელმწიფო ვერ შეიგნებს, რომ წესებს ამკვიდრებს ქართველი ერი და არა ე. წ გარკვეული ეკონომიკური კლანები მსოფლიოს სხვადასხვა წერტილიდან, მაშინ შედეგები იქნება ძალიან მძიმე.

მისივე თქმით, სახელმწიფო ვალდებულია შეასრულოს ქართველი ხალხის დაკვეთა, რადგან ძალაუფლების წყარო არის ქართველი ხალხი. ამასთან, ორგანიზაციის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ქართული ტრადიციების დასაცავად ქართველი ერი უფლებამოსილია გამოიყენოს ძალა.

როგორც ევგენი მიქელაძემ აღნიშნა, ესეთი ორგანიზაციების მარგინალიზაცია მოხდება ძალიან მალე და ისინი მოითხოვენ, რომ კანონმდებლობით უცხოეთიდან მსგავსი ორგანიზაციების დაფინანსება შეწყდეს, რათა ისინი ეწევიან ანტიჰუმანური, ანტიეროვნული და ანტისაზოგადოებრივი ფასეულობების დამკვიდრებას.

გარდა ამისა ,,ეროვნული ფრონტი“ სახელმწიფოს ურჩევს, ის თანხა რაც ,,იდენტობის“ მზაკვრული მიზნის შესასრულებლად არის გამოყოფილი, მათივე რეაბილიტაციას მოხმარდეს, რათა დაუბრუნდნენ რეალობას.

ცნობისთვის: არასამთავრობო ორგანიზაცია „იდენტობა“ უსახლკაროდ დარჩენილი ბავშვებისა და მოხუცებისთვის დროებითი თავშესაფრის გახსნის ინიციატივით გამოვიდა. აღნიშნულ ინიციატივის განხორცილებას საქართველოს საპატრიარქოც ეწინააღმდეგება.

**მედიანიუსი**

## ემიგრანტები ქვეყნის განვითარების საკითხში უნდა ჩაერთნენ

**ნათია ხურცილავა**

გუშინ ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში სახელმწიფო მინისტრმა ალექსი პეტრიაშვილმა ქართველ ემიგრანტებზე ისაუბრა.

ალექსი პეტრიაშვილი მიგრაციისა და განვითარების საკითხებზე გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა, სადაც საქართველოს იმ მოქალაქეების მომავალზე იყო საუბარი, რომლებიც დღეს საზღვარგარეთ იმყოფებიან.

როგორც ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა კონფერენციის გახსნამდე განაცხადა: საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც საზღვარგარეთ იმყოფებიან, საქართველოს განვითარების პროცესებში აქტიურად უნდა იყვნენ ჩართულები.

– ჩვენ უნდა აუცილებლად ყველა ღონე ვიხმაროთ იმისთვის, რომ ჩვენი მოქალაქეები, რომლებიც არცთუ ისე უმნიშვნელო რაოდენობით არიან ქვეყნის გარეთ გასულები, იყვნენ აქტიურად ჩართულები საქართველოს განვითარების პროცესებში. ასევე, საუბარი იქნება მიგრაციულ მოვლენებზე, მიგრაციულ პროცესებზე ამ მხრივ ძალიან მნიშვნელოვანია ევროკავშირთან თანამშრომლობა, საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა და მე ვთვლი, რომ ეს ის საკითხებია, რომელიც საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციისა და საქართველოს დემოკრატიული განვითარების გზაზე აუცილებლად უნდა იყოს განხილული, – განაცხადა პეტრიაშვილმა.



კონფერენციაზე განიხილება ისეთი საკითხები, როგორიცაა: დიასპორასთან ურთიერთობის სტრატეგიათა ანალიზი საზღვარგარეთ მცხოვრებ თანამემამულეთა ეფექტიანი და გრძელვადიანი ჩართულობის უზრუნველსაყოფად, ქვეყნების გამოცდილება დიასპორული ინვესტიციის მოზიდვის კუთხით -ადგილობრივი მეწარმეებისა და სამთავრობო ლიდერების დაკავშირება დიასპორის წარმომადგენლებთან, წვდომა ფონდებთან, საკუთრების უფლება, საგადასახადო შეღავათები და ა.შ. და ადამიანური კაპიტალის გამოყენება – დიასპორის ინტელექტუალური კაპიტალის გამოყენების გზები – დიასპორის კვალიფიცირებული წარმომადგენლების დროებითი უკან დაბრუნების, ტვინთა ცირკულაციის და ადამიანური კაპიტალის გადაცემის თემები.

კონფერენცია მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის საქართველოს მისიის ხელმძღვანელმა საქართველოში ილიანა დერილოვამ და დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა კონსტანტინე სურგულაძემ გახსნეს.

კონფერენციის მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით საქართველოს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წევრებმა მიმართეს.

კონფერენციაზე განიხილება ისეთი საკითხები, როგორიცაა: დიასპორასთან ურთიერთობის სტრატეგიათა ანალიზი საზღვარგარეთ მცხოვრებ თანამემამულეთა ეფექტიანი და გრძელვადიანი ჩართულობის უზრუნველსაყოფად, ქვეყნების გამოცდილება დიასპორული ინვესტიციის მოზიდვის კუთხით -ადგილობრივი მეწარმეებისა და სამთავრობო ლიდერების დაკავშირება დიასპორის წარმომადგენლებთან, წვდომა ფონდებთან, საკუთრების უფლება, საგადასახადო შეღავათები და ა.შ. და ადამიანური კაპიტალის გამოყენება-დიასპორის ინტელექტუალური კაპიტალის გამოყენების გზები – დიასპორის კვალიფიცირებული წარმომადგენლების დროებითი უკან დაბრუნების, ტვინთა ცირკულაციის და ადამიანური კაპიტალის გადაცემის თემები.

კონფერენცია სასტუმრო ,,შერატონ მეტეხი პალასში“ მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციისა და დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ერთობლივი ორგანიზებით გაიმართა.

# თბილისის მოდის კვირეული ჩაიშალა

ეკა ირემაშვილი

თბილისის მოდის კვირეული ჩაიშალა. როგორც მისმა ორგანიზატორმა მოდელმა თაკო ჩხეიძემ განაცხადა, ამის მიზეზი სახელმწიფო და ბიზნეს სტრუქტურების პასიურობა გახდა.

სამოდელო სააგენტო „ჯეომოდელში“ საგანგებო პრესკონფერენცია გაიმართა, სადაც თბილისის მოდის კვირეულის ორგანიზატორებმა მისი ჩაშლის მიზეზებზე დეტალურად ისაუბრეს. საუბარი ასევე შეეხო მოდის სფეროში არსებულ სირთულეებსა და გამოწვევებს, ქვეყანაში მოდის კვირეულის არსებობის მნიშვნელობას და თბილისის ყველაზე მოდური ღონისძიების ამ სეზონის გაუქმების მიზეზებს.

– თბილისის მოდის კვირეულის მე-9 სეზონი, 2014 წლის გაზაფხული-ზაფხულის კოლექციების ჩვენებები არ გაიმართება, – ასეთი განცხადება გაკეთდა თბილისის მოდის კვირეულის ორგანიზატორების მიერ საგანგებოდ გამართულ პრესკონფერენციაზე სამოდელო სააგენტოში „ჯეომოდელს“.

საქართველოში არსებული ყველაზე წარმატებული მოდური პროექტის მიმდინარე სეზონის გაუქმების ძირითად მიზეზად სახელმწიფო და ბიზნეს სტრუქტურების პასიურობა დასახელდა.

მიუხედავად იმისა, რომ ყოველ სეზონზე კულტურის სამინისტრო და თბილისის მერია მინიმალურად, მაგრამ მაინც მხარში ედგნენ ამ პროექტს, ამ სეზონზე მათ პრიორიტეტებში თბილისის მოდის კვირეული, სამწუხაროდ, აღარ მოექცა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არსებულ და პოტენციურ სპონსორებთან აქტიური მოლაპარაკებების მიუხედავად, თანამშრომლობა ვერ შედგა.

– ჩვენ იმედს ვიტოვებთ, რომ ეს



დროებითი მოვლენაა და მსოფლიოში არსებული ზოგადი ეკონომიკური კრიზისის შედეგია, რაც სამომავლოდ, გაზაფხულის ღონისძიებისთვის გამოსწორდება. კიდევ ერთხელ გვინდა აღვნიშნოთ თბილისის მოდის კვირეულის მნიშვნელობა საქართველოში მოდის სფეროს განვითარებისთვის, რაც პირდაპირპროპორციულად აისახება არა მხოლოდ კონკრეტული დიზაინერების წარმატებაზე, არამედ თბილისისა და საქართველოს პოპულარიზაციაზე მსოფლიო მასშტაბით, ადამიანების დასაქმებაზე, ეკონომიკისა და ტურიზმის სფეროს განვითარებაზე. მოგეხსენებათ, რომ მოდის სფეროში დასაქმებული ადამიანები დიზაინერები, კონსტრუქტორები, მკერავები, მოდელები, სტილისტები, ფოტოგრაფები, ბლოგერები – პირდაპირ არიან დაკავშირებული მოდის კვირეულთან, რაც მათი საქმიანობის შეფასების საუკეთესო საშუალებაა. თბილისის მოდის კვირეულის არსებობის ოთხი წლის მანძილზე, საკმაოდ სერიოზულ შედეგებზე შეგვიძლია საუბარი, რაც პირველ რიგში იმაში მდგომარეობს, რომ თბილისი გახდა რეგიონული ცენტრი, სადაც წელიწადში ორჯერ თავს იყრიან მოდის სფეროს წარმომადგენლები მთელი რეგიონიდან, მათ შორის აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან, უკრაინიდან, რუსეთიდან, ყაზახეთიდან და ასევე, მედიისა და საერთაშორისო ქსელების წარმომადგენლები ევროპის ქვეყნებიდან. ორგანიზატორები ახალი შემართებით ვიწყებთ მუშაობას შემდეგი სეზონისთვის, რომ გაზაფხულზე განახლებული ფორმატით შემოგთავაზოთ თბილისის მოდის კვირეული და ვიმედოვნებთ, რომ მეტი მხარდაჭერა გვექნება სახელმწიფოსგან და ბიზნესსექტორისგან, – ამბობენ თბილისის მოდის კვირეულის ორგანიზატორები.

თბილისის მოდის კვირეულისთვის მზადება ჩვეულ რეჟიმში მიმდინარეობდა და კვირეულის ჩაშლის შესახებ მისმა დამფუძნებლებმა და დიზაინერებმა ერთი თვის წინ შეიტყვეს. შემოდგომის სეზონი, სადაც 2014 წლის გაზაფხული-ზაფხულის კოლექციები უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი, 13-17 ნოემბერს იყო დაგეგმილი. კვირეულის ორგანიზატორის თაკო ჩხეიძის თქმით, „თბილისის მოდის კვირეული“ გაზაფხულზე აუცილებლად ჩატარდება.

# ეროვნული მუზეუმი მეცნიერულ კვირეულს იწყებს

ეკა ირემაშვილი

საქართველოს ეროვნული მუზეუმი „მეცნიერების კვირეულის“ ფარგლებში 19 ნოემბერს დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნულ გალერეაში წარმოადგენს „მთვარის მუზეუმის“ გამოფენას.

– 1969 წლის 20 ივლისს, პირველად, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა კაცობრიობის ისტორიაში „გიგანტური ნაბიჯი“ გადადგა. ამერიკელმა ასტრონავტმა ნილ არმსტრონგმა პირველმა გაიარა ფეხით მთვარეზე. ამერიკის შეერთებული შტატების აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნული სამმართველოს „ნასას“ მიერ 1969 წლის 14 დან 24 ნოემბრის ჩათვლით მთვარეზე რიგით მეექვსე პილოტირებული მისია განხორციელდა. აღნიშნული მისიის მიზანი უფრო მეტი სეისმოლოგიური, სამეცნიერო და ტექნიკური მონაცემის შეგროვება და ფართო სელეონოლოგიური დაკვირვება იყო. ეს სამკაციანი შემადგენლობა დაკომპლექტებული იყო პროფესიონალი ასტრონავტებით ალან ბინით, ჩარლზ „პიტ“ კონრადით და რიჩარდ გორდონით, – აღნიშნა ეროვნული მუზეუმის წარმომადგენელმა ანა ვერულაშვილმა.

მისივე განმარტებით, „მთვარის მუზეუმის“ იდეის დაბადებას და მის განხორციელებას საინტერესო ისტორია აქვს. 1960 იან წლებში „ნასამ“ ინიციატივით მიმართა მხატვრებს, რომ აპოლოს წარმატებით განხორციელებული მისიიდან გამომდინარე შეექმნათ ნამუშევრები.

– „ექვსი დიდი მხატვრის შეკრება და ერთად მთვარეზე პატარა მუზეუმის შექმნა ჩემი იდეა იყო“, – ამბობს ფორესტ „ფროსტი“ მაიერსი. ენდი უორჰოლი, რობერტ რაუშენბერგი, დევიდ ნოვროსი, ჯონ ჩემბერლეინი, კლაუს ოლდენბურგი და თვითონ ფორესტ მაიერსი არიან ის მხატვრები, რომელთაც შექმნეს გამოსახულებები მთვარის მუზეუმის იდეის გარშემო. „ეს ძალიან დიდი რამ იყო ხელოვანისათვის. ჩვენ გავცდით პლანეტას“, – ამბობს ფორესტ მაიერსი. ტექნოლოგიური ჩარევის შედეგად ნამუშევრების მასშტაბები დააპატარავეს და ერთი მცირე ზომის კერამიკულ ჩიპზე განათავსეს. „გრუმანის“ ინჟინრების დახმარებით ერთ-ერთი ჩიპი აპოლო 12-ის „ლემ-6“-ის კოსმოსური ხომალდის მოდულში მოათავსეს და მთვარეზე გაამგზავრეს. ხომალდი მთვარეზე 1969 წლის 19 ნოემბერს დაფრინდა. გამოფენაზე, საქართველოს ეროვნულ გალერეაში პირველად იქნება წარმოდგენილი აპოლო 12-ის არტეფაქტები: მოდულის ფოლგა, სადაც ჩიპი იყო მოთავსებული და მისი ლითონისგან დამზადებული მონეტები და, რაც ასევე საინტერესოა, „მთვარის მუზეუმის“ ფარგლებში რამდენიმე თანამედროვე მხატვრის მიერ სპეციალურად ამ მოვლენისადმი შექმნილი ნამუშევარი, – აღ-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# ქართველმა მომღერლებმა გრანპრი მოიპოვეს

ეკა ირემაშვილი

**ესპანეთის ქალაქ ლორეტ დე მარში გამართულ ფოლკლორის საერთაშორისო ხელოვნების ფესტივალზე ქართველმა მონაწილეებმა უმაღლესი ჯილდო გრანპრი მოიპოვეს. ფესტივალზე „იქ, სადაც მზეა" საქართველოს წარმოადგენდა ანსამბლი „საგალობელი" და გიორგი გიგაშვილი. მათ საუკეთესო მუსიკალური ნომრების შესრულებისთვის გრანპრი და პირველი ადგილი დაიმსახურეს.**

ფესტივალში საქართველოს გარდა, წელს მონაწილეობდა რუსეთი, უკრაინა, ყაზახეთი, ბელორუსი, ლატვია, ლიტვა, გერმანია და იტალია. ანსამბლი „საგალობელი“, რომელსაც მაია მიქაბერიძე ხელმძღვანელობს, საერთაშორისო ფესტივალზე ქართული ხალხური სიმღერებითა და ცეკვებით წარდგა. გიორგი გიგაშვილმა შოპენის ნაწარმოების შესრულებისთვის გრანპრი დაიმსახურა.

საერთაშორისო ფესტივალი ესპანეთში 2-9 ნოემბერს ჩატარდა და ის „ფიესტალონია მილენიოს“ ორგანიზებით მოეწყო.

გასულ წელს ანსამბლმა ფესტივალზე „ფიესტალონია“ მოიპოვა გრანპრი. წელს, როგორც საქართველოს წარმომადგენელი, წინასწარი შერჩევის გარეშე მოხვდა მონაწილეთა სიაში. ანსამბლის ხელმძღვანელები არიან მაია მიქაბერიძე და თორნიკე მანწკავა.

ანსამბლმა შარშან ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში კონცერტი ჩაატარა, სადაც თავისი შემოქმედება ფართო საზოგადოების წინაშე გამოიტანა. ანსამბლს გამოცემული აქვს კომპაქტდისკები, მათ შესახებ გადაღებულია სატელევიზიო ფილმი „მღერის საგალობელი“. ანსამბლ „საგალობელში“ მოიაზრება სხვადასხვა ასაკის შემსრულებლები ბავშვთა ანსამბლი „საგალობელი“, ასაკი 6-დან-17 წლამდე და ვაჟთა ვოკალური ანსამბლი „საგალობელი“.

ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლი „საგალობელი“ ჩამოყალიბდა 1993 წელს. დაარსებიდან დღემდე ანსამბლის ხელმძღვანელები არიან რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი რამინ მიქაბერიძე და მაია მიქაბერიძე. ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლი „საგალობელი“ და გოგონათა ანსამბლი „მანდილი“ ქართული ხალხური სიმღერების შესწავლის მსურველებსაც იღებს. მათ სტუდიაში შეისწავლება საქართველოს ყველა კუთხის და ჟანრის სიმღერა და გალობა. ყოველი სასწავლო წლის ბოლოს ტარდება საანგარიშო კონცერტი, სადაც ანსამბლები მსმენელს წარუდგენენ მიმდინარე წლის ნამუშევარს. ანსამბლები „საგალობელი“ და „მანდილი“ აქტიურ მონაწილეობას იღებენ საქართველოს და მის ფარგლებს გარეთ ჩატარებულ სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებებში, ფესტივალებსა და კონკურსებში. რასაც მოწმობს მათ მიერ მოპოვებული დიპლომები და საპატიო სიგელები. საქართველოს პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით ანსამბლი „საგალობელი“ წმინდა სამების საკათედრო ტაძარში გალობს.


## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

**იცხოვრეთ მომავალისთვის.**
**უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის**




**საბანკო რეკვიზიტები:**
ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)



# განცხადებები

● სასწრაფოდ იყიდება ბინა მდებარე მოსკოვის გამზირზე ახლადაშენებულ 11-სართულიან კორპუსში, მე-9 სართულზე, 55 მკვ აივნით და კარგი ხედით, ფასი შეთანხმებით. ტელ: 599191967 გელა.

● მკურნალობა ძვალ-სახსართა ნებისმიერ პრობლემაზე, კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, ართრიტების და ა.შ. დაზიანებული და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის მოხსნა, ასევე წონის დაკლება 5-15 კგ თვეში, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-156-333; 218-46-08 ექიმი ქ-ნი ნინო.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლსა და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, ჩაკეტილობას, დაძაბულობას, აფორიაქებას, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას, დეპრესიას. ვმუშაობ ბავშვებზეც. გამოცდილება 35-წლიანი, შედეგი გარანტირებული, გიწვევთ სკეპტიკოსებსაც და იმედგაცრუებულებსაც. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-498-423 კონსულტაცია უფასოა.

● გახდომა-გასუქება 5-15 კგ თვეში, სიმაღლეში ზრდა 5-25 წლამდე მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენებების გარეშე. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (ოფისი), ექ. ქ-ნი სალომე.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571720311– ქ-ნი მარიამი.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასალებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● გახდომა 5-20 კგ-მდე დიეტის გარეშე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია..

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.

# წყალბურთელებს პლეი ოფამდე ტესტ მატჩები სჭირდებათ

საქართველოს წყალბურთელთა ეროვნულმა ნაკრებმა პორტუგალიის დედაქალაქ პორტოში მიმდინარე 2014 წლის ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირი წარმატებით გაიარა და პლეი-ოფის საგზური მოიპოვა. თბილისში დაბრუნებულმა წყალბურთელთა ნაკრებმა და საწყლოსნო სახეობათა ფედერაციის ხელმძღვანელობამ დასკვნითი საკვალიფიკაციო ეტაპი შეაჯამა.

პრესკონფერენციაზე ჟურნალისტების შეკითხვებს ნაკრების თავკაცმა ვლადიმერ ისელიძემ, ფედერაციის პრეზიდენტმა დავით რურუამ, ნაკრების კაპიტანმა ზურაბ რურუამ და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილემ თამაზ თევზაძემ უპასუხეს.

თამაზ თევზაძე:

– წყალბურთელებმა ძალიან გაგვახარეს. ეს უმნიშვნელოვანესი წარმატებაა და იმედია კიდევ უფრო დიდი წარმატების საფუძველი. ველით კენჭისყრას. ცოტა იღბალია საჭირო და იმედია ფინალური ეტაპის საგზურსაც მოვიპოვებთ. სათამაშო სახეობები პრიორიტეტულია სპორტში.

დავით რურუა:

– მადლობა ყველას, ვისაც ამ წარმატებაში წვლილი მიუძღვის. მოგეხსენებათ ნაკრებში ნატურალიზებული სპორტსმენებიც გვყავს და ყველასათვის ცნობილია, რამხელა ძალას წარმოადგენენ ისინი გუნდისთვის. პორტუგალიაში ყველაზე მეტად ქართველი წყალბურთელების განსაკუთრებულად ძლიერად თამაშმა გამახარა. რაც შეეხება მომავალ ეტაპს, სამივე შესაძლო მეტოქე თითქმის თანაბარი ძალისაა, მაგრამ მაკედონიასთან შეხვედრას ყველაზე ნაკლებად ვისურვებდი. წინ ძალიან მძიმე და საპასუხისმგებლო ორი თამაში გველის და თებერვლამდე მაქსიმალურად კარგად უნდა მოვემზადოთ. კენჭისყრა 30 ნოემბერს შედგება. შევიტყობთ თუ არა მეტოქის ვინაობას, უმალ დეტალურად უნდა დავგეგმოთ მოსამზადებელი ციკლი. დარწმუნებული ვარ, სპორტის სამინისტრო ყველანაირად დაგვეხმარება.

ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ვლადიმერ ისელიძემ განაცხადა, რომ მოსამზადებელ პერიოდში ყველაზე მეტად ნაკრებს ამხანაგური მატჩები დასჭირდება და იმედი გამოთქვა, რომ ამის პრობლემა არ შეიქმნება. ნაკრების კაპიტანმა ზურაბ რურუამ კი ჟურნალისტებს უთხრა, რომ მომავალი პლეი ოფი მისი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ეტაპი იქნება.

პორტოში გამართულ საკვალიფაკიციო ეტაპზე ქართველმა წყალბურთელებმა 5 შეხვედრა გამართეს და 4 გამარჯვებითა და 1 მარცხით ჯ ჯგუფი პირველ ადგილზე დაასრულეს.

საქართველოს ნაკრები საკვალიფიკაციო ეტაპებზე მოგროვილი 40 ქულით ჯამში შესარჩევი რაუნდის მოწინავე სამეულში მოხვდა და წილისყრის შედეგად, პლეი-ოფში მეტოქედ გასული ევროპირველობის მეათე-მეთორმეტე ადგილოსან ნაკრებთაგან (ჰოლანდია, მაკედონია, თურქეთი) ერთ-ერთს შეხვდება. საქართველოს ნაკრები მეტოქის ვინაობას 30 ნოემბერს ჩატარებული კენჭისყრის შემდეგ შეიტყობს.

პირველ-მეორე შესარჩევ რაუნდებში მთავარ მწვრთნელ ვლადიმერ ისელიძის გუნდმა ბრწყინვალედ ითამაშეს და ორივეჯერ პირველი ადგილი დაიკავეს. პორტუგალიაში ჩატარებულ ბოლო მესამე ეტაპზე კი ნაკრებმა შვეიცარია 24:7 დაამარცხა, მალტას 11:4 სძლია, ერთნაირი ანგარიშებით 17:9 აჯობა ბელარუსსა და პორტუგალიას და მხოლოდ სლოვაკეთთან წააგო 16:17, თუმცა მიუხედავად ამ მარცხისა, მაინც პირველი ადგილი მოიპოვა.

პლეი-ოფის მატჩები 2014 წლის 15 თებერვალს და 12 აპრილს მიმოსვლითი სისტემით შედგება, გამარჯვებული 6 გუნდი კი იმ ექვსეულს შეუერთდება, რომლებსაც 2014 წლის 13-26 ივლისს ბუდაპეშტში გასამართი ევროპის პირველობის საგზურები უკვე განაღდებული აქვთ. მასპინძელი უნგრეთის გარდა, ესენი არიან – სერბეთი, ჩერნოგორია, იტალია, გერმანია და საბერძნეთი, რომლებმაც წინა ევროპის ჩემპიონატი მოწინავე ხუთეულში დაასრულეს.

# ბორჯღალოსნები ამერიკისთვის ემზადებიან

ბორჯღალოსნები ნოემბრის მეორე ტესტ-მატჩისათვის მზადებას განაგრძობენ და 12 ნოემბერს შევარდენის სანაკრებო ბაზაზე ღია ვარჯიში გამართეს. მთავარი სიახლე ის არის, რომ შეკრებას გიორგი ნემსაძე და გიორგი შკინინი შეუერთდნენ. ამის მიზეზი ვიტო კოლელიშვილის ერთთვიანი დისკვალიფიკაციაა, რომელიც კანადელთა კაპიტანთან ჩხუბის გამო დაისაჯა.

გუნდთან ერთადაა, მაგრამ არ უვარჯიშია ირაკლი მაჩხანელს. მან კანადელებთან მატჩში კოჭი იტკინა და ჯერჯერობით უცნობია შეძლებს თუ ვერა ამერიკელთა წინააღმდეგ თამაშს. შკინინი მის შემცვლელად მოიაზრება.

ინდივიდუალური პროგრამით, მსუბუქად ემზადებოდა მერაბ კვირიკაშვილი. მან კანადასთან მატჩში, პირველ ტაიმში ატეხილი ჩხუბისას თითი მოიტეხა, მაგრამ მოედანი არ დატოვა და მეორე ტაიმი ტრავმირებულმა ჩაატარა. თუმცა, „მეკო" ალბათ ამერიკელებთან ითამაშებს.

ვარჯიშის მიხედვით, აშშ-სთან მატჩი სასტარტო შემადგენლობაში უნდა დაიწყოს პირველხაზელმა დავით ხინჩაგიშვილმა, ხოლო კოლელიშვილის ადგილს შალვა სუთიაშვილი დაიკავებს, რომელმაც კანადელთა წინააღმდეგ შეცვლაზე ითამაშა. სასტარტოში უნდა გამოჩნდეს კანადელებთან ერთადერთი ლელოს ავტორი თედო ზიბზიბაძე.

ვარჯიში დაახლოებით ორი საათი გაგრძელდა. მორაგბეებმა რაქების გაწმენდაში, პირველი ბურთის აღებაში და დერეფნიდან შეტევების წამოწყებაში ივარჯიშეს. მერე 15 კაცი, რომელიც სასტარტო შემადგენლობად მოიაზრებოდა, მწვრთნელებმა ჯერ დაცვაში და მერე შეტევაში ავარჯიშეს.

**მერაბ შარიქაძე:**

– როგორც ყოველთვის, გუნდში საბრძოლო განწყობაა. აშშ-სთან მატჩისთვის დიდი მონდომებით ვემზადებით. ამერიკასთან მარცხი ჩვენთვის ცუდი იქნება, რადგან ასეთ შემთხვევაში ჩვენი რეიტინგი მკვეთრად გაუარესდება და ეს არ უნდა დავუშვათ. მნიშვნელოვანი ფაქტია ისიც, რომ თამაში რუსთავში ტარდება, რადგან იქ სანაკრებო მატჩი პირველად ტარდება და დიდი სტიმული იქნება, როგორც ქალაქისთვის, ისე რუსთავში რაგბის პოპულარიზაციისთვის. ეს ხელს შეუწყობს რაგბის განვითარებას თბილისს გარეთ, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ქართული რაგბისთვის. საქართველოში ჩამოსვლამდე, კანადელების მსგავსად, ამერიკელებიც ზელანდიელ „მაორებს" ეთამაშნენ. ჩვენ ეს თამაში განვიხილეთ და ვნახეთ, რომ ისინი კანადელებზე უფრო ფიზიკურად ძლიერი მორაგბეები არიან. ვფიქრობთ, აქედან გამომდინარე უფრო მძიმე თამაში მოგვიწევს და ბოჭვებიც წინა მატჩთან შედარებით უკეთ უნდა შევასრულოთ. კანადელებთან მატჩის საწყის წუთებში რამდენიმე ბოჭვა გაგვიფუჭდა და ამჯერად ასეთი რამ აღარ უნდა განმეორდეს. მართალია, კანადის ნაკრები აშშ-ს უმეტეს შემთხვევაში უგებს, მაგრამ ჩვენთვის ეს ორივე გუნდი თანაბარი ძალისაა. განსხვავება ისაა, რომ კანადელები უფრო სწრაფები არიან, ხოლო ამერიკელები ფიზიკურად ძლიერები.

## კალათბურთი

**ნბა. რეგულარული სეზონი**

| | |
|---|---|
| მაიამი-მილუოკი | 118:95 |
| *ზაზა ფაჩულია: 3 ქულა, 5 მოხსნა* | |
| დალასი-ვაშინგტონი | 105:95 |
| გოლდენ სტეიტი-დეტროიტი | 113:95 |
| ლეიკერსი-ნიუ ორლეანი | 116:95 |

## ჰოკეი

**ნჰლ. რეგულარული სეზონი**

| | |
|---|---|
| ბუფალო-ლოს ანჯელესი | 2:2(1:0ბ) |
| ვაშინგტონი-კოლამბუსი | 4:3(ოტ) |

## შედეგები

| | |
|---|---|
| კაროლინა-კოლორადო | 2:1 |
| აილენდერსი-ნეშვილი | 3:1 |
| რეინჯერსი-ნიუ ჯერსი | 2:3 |
| დეტროიტი-ვინიპეგი | 2:2(0:1ბ) |
| მონრეალი-ტამპა ბეი | 1:1(0:1ბ) |
| ოტავა-ფილადელფია | 0:5 |
| ფროლიდა-ანაჰაიმი | 3:2 |
| სენტ ლუისი-ფინიქსი | 2:2(0:1ბ) |
| კალგარი-სან ხოსე | (2:2ბ) |

# ილია კოკაიას 3-დღიანი ულტიმატუმი ზვიად სიჭინავას

„ზესტაფონის" პრეზიდენტმა ილია კოკაიამ კლუბის ოფისში საგანგებო პრესკონფერენცია გამართა. როგორც მოგეხსენებათ, სფფ-ს საფეხბურთო დავების განმხილველმა სპორტულმა ტრიბუნალმა „ზესტაფონის" ფეხბურთელ თორნიკე გორგიაშვილს თავისუფალი აგენტის სტატუსი მიანიჭა და ძალაში დატოვა სფფ-ს სააპელაციო კომიტეტის გადაწყვეტილება. სარეზოლუციო ნაწილში კი მიუთითა, რომ გადაწყვეტილება არ საჩივრდება. კოკაიას პრესკონფერენციაც სწორედ ამ საკითხს და კლუბის მომავალს შეეხო.

სკ „ზესტაფონის" პრეზიდენტმა ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია კასტრირებული ორგანოა და ქმედითი ზომების მიღება არ შეუძლია. გარდა ამისა, სფფ-ს პრეზიდენტ ზვიად სიჭინავას ულტიმატუმი წაუყენა და განაცხადა, რომ თუ იგი სამი დღის განმავლობაში არ გადადგება, კლუბიდან თავად წავა.

***ილია კოკაია, ზესტაფონის პრეზიდენტი:***

– კლუბის ირგვლივ განვითარებული მოვლენების გამო მოგიწვიეთ, ბევრი გვთხოვდა ჩვენი პოზიციის დაფიქსირებას. იმედს ვიტოვებდით, რომ გამოსწორდებოდა სიტუაცია. ვხედავთ, რომ უკანასკნელი იმედიც გადაიწურა. აქ საუბარი მარტო „ზესტაფონზე" არ არის, აქ ქართული ფეხბურთის ყოფნა-არყოფნის საკითხი დგას. ბევრი პრობლემა შეიქმნა ბოლო პერიოდში. პირველი – ეს არის საფეხბურთო კლუბების არათანაბარი დაფინანსება, რომელიც კერძო კლუბების ინტერესების უგულვებელყოფას იწვევს. მუნიციპალურმა გუნდებმა ბიუჯეტიდან 2 მილიონზე მეტი დახარჯეს, მაგრან ჯერ ნახევარი სეზონიც არ არის გასული. ეს გუნდებია – „სიონი", „გურია", „დილა". როგორც შევიტყვე, მარტვილმა 51 პროცენტი სახელმწიფოს გადასცა. გამოდის, რომ გუბერნატორების შეჯიბრებაში ვიღებთ მონაწილეობას. სამწუხაროდ, არც ერთ კერძო ინვესტორს სახელმწიფოსთან ომის მოგება არ შეუძლია. იშვიათი გამონაკლისი იყო ერთი და შეძლო მან. ამ შემთხვევაში მე ამის საშუალება არ მაქვს, რომ სახელმწიფოს ვებრძოლო ჩემი ფულით. კლუბს აქვს გადასახდელი 35.000 ლარი, ეს არ არის დიდი თანხა, მაგრამ ეს თანხა მიდის ცენტრალურ ბიუჯეტში, რომელსაც შემდეგ ფინანსთა მინისტრი აიღებს და გადასცემს სხვა კლუბებს. მეორე, რაც ყველაზე სამწუხაროა, ფედერაცია დღეს ამის საწინააღმდეგოდ არაფერს აკეთებს.

მე ადრეც მქონდა საუბარი, რომ ფედერაციის იურიდიულ სამსახურში არის დიდი ქაოსი. საქართველოში ძალიან ბევრი ფეხბურთელთა დამცველი ორგანიზაცია შეიქმნა, მაგრამ დღემდე ვერ ვნახე კერძო კლუბის დამცველი ორგანიზაცია. კლუბის დამცველი უნდა იყოს ან პროფესიონალური საფეხბურთო ლიგა ან ფეხბურთის ფედერაცია. დღეს შევიტყვეთ გადაწყვეტილება ჩვენი ერთ-ერთი ფეხბურთელის შესახებ, რომელსაც დაუგვიანდა 2 თვის ხელფასი, როდესაც წამყვანი საფეხბურთო ქვეყნების ჩემპიონატში 8-9 თვეც აგვიანებენ ხელფასს.

მესმის მათი, ვინც ამბობს, რომ რა ქნას საწყალმა ფეხბურთელმა. მე გეკითხებით, რა ქნას საწყალმა ინვესტორმა? რომელიც მილიონებს ხარჯავს, ჩვენი ერთადერთი შემოსავალი არის ტრანსფერები. ამ გადაწყვეტილებით ფედერაციამ საფრთხეში ჩააყენა არა მარტო „ზესტაფონი", არამედ საერთოდ კონტრაქტების სისტემა ფეხბურთში. მე ამ საკითხზე ციურიხში, იურისტებთან მქონდა კონსულტაცია, მათ აღიარეს, რომ საკმაოდ რთულია შეინარჩუნონ კლუბსა და ფეხბურთელს შორის კონტრაქტის იურიდიული ძალა.

ადამიანი არის თავისუფალი, სადაც უნდა იქ იმუშავებს. ფეხბურთში ეს სხვანაირადაა განსაზღვრული, მე მიმაჩნია, რომ ეს სწორია, რადგან კლუბი ძალიან ბევრ ფულს ხარჯავს მოთამაშის აღზრდაში, რადგან მიიღოს შემოსავალი, ეს მიღებული ფორმულაა. სამწუხაროდ, ფედერაციამ ეს პრინციპი დაარღვია და ამით ყველა კლუბს შეექმნა პრეცედენტი, რომ ნებისმიერ ფეხბურთელს შეუძლია გაწყვიტოს კონტრაქტი კლუბთან ნებისმიერ დროს, ამ დროს კონტრაქტის არსებობის საფუძველი ირღვევა.

აქედან გამომდინარე, მცდელობა მქონდა დავკავშირებოდი ფედერაციის პრეზიდენტს, რომელიც არ მპასუხობდა. წარმომადგენელიც გავუგზავნე, მაგრამ მან განუცხადა, რომ ბანკში ჰქონდა საქმე და ჩვენთვის არ ეცალა. მე გადავწყვიტე მას მივმართო, ბატონო ზვიად, თქვენ გაქვთ ერთი საშუალება დღეს,



ქართული ფეხბურთი რომ იხსნათ და გადადგეთ თანამდებობიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ვიტოვებ უფლებას, რომ მე გავაკეთებ ამას. მე გადავდგები და რაც მოყვება ამას, ეს უკვე მეორე საკითხია. მე მოვუწოდებ ბატონ ზვიადს, რომ წავიდეს ან ჩემს კოლეგებს მივმართავ, დაფიქრდნენ, რაში ყრიან ფულს...

არის სახელმწიფოს მიდგომა ფეხბურთის მიმართ და ფედერაცია, რომელიც არის აბსოლუტურად კასტრირებული ორგანო. მე დღეს რომ ვიყო მის ადგილზე, წავიდოდი! წავიდოდი, რადგან, როდესაც უძლური ვარ და ვერაფერს ვაკეთებ, თავს მაინც არ დავიმასხარავებ. თან როდესაც შენი თანამშრომლები გიკეთებენ ამას, რაც დღეს მისმა იურიდიულმა სამსახურმა გააკეთა. იურისტი, რომელიც გიწერს გადაწყვეტილებაში, ციტირებას გავუკეთებ ამ ნაწილს – ფეხბურთი ეს არის მსოფლიო ხალხების მიერ აღიარებული, ერთ-ერთი და შეიძლება ითქვას, ერთადერთი პლანეტის ულამაზესი სპორტი, არავინ იცის, როგორი იქნება ჩვენი პლანეტა, რომ არ არსებობდეს სპორტის ეს უმშვენიერესი სახეობა, რომელიც მაყურებელთა რეალიზაციის შემთხვევაში, წარმოჩინდება არა მხოლოდ დასაქმებულისა და დამსაქმებლის ურთიერთობიდან შექმნილი პროდუქტი.

მითხარით, ეს იურისტის დაწერილია თუ „ელექტრიკის"?! აი, ეს ხალხი წყვეტს დღეს ფეხბურთელის ბედს. ბევრი ფეხბურთელი მოსულა და წასულა. გუშინ მკითხეს გორგიაშვილზე, საბოლოოდ რას აპირებო, ალბათ გავუშვებმეთქი, გავუშვებდი... თვითონ პრეცედენტი არ უნდა დაიშვას, მაგრამ ვის რად უნდა ერთი წლის უთამაშებელი ფეხბურთელი?!

თუკი სიჭინავა არ გადადგება, ვიმეორებ, მე წავალ, ჩვენ არ გვყავს დამცველი ორგანო ფედერაციის სახით. ერთ მაგალითს გეტყვით, ბოლნისის „სიონს", რომელსაც 4 თვეა ხელფასი არ აუღია, მაინცდამაინც ჩვენი თამაშის წინ გადაუხადეს თანხა და მოგებაზე პრემიები დაუნიშნეს 1.500 ლარი, რაც 20 ფეხბურთელზე თუ ავიღებთ 30.000 ლარია. რა გამოდის? ის 30.000 მე რომ უნდა გადავუხადო სახელმწიფოს, ხადური გადაურიცხავს ბოლნისის გამგეობას და მევე დამაჯახებს ამ ფულს.

როდესაც ინვესტორი მოდის ფეხბურთში, პირველად კითხულობს, თუ რა კანონებია ქვეყანაში, მე რომ მოვდიოდი, ვიცოდი, ტელევიზიიდან შემოსავალი იყო ნული, ბილეთებიდან ნული, ერთადერთი შემოსავალი, რაც გვექნებოდა, იყო ის, რომ გაგვეზარდა ფეხბურთელი და შემდეგ გაგვეყიდა. იმ ხალხს, ვინც ეს გადაწყვეტილება მიიღო, არ ესმის, რა გააკეთა, ამაში კი მათ ფედერაციამ შეუწყო ხელი.

ჩვენ გვქონდა 5 მილიონიანი პროექტი, თბილისის ზღვაზე ვაშენებდით ბაზას, ახლა იძულებული ვარ შევწყვიტო, ასევე შეწყდება ზესტაფონის ბაზის განვითარება. საქმე ზარალდება, მოვიდეს ის, ვინც ამას მიხედავს თუ არადა ინვესტორის აზრი იკარგება.

„ზესტაფონის" პრეზიდენტის ამ განცხადება-ულტიმატუმს გამოეხმაურა სფფ-ს სააპელაციო კომიტეტის თავმჯდომარე თამარ წერეთელი.

– ჩვენ კვლავაც აღვნიშნავათ, რომ ბატონი ილია კოკაია ბრძანდება ქართული ფეხბურთის დიდი გულშემატკივარი. თუმცა გაურკვეველია ბატონი ილიას ულტიმატუმი, რომ 3 დღეში გადადგეს ბატონი დომენტი სიჭინავა. აქვე კვლავაც აღვნიშნავთ, რომ კომიტეტის საქმიანობაში არ ყოფილა არანაირი ჩარევა ფეხბურთის ფედერაციის მხრიდან, მით უმეტეს, პრეზიდენტის მხრიდან, უფრო მეტიც, ასეთ დაძაბულ ფონზე, არა თუ რაიმე ჩარევა მოხდა, არამედ კომიტეტს ჰქონდა სრული საშუალება მშვიდ რეჟიმში განეხილა დავა. თუ ეს არის მიზეზი აღშფოთების, რომ რატომ არავინ ჩაერია კომიტეტის საქმიანობაში, ეს უკვე ნათლად ასახავს შექმნილ მდგომარეობას და კომენტარს არ საჭიროებს.

მინდა დაბეჯითებით გავიმეორო, რომ ბატონი დომენტი სიჭინავა ბრძანდება დემოკრატი მმართველი და გასაოცარი უნარების მქონე ადამიანი, მე მას პირადად არ ვიცნობ, მაგრამ შექმნილი გარემოს გათვალიწინებით, შემიძლია ვთქვა, რომ მისი ნატურა იძლევა საფუძველს, შეიქმნას მშვიდი სამუშაო გარემო საფეხბურთო სამართლის განვითარებისთვის და თანამედროვე ქართული ფეხბურთის აღორძინებისთვის.

მისთვის ულტიმატუმის წაყენება ჩემთვის არის ძალიან მტკივნეული, თუ ვინმესთვის რაიმე სარგებლობის მოტანა შეგვიძლია, ჩვენ გადავდგებით, ოღონდ დასაბუთებული პრეტენზიის საფუძველზე. ის საფუძველი, რომ კომიტეტის წევრი იურისტები არიან „ელექტრიკები" იმიტომ, რომ გადაწყვტილებაში ფეხბურთი მოაზრებულია პლანეტის ულამაზეს სპორტად, კვლავაც ვიმეორებთ, რომ ფეხბურთი ეს არის მსოფლიო ხალხების მიერ აღიარებული, ერთ-ერთი და შეიძლება ერთადერთიც, პლანეტის ულამაზესი სპორტი, არავინ იცის, როგორი იქნება ჩვენი პლანეტა, რომ არ არსებობდეს სპორტის ეს უმშვენიერესი სახეობა, რომელიც მაყურებლიდან რეალიზაციის შემთხვევაში, წარმოჩინდება არა მხოლოდ დასაქმებულის და დამსაქმებლის ურთიერთობიდან შექმნილი პროდუქტი, არამედ სპროტის სახეობა, რომლიც ორიენტირებულია მხოლოდ ენთუზიაზმზე და გუნდურ გამარჯვებაზე. სპორტის ამ სახეობისთვის დამახასიათებელია გუნდურობა და გუნდის სწრაფვა და არა რომელიმე კონკრეტული მოთამაშის სწრაფვა გამარჯვებისკენ, ამგვარი სულისკვეთება მიმართული გამარჯვებისკენ კი, ყალიბდება ფეხბურთელების და კლუბების ადმინისტრაციის ხელმძღვანელების ჰარმონიული, ჯანსაღი და თანასწორი უთიერთობის შედეგად.

დავამატებ, ფეხბურთი ეს არ არის მხოლოდ ბიზნესი – იყიდე-გაყიდე, ეს არის დიდი პასუხისმგებლობა ქვეყნის და მსოფლიოს წინაშე, აჩვენო ლამაზი თამაში. განვმარტავ, რომ გასაგები იყოს, კომიტეტის საქმიანობაში ჩარევა ან მოწოდება კომიტეტის საქმინობაში ჩარევის შესახებ, დასჯადი ქმედებაა.

რაც შეეხება იტალიის და სხვა ქვეყნების მაგალითებს, რომ 9 თვით გვიანდება ფეხბურთელისთვის ხელფასის გადახდა, ასეთი შემთხვევები ხდება არა ერთპიროვნულად, არამედ ფეხბურთელთან შეთანხმებით, რომ შენი ხელფასის ნაწილს, ერთ მილიონს, ჩაგირიცხავ ამ თვეში, ხოლო დანარჩენ ორ მილიონს მოგვიანებით, და არა ორიათასდოლარიანი ხელფასების ჩარიცხვაზე.

აქვე აღვნიშნავ, რომ საფეხბურთო სამართლაში არც თუ მისაღებია პრეცენდენტების მიხედვით საქმის განხილვა ხვალ და ზეგ, თუნდაც მსგავსი შინაარსის დავასთან წინასწარ არავინ არ იცის, რა გადაწყვეტილებას მიიღებს კომიტეტი ან საფეხბურთო ტრიბუნალი, ვინაიდან ყველა საქმე უნდა გადაწყდეს ინდივიდუალურად. ამდენად, ასეთი საჯარო განცხადებები ძლიერ ვნებს საფეხბურთო სამართლის განვითარებას და სასურველი იქნება, მშვიდად გადაწყდეს ყველა საკითხი, ულტიმატუმების გარეშე, აზრების გაცვლით და სიყვარულით.

**მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა**

# ეროვნული მუზეუმი მეცნიერულ კვირეულს იწყებს

დასაწყისი მე-8 გვერდზე

ნიშნავს ანა ვერულაშვილი.

კონსტანტინე მინდაძის ნამუშევარი „დროის, სივრცისა და თარიღის გარეშე“ და ონ კავარას ნამუშევარი „ჯერ ისევ ცოცხალი ვარ“ ხაზს უსვამენ აწმყოს რელევანტურობას და ატარებენ ეგზისტენციალურ ხასიათს. როკო ირემაშვილის ასტრონავტების მონუმენტური პორტრეტები ემოციურად ხსნიან მათ რეალურ განცდებს და არსებულ დოკუმენტურ მასალასთან ერთად აცოცხლებენ ისტორიას. მანუჩარ ოქროსცვარიძის და კონსტანტინე მინდაძის წარმოდგენილი სკულპტურები და რიჩარდ სერას ჩანახატები წონისა და უწონადობის პრინციპებს ეხმაურებიან.

— კონსტანტინე მინდაძე მულტიდისციპლინური ვიზუალ არტისტია. ის გერიტ რითფელდის აკადემიასა და ამსტერდამის გრაფიკულ ლიცეუმში ნიდერლანდებში სწავლობდა. არის ცნობილი ჰოლანდიურ არტ საზოგადოების „არტი ეტ ამიჩიტაეს“ წარმომადგენელი წევრი და ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფიგურა საქართველოს თანამედროვე არტ სცენაზე. ასოცირდება მინიმალიზმთან და კონცეპტუალურ არტთან. სფეროები მოიცავენ აქტიურ-სივრცულ და ხმოვან ინსტალაციებს, სკულპტურას, ფერწერას, გრაფიკას, ფოტოგრაფიას, აუდიო და ვიდეო არტს. მონაწილეობა აქვს მიღებული მრავალ ინტერნაციონალურ ჯგუფურ გამოფენებში და ავტორია მრავალი პერსონალური პროექტებისა საქართველოში, ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში. მისი ნამუშევრები შეტანილია მრავალ ინტერნაციონალურ არტ-კატალოგებში და დაწერილია მრავალი სტატია, აგრეთვე დაცულია სხვადასხვა კორპორატიულ და კერძო კოლექციებში. ბოლო წლებში მას მეტად იცნობენ სხვადასხვა მედიუმებში შესრულებული მასშტაბური ინსტალაციებით. სინთეტური სამყაროს სტრუქტურა, მენტალური და ბიოლოგიური რეაქციები, ცხოვრების ციკლი და წარმავლობა, ეგზისტენცია და დროებითობა, სიყვარული და დანაკარგები, გლობალიზაცია და ტექნოლოგიები, შიში და რელიგიები, კონსუმერიზმი და კომერცია, ისტორიული ფაქტები და ხრწნის პროცესი, ის ძირითადი თემებია, რომელთა კვლევაც მისი პროექტების განმსაზღვრელია. ამ პროექტების უმეტესობა დამთვალიერებელთან ხანგრძლივ კომუნიკაციას გულისხმობს, ისინი დროშიც ვითარდებიან, ზოგჯერ ორგანული მასალებისა თუ ქიმიური ნაერთების ტრანსფორმაციას აჩვენებენ. მის მიერ უახლესი განხორციელებული სოლო პროექტები წარმოდგენილი იყო ალექსანდრე ჭავჭავაძის მუზეუმში, სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმში და შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში. ცხოვრობს და მუშაობს ამსტერდამსა და თბილისში. რაც შეეხება როკო ირემაშვილს, თბილისის სამხატვრო აკადემიის საბაკალავრო განათლების მერე სწავლა ქალაქ შტუტგარტში გააგრძელა და ამის პარალელურად აქტიურად იფინებოდა საქართველოსა და გერმანიაში. აქტიურ სახელოვნებო სივრცეში 2008 წლიდან გამოჩნდა. ამ პერიოდიდან მოყოლებული, აქვს ცამეტი პერსონალური გამოფენა-პროექტი მოწყობილი. როგორც წესი, მუშაობს სერიულად და თითოეულ სოლო პროექტს გასდევს ერთი ხაზი. თემატურად ეხება როგორც ლოკალურ, ასევე გლობალურ სოციალურ პრობლემატიკას და პოლიტიკურ კრიტიკასა თუ პროტესტს. ძირითადი მიმართულება არის ფერწერა, თუმცა ბოლო პერიოდში ხშირად გვხვდება მის მიერ შესრულებული სკულპტურული, თუ ვიდეო ნამუშევრები. მანუჩარ ოქროსცვარიძე 90-იანი წლების ბოლოს, არტ სცენაზე გამოსულ მხატვართა შორის ერთ-ერთი საინტერესო წარმომადგენელია. იგი აქტიურად მუშაობს ფერწერაში, გრაფიკაში, სკულპტურაში, გამოყენებით ხელოვნებასა და დიზაინში. მონაწილეობს როგორც საერთაშორისო ისე ლოკალურ ჯგუფურ და სოლო პროექტებში. უახლოეს წლებში მისი შემოქმედების ძირითადი მიმართულებაა მინიმალისტური ნახატი და ობიექტი, რომელსაც თავად „მოკლე ვიზუალურ გზავნილებად“ და „ესთეტიკურ იდეოგრაფიებად“ აფასებს. არის კრიტიკული არტ ჟურნალის „შთაბეჭდილება“ კონცეფციის ავტორი და თანადამფუძნებელი. ბოლოდროინდელი პროექტებიდან აღსანიშნავია კონცეპტუალური გრაფიკის გამოფენა „მაკულატურა“, რომელშიც მონაწილეობდა როგორც კურატორი და არტისტი და 2012 წლის სოლო პროექტი „ექზისტერ“. ეს პროექტები ინსპირირებული იყო ეგზისტენციალური და სოციალური თემატიკით, რომელიც ეხებოდა ისეთ საკითხებს, როგორიცაა ინდივიდის თვითიდენტიფიკაცია, დამოკიდებულება სოციალურ სტატუსთან, დროსთან, სტაბილურობის შეუძლებლობის ფაქტთან, შინაგან და გარეგან კონფლიქტებთან. მანუჩარი ცხოვრობს და მუშაობს თბილისში, — განმარტავს ეროვნული მუზეუმის წარმომადგენელი.

„მეცნიერული კვირეულის“ დაწყებამდე 14 ნოემბერს საქართველოს ეროვნული მუზეუმის შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში გაიხსნება საერთაშორისო მულტიმედიური გამოფენა „მემკვიდრეობა“.

— ეს პროექტი მიზნად ისახავს საზოგადოების ფართო მასებთან დიალოგის დაწყებას და ისტორიული, სოციალური თუ კულტურული სტრუქტურების მნიშვნელობის ხაზგასმას იდენტობის ჩამოყალიბების საკითხში, — ამბობს ანა ვერულაშვილი.

აღნიშნულ პროექტში მონაწილეობენ საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველი ხელოვანები და სპეციალური სტუმრები. მათ შორის ქრისტიან ტონჰაისერი (ბუენოს აირესი), ლევან მინდიაშვილი (მოღვაწეობს ნიუ იორკსა და ბუენოს აირესში), უტა ბექაია (ნიუ იორკი), ირაკლი ბუგიანი (დუსელდორფი) და ტატო ახალკაციშვილი (თბილისი).

— ავტორები მიეკუთვნებიან ქართველი ხელოვანების იმ თაობას, რომელიც საბჭოთა რეჟიმის ბოლო წლებში დაიბადნენ და საკუთარ თავზე გამოსცადეს სხვადასხვა სისტემებზე გადასვლის სირთულეები. წარსული გამოცდილება მნიშვნელოვნად აისახება ავტორთა შემოქმედებაზე. აღნიშნული პროექტის ფარგლებში დაგეგმილია რიგი საგანმანათლებლო ღონისძიებები. მონაწილე ხელოვანები გამართავენ საჯარო ლექციებსა და დისკუსიებს, სადაც იმსჯელებენ მემკვიდრეობის თემის იმ ასპექტებზე, რომლებსაც მათ ნამუშევრებში გაესვა ხაზი. ამასთანავე მოეწყობა სპეციალური ვიზიტები სკოლის მოსწავლეებისა და სტუდენტებისათვის. გამოფენა 24 ნოემბრის ჩათვლით გაგრძელდება, — განმარტავს ეროვნული მუზეუმის წარმომადგენელი.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის თბილისის ისტორიის მუზეუმში კი უკვე გაიხსნა ახალგაზრდა მხატვრის ერნა დოლმაზოვას გამოფენა სახელწოდებით „დაუჭრელი ისტორიები“, სადაც წარმოდგენილია მხატვრის სხვადასხვა ტექნიკაში შესრულებული კოლექცია და ის 60 ნამუშევრისგან შედგება.

— ძირითადი მასალა, რომლითაც ერნა დოლმაზოვა თავის ნამუშევრებს ქმნის სამზარეულოს საჭრელი ხის დაფებია, რომელზეც გამოსახულია „ჯვარცმა“, „მხატვარი ქალის პორტრეტი“, „ქალი იასამნისფერი თმებით მზის ჩასვლის და მზის ამოსვლის დროს“, „ფლეიტის ჩანთა“, „ცოლქმარი მარაოიანი ბავშვით“, „მონაზონი“ და სხვა. მხატვარი ორიენტირებულია საგნების და მოვლენების ემოციურ აღქმაზე. ავტორის კომპოზიციაში ფერი სწორედ მისი ემოციების გამოხატულებაა, რაც მის ნამუშევრებს საოცარ დინამიკურობას სძენს. გამოფენა დამთვალიერებელს წარმოადგენს ერნა დოლმაზოვას, როგორც ტრადიციული „ქალაქურ-თბილისური კულტურის“ ახალი თაობის ხელოვანს, რომლის ნამუშევრებიც დამახასიათებელი მხატვრული ესთეტიკით გამოირჩევა. ეს გამოფენა 22 ნოემბრამდე გაგრძელდება, — აცხადებს ანა ვერულაშვილი.

# ანზორ ერქომაიშვილმა ახალი წიგნი დაწერა

ეკა ირემაშვილი

ლოტბარმა ანზორ ერქომაიშვილმა ახალი წიგნი დაწერა. „გური და ტრისტან სიხარულიძეები“ — ასე ეწოდება ახალ გამოცემას, რომელიც ღვაწლმოსილი გურულ მომღერლებს გური და ტრისტან სიხარულიძეებს და მათ შემოქმედებას შეეხება. წიგნის წარდგინება ოზურგეთის თეატრშია დაგეგმილი, სადაც ფონდი „ქართული გალობა“ 15 ნოემბერს მომღერლების შემოქმედებით საღამოსაც გამართავს. ამავე დღეს დაგეგმილია ახალი ალბომის პრეზენტაცია, სადაც შესულია მომღერლების რჩეული სიმღერები.

კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ ტრიო „შალვა ჩემო“, პოლიკარპე ხუბულავა, ანსამბლი „ბასიანი“, ოზურგეთის ანსამბლი „შვიდკაცა“, ანსამბლი „შავნაბადა“, ანსამბლი „ბათუმი“.

გური და ტრისტან სიხარულიძეებმა მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება ქართულ ხალხურ შემოქმედებას შეალიეს. ისინი ფონდმა „ქართული გალობა“ მისი ეგიდით გამართულ პირველივე ღონისძიებაზე დააჯილდოვა. გაზაფხულზე გური სიხარულიძე ოზურგეთის ფოლკლორული ანსამბლების კონსულტანტი გახდა. ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრმა შუამდგომლობით მიმართა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს რათა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ფოლკლორული ანსამბლების კონსულტანტად დაენიშნა მომღერალი, ანსამბლ „შალვა ჩემოს“ წევრი გური სიხარულიძე. მოთხოვნის დადებითად გადაწყვეტის შემდეგ, საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის დირექტორი გიორგი უშიკიშვილი ოზურგეთში ჩავიდა, სადაც გაიმართა გური სიხარულიძის წარდგენა და ღონისძიება ფოლკლორული ანსამბლების მონაწილეობით. ამით ფოლკლორული ცენტრის ხელმძღვანელობა ცდილობს გამონახოს საშუალება, რათა არ დაიკარგოს გურული მუსიკალური ფოლკლორის მემკვიდრეობა — ახალგაზრდობისათვის გადაცემა.

ფონდი „ქართული გალობის“ ერთ-ერთი მხარდაჭერით, კულტურის ცენტრ „მუზაში“ გაიმართა წირვის საგალობლების შემსწავლელი დისკის პრეზენტაცია, რომელიც გამოსცა ანსამბლმა „შავნაბადამ“. მუსიკალურ ალბომში 40-მდე საგალობელია გაერთიანებული. კრებულს თან ნოტები ერთვის. ეს „შავნაბადას“ საგალობლების რიგით მეორე კრებულია, პირველი გასულ წელს გამოიცა. საგალობელთა დისკი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით გამოვიდა. როგორც ალბომის პრეზენტაციაზე აღინიშნა, ანსამბლი 2 წლის განმავლობაში საგალობლების სრული ციკლის გამოცემას გეგმავს.

როგორც ფონდი „ქართული გალობა“ განმარტავს, შექმნილია წირვის საგალობლების სასწავლო ალბომი:

— თუ ხართ სამი ან სამზე მეტი და გსურთ შეისწავლოთ ქართული ტრადიციული გალობა, მაშინ მიმართეთ ანსამბლ „შავნაბადას“, ბანკი „კონსტანტას“ ან ფონდის „ქართული გალობა“ ფეისბუქის გვერდს. წირვის საგალობლების სასწავლო ალბომის ფოტოზე დატოვეთ კომენტარი თქვენს შესახებ, მიუთითეთ ბანკის რომელი ფილიალია თქვენთვის სასურველი და საჩუქრად მიიღეთ წირვის წესის საგალობლების სასწავლო გამოცემა. მაგალითად, ანსამბლი „შავნაბადა“ თბილისი, ბანკი კონსტანტას, ვაჟა-ფშაველას ფილიალი. შემდეგ დაელოდეთ ჩვენს დასტურს.

წირვის საგალობლების სასწავლო ალბომის მიღება შესაძლებელია თბილისში, აბაშაში, ადიგენში, ახალციხეში, ახმეტაში, ბათუმში, ბოლნისში, ბორჯომში, გარდაბანში, გორში, გურჯაანში, დედოფლისწყაროში, დმანისში, ზუგდიდში, ზესტაფონში, თელავში, თერჯოლაში, კასპში, ლაგოდეხში, მარნეულში, მარტყოფში, ოზურგეთში, რუსთავში, საგარეჯოში, სამტრედიაში, სენაკში, ფოთში, ქარელში, ქუთაისში, ყვარელში, წალკაში, წნორში, ხაშურში, ხობსა და ხონში მდებარე ბანკი „კონსტანტას“ ფილიალებში.

# სლოვაკურ ფილმებს თბილისში აჩვენებენ

ეკა ირემაშვილი

საქართველოს სლოვაკური კინოს დღეებს მასპინძლობს. 14 ნოემბრიდან 17 ნოემბრის ჩათვლით კინოთეატრ „ამირანის“ მცირე დარბაზში სლოვაკური ფილმები იქნება წარმოდგენილი. კინოს დღეებს. ღონისძიების სახელწოდებაა მეიდ ინ სლოვაკია“. კინოს დღეების ორგანიზატორია საქართველოს ეროვნული კინოცენტრი და სლოვაკეთის კინოინსტიტუტი.

— თბილისში გამართული კინოს დღეების მიზანია, სლოვაკური ფილმების პოპულარიზაცია საქართველოში და ემყარება ეროვნული კინოცენტრისა და სლოვაკეთის კინოინსტიტუტის მრავალწლიან თანამშრომლობას, — განმარტავენ ეროვნულ კინოცენტრში.

მათივე ინფორმაციით, ასეთივე კულტურული მოვლენა — ქართული კინოს დღეები 2012 წელს ბრატისლავაში გაიმართა. სლოვაკეთსა და საქართველოს შორის მრავალწლიანი დიპლომატიური ურთიერთობები არსებობს. კულტურული თანამშრომლობის მთავარი სიმბოლოა 1977 წელს გადაღებული ფილმი „რაჭა ჩემო სიყვარულო“, (ჩეხოსლოვაკეთი, საბჭოთა კავშირი) რომელიც პირველ ქართულ-სლოვაკურ კოპროდუქციად შეიძლება ჩაითვალოს.

— კინოჩვენებები როგორც საქართველოში, ისე სლოვაკეთში, ხელს შეუწყობს საქართველოსა და სლოვაკეთის კინოინდუსტრიების დაახლოებას. 14-17 ნოემბერს ოთხი დღის განმავლობაში, თბილისში, ქართულ აუდიტორიას შესაძლებლობა ექნება გაეცნოს როგორც კლასიკურ, ისე თანამედროვე სლოვაკურ კინემატოგრაფს. კინოსეანსების დაწყებამდე, ფილმებს თავად სლოვაკელი რეჟისორები და სლოვაკეთის კინოინსტიტუტის წარმომადგენლები წარადგენენ და მასზე დასწრება თავისუფალია, — აღნიშნავენ ეროვნულ კინოცენტრში.

რაც შეეხება სლოვაკური ფილმების დღეების პროგრამას, ოთხი დღის განმავლობაში მაყურებელი კინოთეატრ „ამირანის“ მცირე დარბაზში ნახავს ფილმებს: 14 ნოემბერი „ვიდრე გათენდება“, გახსნის ფილმზე დასწრება მხოლოდ მოსაწვევებით არის შესაძლებელი, 15 ნოემბერი „ნორმალიზაცია“ რეჟისორი რობერტ კირხჰოფი, „ვეფხვები ქალაქში“ რეჟისორი იურაი კრასნოჰორსკი; 16 ნოემბერი „მზე ბადეში“ რეჟისორი შტეფან უჰერი, „მოგზაურობა აშში“ რეჟისორი ივეტა გროფოვა; 17 ნოემბერი „მომო“ რეჟისორი თეოდორ კუნი, „ბოლო ავტობუსი“ რეჟისორები მარტინ სნოპეკი და ივანა ლაუჩიკოვა, „პანდები“ რეჟისორი მათუშ ვიზარი, „ვარსკვლავი“ რეჟისორი ანდრეი კოლენჩიკი, „ექსპონატები“ რეჟისორი პალო კოლეცი.

# ოტია იოსელიანზე ფილმს იღებენ

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ვცდილობ ვიმუშავო, უსაქმოდ შრომა არ შემიძლია. ღმერთია შემწე, ხომ გაგიგიათ, „რაცა ღმერთსა არა სწადდეს, არა საქმე არ იქნების“.

წიგნს ვწერ და სწორედ რუსთაველით ვიწყებ, „რომელმან შექმნა სამყარო, ძალითა მით ძლიერითა“. ყველაფერი ღმერთით არის ამქვეყნად.

***— ეს თქვენი მემუარებია?***

— წიგნი ორნაწილიანია. პირველ ნაწილში არის „სატელევიზიო რეჟისურის პოეტიკა“, ანუ სახელმძღვანელო მომავალი სატელევიზიო რეჟისორებისთვის. ეს წიგნი სტუდენტებს გამოადგებათ, მეორე ნაწილი კი უკვე ჩემი მემუარებია, სადაც გაერთიანებულია ყველაფერი, მიხეილ თუმანიშვილი, ეროსი მანჯგალაძე და ყველა ის ადამიანი, ვინც ამ ცხოვრების გზაზე შემხვდა.

***— წიგნს მალე დაასრულებთ?***

— წიგნი უკვე დაწერილია, ახლა, რომ იტყვიან, ვაშალაშინებ. ზაზა შენგელიამ ტელევიზიიდან რომ გამაგდო, მან ამაღებინა კალამი ხელში და დავიწყე წიგნის წერა. 10 წელია ამ წიგნს ვწერ, ნელ-ნელა, რა თქმა უნდა, ყოველდღე წიგნს ნამდვილად არ ვწერდი. ახლა საბოლოო სახეს ვაძლევ და ეს იქნება წიგნი თავისი ფოტოილუსტრაციებით.

***— წელს გამოსცემთ წიგნს?***

— კი, აუცილებლად წელს გამოვცემ.

***— ოტიაზე ფილმიც წელს დასრულდება?***

— რა თქმა უნდა. ეს ცხოვრება ისედაც ერთი წუთისოფელია და თუ დაჯექი და ამთქნარე, გავა ცხოვრება უსაქმოდ. ერთ პატარა საიდუმლოს მივაგენი ჩემს ცხოვრებაში და ალბათ არ ვარ ორიგინალური — რაც მეტი საქმე აქვს ადამიანს, მით მეტს ასწრებს. როცა ადამიანი ყველა საქმეს ხვალისთვის გადადება და თან რა მეჩქარებაო, გაიძახის, ისე გარბის დრო, ვერაფერს ველარ ასწრებს. ეს ცხოვრება მართლა წუთისოფელია. დაგეგმილი მაქვს პრეზენტაციები, როგორც ფილმის, ასევე წიგნის.

***— ახლა სად ასწავლით?***

— ძველი კინოსტუდიის ტერიტორიაზე არის ტელევიზიისა და რადიოს ინსტიტუტი, რომლის რექტორიც ვარ. დღეს ისეთი ეპოქა დადგა, თუ ტელევიზიით არ ითქვა, თითქოს არაფერი მომხდარაო, ამიტომ დღეს ტელევიზიას საკმაოდ დიდი დატვირთვა აქვს. ვცდილობ ქართული საქმე ვაკეთო. ისეთი მასწავლებლების მოწაფე ვარ, რომ არც მაქვს უფლება სხვანაირად ვიცხოვრო და სხვანაირად ვიქცეოდე. ჩემს მოწაფეებსაც და ჩემს სტუდენტებსაც ამას ვასწავლი და ვცდილობ მათ სულებში ჩავდო და ასიდან ოცს მაინც თუ ჩავუდე ეს ყველაფერი, საქმე გაკეთებულია.

ეკა ირემაშვილი

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ვახტანგ გორგასლის ვაჟი; 2. შავი ზღვის ძველი ბერძნული სახელწოდება; 3. თვალის ფერადი გარსი; 4. საარყე ტიკჭორა; 5. ერბოში მოხარშული ყველისაგან მომზადებული აჭარული კერძი; 6. იტალიელი კინორეჟისორი; 8. წყალბადის იზოტოპი „მძიმე წყალი“; 10. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი უკრაინაში; 11. აშშ-ში ბალეტის სკოლის ფუძემდებელი ქართველი ბალეტმეისტერი; 14. მეტროს სახელწოდება ინგლისსა და აშშ-ში; 15. ჰერალდიკაში მოკლე წარწერა გერბზე; 16. კლოუნის გამოსვლა, ნომერი ცირკში.

**თარაზულად:** 1. ერთ-ერთი უდიდესი ატომური ელექტროსადგური საფრანგეთში; 4. „ვეფხისტყაოსნის“ დამსურათებელი ქართველი მხატვარი; 7. ჩეხური წარმოშობის ავსტრიელი კომპოზიტორი, პიანისტი; 9. იტალიური ავტომობილი; 12. ქართველი მრეწველი, დეპუტატი; 13. მეცნიერების ერთ-ერთი დარგი; 14. პატარა, წვრილი ძეხვი; 17. იაპონური ელექტროტექნიკური კომპანია; 18. ნივთიერება, რომელიც ელექტროობას არ ატარაბეს, იზოლატორი; 19. გულუბრყვილო, უეშმაკო ადამიანი; 20. უბანი თბილისში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. ბოლი; 2. ბზიფი; 3. სეიმი; 5. ტეხური; 6. ლაშარელა; 9. ულტიმატუმი; 10. ჰართფილდი; 11. იაკიტორია; 14. ლია; 16. აპლიკე; 18. ბივა.

**თარაზულად**: 1. ბუმბაი; 4. ნატამალი; 7. დიჟონი; 8. მორთული; 12. ატილა; 13. ალკალა; 15. მთიები; 17. უტუ; 19. ბურგომისტრი; 20. ჯინსი; 21. საუნჯე.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. ჟოქო; 2. შარმი; 3. იბიცა; 4. გაუკი; 5. ალგეთი; 6. რიტორიკა; 8. ტროპოსფერო; 10. პორტუგალია; 11. ნოვარტისი; 14. ბაყაყი; 15. უგრინი; 16. პუშტუ.

**თარაზულად**: 1. ჟენშენი; 4. გრავიურა; 7. ქაირო; 9. კასპი; 12. ჩითილი; 13. კონგო; 14. ბაცილა; 17. ოფსეტი; 18. ჩოლოყაშვილი; 19. ლოქჰიდი; 20. სულორი.

# ჩინეთის კომუნისტურმა პარტიამ პლენარული სხდომა გამართა



ჩინეთის კომუნისტურმა პარტიამ ოთხდღიანი მაღალი დონის შეხვედრები ჩაატარა. შეხვედრებზე პარტიის წევრებმა ქვეყნის ეკონომიკაში გასატარებელი ძირეული რეფორმების შესახებ იმსჯელეს.

ჩინეთის ლიდერთა მესამე პლენარულ შეხვედრაზე ასევე გადაწყდა, რომ მომავალში ჩინეთის სახელმწიფოს მიერ მართული ეკონომიკის მთავარი რესურსი ბაზარი იქნება.

დახურულ კრებას ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 376 წევრი ესწრებოდა. მონაწილეებმა უახლოეს ათწლეულში ჩინეთის ეკონომიკის სამომავლო გეგმებიც დასახეს.

ჩინეთის კომუნისტური პარტია წამყვანი და მმართველი პოლიტიკური პარტიაა ჩინეთში, ასევე ყველაზე დიდი პოლიტიკური პარტია მსოფლიოში. დაარსდა 1921 წელს და ხელისუფლებაში ჩინეთის ნაციონალური სახალხო პარტიის სამოქალაქო ომში დამარცხების შემდეგ მოვიდა.

პარტიის საბოლოო მიზანი – კომუნისტური საზოგადოებრივი წესწყობილების განხორციელებაა. ჩინეთის კომუნისტური პარტია თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს მარქსიზმ-ლენინიზმისა და მაო ძედუნის იდეებით, დენ სიაოპინის და ძიან ძემინის თეორიებით .

პარტიას გააჩნია ოფიციალური (შიდაპარტიული არჩევნების შედეგად არჩეული) და არაოფიციალური (უმაღლესი პარტიული ორგანიზაციების მიერ დანიშნული) ორგანიზაციები, ჩინეთის ხელისუფლების ყველა იერარქიაში და საზოგადოების სხვადასხვა სფეროში.

# ფილიპინებში ტაიფუნის შედეგად 2 500-მდე ადამიანი დაიღუპა



ფილიპინების პრეზიდენტის ბენინო აკინოს განცხადებით, ტაიფუნის შედეგად 2 500-მდე ადამიანი დაიღუპა და არა – 10 ათასი, როგორც მანამდე ითქვა. ამის შესახებ „ბიბისი" იუწყება.

გაერო-ს მონაცემებით, ტაიფუნ „ჰაიანის" შედეგად ფილიპინებზე 11 მილიონი ადამიანი დაზარალდა, 673 ათასი კი იძულებით გადაადგილებულია.

„ბიბისის" ცნობით, ადგილობრივები კვლავ მძიმე პირობებში იმყოფებიან და საკვების, სასმელი წყლისა და ელექტროენერგიის გარეშე არიან დარჩენილი.

გავრცელებული ინფორმაციით, 8 ადამიანი დაიღუპა საკვების მიღების რიგში მომხდარი ჭყლეტის შედეგად.

„ბი-ბი-სის" ინფორმაციით, ინციდენტი ქალაქ ტალკობანში მოხდა მაშინ, როდესაც ხალხის დიდი ნაკადი ბრინჯის მისაღებად საწყობს მიაწყდა, შენობამ ვერ გაუძლო და კედელი ჩამოინგრა.

ადგილობირივი ხელისუფლების განცხადებით, რეგიონი წყლის, საკვების და მედიკამენტების სიმწირეს განიცდის, რის გამოც, მოსახლეობა სურსათის საწყობების ხშირად იერიშით აღებას ცდილობს.

ფილიპინების ხელისუფლების ინფორმაციით, ტაიფუნ „ჰაიანის" დამანგრეველმა სტიქიამ 10 მილიონიანი ქვეყნის, დაახლოებით, 41 პროცენტი დააზარალა. ხელისუფლება უარესის მოლოდინშია და სამაშველო სამუშაოებმა, შესაძლოა, სულ უფრო მეტი ადამიანის ტრაგედია გამოააშკარავოსო, – ვარაუდობს გაეროს ჰუმანიტარულ დახმარების კოორდინაციის ოფისის ოპერატიული დეპარტამენტის დირექტორი ჯონ გინგი.

ტაიფუნი „ჰაიანი" ფილიპინებს თავს გასულ კვირას დაატყდა და რამდენიმე პროვინცია სრულად გაანადგურა. ფილიპინებიდან ტაიფუნმა ვიეტნამისა და სამხრეთ ჩინეთის მიმართულებით გადაინაცვლა, სადაც გავრცელებული ინფორმაციით, რამდენიმე ადამიანი დაიღუპა.

## სამგლოვიარო განცხადებები

მეუღლე ნუნუ ტეტუნაშვილი, შვილები ლალი, მანანა და თემურ ჯუსოევები, შვილიშვილები მარიამ და გიორგი ჭიჭინაძეები, თამარ და ქეთევან ზანდუკელები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**გიორგი ჯუსოევი**

პანაშვიდი: 14, 15 ნოემბერს, 17 საათზე.
დაკრძალვა: შაბათს, 16 ნოემბერს, 14 საათზე.
მისამართი: ი.აბაშიძის 10, II სადარბაზო, IV სართული.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# აზაროვი: უკრაინის საგარეო პოლიტიკის მთავარ საკითხს რუსეთთან ურთიერთობა წარმოადგენს



უკრაინის საგარეო პოლიტიკის ნომერ პირველ საკითხს რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზება წარმოადგენს – ამის შესახებ უკრაინის პრემიერ-მინისტრმა ნიკოლაი აზაროვმა კიევში მინისტრთა კაბინეტის სხდომაზე განაცხადა.

„სანიტარული შეზღუდვები, ახალი ტექნიკური რეგლამენტების ამოქმედება ის რეალობაა, რომელსაც ვერცერთი იდეოლოგიური ლოზუნგებით ვერ შევცვლით. ამას დამატებული გაზის, ნავთობის ფასი-ყველა იმ ადამიანისათვის ვინც ქვეყნის ბედზეა პასუხისმგებელი ცხადი ხდება, რომ ეროვნული პოლიტიკის ნომერ პირველ საკითხს-რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზება წარმოადგენს",-განაცხადა პრემიერმა.

ამ ფონზე, უკრაინის პრეზიდენტს ვიქტორ იანიკოვიჩს ევროკავშირთან ასოციაციის შესახებ შეთანხმების ხელმოწერის ერთი წლით გადადებას სთხოვენ. მსხვილი ბიზნესისა და რეგიონების პარტიის წარმომადგენლებმა პრეზიდენტს ამის შესახებ წერილი მისწერეს.

„თუ ეს შესაძლებელია შეთანხმების ხელმოწერა ერთი წლით გადაიდოს. მოგვეცით ჩვენ უფრო კარგად მომზადების საშუალება",-საუბარია წერილში, რომელსაც „კომერსანტი" აქვეყნებს.

შეგახსენებთ, რომ უკრანასა და ევროკავშირს შორის ასოციაციის შესახებ შეთანხმების ხელმოწერა ვილნიუსის სამიტზე იგეგმება, რომელიც 28-29 ნოემბერს გაიმართება. თუმცა, როგორც ცნობილია, ევროკავშირი აცხადებს, რომ შეთანხმებას ხელი შესაძლოა არ მოეწეროს, თუ ქვეყნის ყოფილი პრემიერის იულია ტიმოშჩენკოს ბედი არ გაირკვევა. ტიმოშჩენკოს სამკურნალოდ გაშვება და გათავისუფლება ევროკავშირის უმთავრეს მოთხოვნას წარმოადგენს.

უკრაინის უმაღლესი რადას დროებითმა სამუშაო ჯგუფმა კი რამდენიმე დღით გადადო კანონპროექტის განხილვა, რომელიც ქვეყნის ყოფილ პრემიერმინისტრ იულია ტიმოშენკოს საზღვარგარეთ მკურნალობის უფლებას მისცემდა. ამის შესახებ უკრაინული მედია იუწყება.

გავრცელებული ინფორმაციით, სამუშაო ჯგუფი ვერ შეთანხმდა კანონპროექტის რამდენიმე ვარიანტზე, რის გამოც მისი განხილვა გადაიდო.

„იმ საკითხებიდან, რომლებიც ინიცირებული იყო განსახილველად, პროკურატურისა და საარჩევნო კოდექსში ცვლილებების შეტანის საკითხი ბევრ შესწორებას საჭიროებს, მესამე საკითხი კი, რომელიც ტიმოშენკოს საზღვარგარეთ მკურნალობას ითვალისწინებს, ჯერაც ბოლომდე მოუმზადებელია", – განაცხადა უკრაინის რადას სპიკერმა ვლადიმირ რიბაკმა და დასძინა, რომ შემდეგი სხდომა 19 ნოემბერს გაიმართება.

გავრცელებული ინფორმაციით, უკრაინაში მყოფი ევროკავშირის დამკვირვებლები უახლოეს ხანებში წარმოადგენენ საბოლოო ანგარიშს, სადაც აღნიშნული იქნება რეკომენდაციები იმასთან დაკავშირებით, უნდა მოახდეს თუ არა ვილნიუსის სამიტზე უკრაინასთან ასოცირების შეთანხმების ხელმოწერა.

იულია ტიმოშენკოს 7-წლიანი სასჯელი აქვს მისჯილი თანამდებობრივი უფლებამოსილების გადაჭარბებისთვის.

# პოლონეთის პრეზიდენტმა რუსეთს ბოდიში მოუხადა



პოლონეთის პრეზიდენტმა ბრონისლავ კომოროვსკიმ პოლონეთის დამოუკიდებლობის დღეს, 11 ნოემბერს რუსეთის საელჩოსთან მომხდარი არეულობის გამო ბოდიში მოიხადა.

„პოლონეთის სახელმწიფოს სახელით აუცილებელია ბოდიშის მოხდა. ასევე, ვაცნობიერებთ რომ ამ ფაქტმა პოლონეთის იმიჯი სერიოზულად დააზიანა", – აღნიშნა პრეზიდენტმა პოლონური რადიოსათვის მიცემულ ინტერვიუში.

კომოროვსკის თქმით, რუსეთის საელჩოს წინ მომხდარს გამართლება არ მოეძებნება: „მათ მოქმედებაზე საბოლოოდ პოლონეთის სახელმწიფო და ყველა ჩვენგანი ვაგებთ პასუხს".

პრეზიდენტმა ასევე დაამატა, რომ „ზოგიერთი ცდილობს მომხდარი გამოიყენოს და პოლონეთი რუსუფობ ქვეყნად წარმოაჩინოს".

ამ ფონზე, დაურეგისტრირებელი მემარცხენე პარტია „დრუგაია რასიას" რამდენიმე აქტივისტმა მოსკოვში პოლონეთის საელჩოსთან საპროტესტო აქცია გამართა და საელჩოს ე.წ. ფაიერები ესროლა, რის შედეგად დიპლომატიური მისიის შენობის ეზო კვამლით აივსო.

აქციის მონაწილეებმა პოლონეთისგან რუსეთის მიმართ პატივისცემა მოითხოვეს და შესაბამისი ბანერი გაშალეს.

პოლიციამ აქციის ოთხი მონაწილე დააკავა და განყოფილებაში გადაიყვანა.

„საელჩოზე თავდასხმის პასუხად საელჩოზე თავდასხმა – ჟესტი ცხადია: მეტად აღარ მოიქცეთ ასე", – განაცხადა პოლონეთის მისამართით „დრუგაია რასიას" წარმომადგენელმა ალექსანდრე ავერინმა.

11 ნოემბერს პოლონეთის დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი მარშის დროს ნაციონალისტებმა და ულტრამემარჯვენეებმა არეულობა მოაწყეს. დაწვეს რუსეთის დროშა და დიპლომატიური მისიის დაცვის ჯიხური. პოლიციამ აქციის დასაშლელად ცრემლსადენი გაზი გამოიყენა.

# ეგვიპტეში სასამართლომ საგანგებო მდგომარეობის გაუქმება მოითხოვა



კაიროში სასამართლოს გადაწყვეტილებით, ბოლო მოელო ეგვიპტეში სამი თვის წინ გამოცხადებულ საგანგებო მდგომარეობას. სამხედროების მხარდაჭერით მოქმედ მთავრობას ჯერ არ შეუსრულებია ეს გადაწყვეტილება – აცხადებს, რომ ჯერ ელოდება ოფიციალურ შეტყობინებას სასამართლოსაგან. სასამართლოს გადაწყვეტილებას მიესალმა შეერთებული შტატები, თუმცა, სახელმწიფო დეპარტამენტის პრესმდივანმა ჯენ პსაკიმ კვლავ გამოთქვა შეშფოთება ეგვიპტეში შექმნილი ვითარებით. მისი თქმით, ვაშინგტონი ეგვიპტის მთავრობას მოუწოდებს, პატივი სცეს ყველა ეგვიპტელის უფლებებს, მათ შორის მშვიდობიანი პროტესტის უფლებას. საგანგებო მდგომარეობა 14 აგვისტოს გამოცხადდა – მას შემდეგ, რაც ეგვიპტეში ძალადობრივი აქციები მოჰყვა სამხედროების მიერ პრეზიდენტ მუჰამად მურსის მმართველობის დამხობას. შეტაკებებმა ასობით ადამიანი შეიწირა, უმეტესწილად მურსის მომხრეები.

როგორც ანალიტიკოსები განმარტავენ, მას შემდეგ რაც ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობა გაუქმდა, ქვეყანაში ტურისტების ნაკადი მოიმატებს, რადგანაც ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების ფონზე ბევრი უცხოელი ტურისტი ეგვიპტეში ჩასვლისგან თავს იკავებდა, მით უმეტეს რომ ქვეყნის მთავრობებმა საკუთარ მოქალქეებს ეგვიპტეში ჩასვლისგან თავის შეკავება ურჩიეს. ხოლო მას შემდეგ, რაც ეგვიპტეზე მოთხოვნა გაიზრდება, სავარაუდოდ ტურისტული მომსახურეობის ფასი მოიმატებს.

*მოამზადა გერა მამულაშვილმა*

## TV პროგრამა

**ხუთშაბათი 14 ნოემბერი**

**07.30** "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **10.30** "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა **14.00** "ნოსტალგია" – მხ/ფ "**მაღალი ქერა მამაკაცის დაბრუნება**" (პ.რიშარი) **17.00** ტ/სერ. "**ზღვარს მიღმა**" **19.30** "ქართული ჯარი" **21.00** პოლიტიკური თოქ-შოუ: "პირველი სტუდია" (პ/ე) **22.30** ტ/სერ. "**მაფიოზი**" **23.30** "უცნობი მუსიკა" **01.30** მხ/ფ "**სიზმრები**"

**08.00, 10.00, 12.00, 15.00, 17.00, 21.00, 23.00** "ბრიფინგის დრო" **09.00, 19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **11.00** დ/ფ "მსოფლიო ქალაქები" – "ბრიუსელი" **14.00, 16.00** ტ/სერ. "**დეტექტივი**" **20.00** "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) **21.30** "არგუმენტების დრო"

**06.45** სერ. "**სიყვარული კონტრაქტით**" **07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა (პ/ე) **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.40** ქრონიკა **10.05** სერ. "**ცივი გული**" **11.20, 12.05** სერ. "**სიყვარულის საფრთხე**" 1 სერ. **12.30, 13.03** დღის შოუ (პ/ე) **14.40, 15.05** კაცების შოუ **16.03** სერ. "**დაბრუნება**" **17.50, 19.03** სერ. "**უდანაშაულო**" **20.50** სერ. "**სილა**" **21.50** ცეკვავენ ვარსკვლავები (პ/ე) **00.00** ქ/სერ. "**ჩვენი ამბავი**" (გ/ჩ) **01.00** მხ/ფ "**კონტროლი**" (უ.დეფო)

**07.30** დილამშვიდობისა საქართველო**10.00** სერ. "**ერთგულების ძალა**" **11.00** სერ."**ბრაზილიის გამზირი**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. "**სიყვარული და შურისძიება**" **17.00** სერ. "**ნათია და ნათია**" **18.50, 19.50** სერ."**ტიტების დრო**" **22.00** პროფილი (1 სარეკლამო ჭრა) **00.00** სერ. "**ექიმი ჰაუსი**". **01.00** მხ/ფ **03.00** კურიერის დაიჯესტი **03.30** მხ/ფ (ტიტ.)

**06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** ეთნოგრაფია **06.25** დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **06.50** მხ/ფ "**ცისკრის ზარები**" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **09.05,18.05, 21.05** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.10, 18.55, 00.25** ისტორიის დღიური **10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.40** ლექსით ქებათა ქება **10.45** დოკ/ფ "საქართველოს ცის ქვეშ" **11.20** დოკ/ფ "ქართული ჭედურობა კვიპროსზე" **11.30** ეპოქის სახელები **12.05** ამინდი **12.10** მხ/ფ "**უკანასკნელი ჯვაროსნები**" **13.00** ქართული მულტფილმი **13.20** დოკ/ფ "წმინდა 100000 მოწამე" **13.40** ნიამორი **14.00** მხ/ფ "**ბათა ქექია**" II ნაწ. **14.45** ფოტოგალერეა **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.05** განთიადის სტუმარი **15.35** დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **16.00** დოკ/ფ "თიხით მოუბარი" **16.20** კონცერტი -თეატრალური კვარტეტი **18.10** დოკ/ფ "ტაო-კლარჯეთი" VI ნაწ. **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ "**მიზანი**" I ნაწ. **20.40** ძილი ნებისა **21.10** "ერთსულოვნების სალონი" **22.25** "ზღვარზე" გად. IV **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ/ფ "13 ასურელი მამის ნამოღვაწარი" **00.30** განთიადის სტუმარი **01.00** დოკ/ფ "რასელისტები" **01.50** დოკუმენტური ფილმი "მაჭახელა"

მაესტრო **7.00, 0.45, 2.30, 5.15** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.40** მულტფილმი სონიკ- ხ **7.55, 8.10, 9.15** მაღვიძარა **8.00, 9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები **10.15, 16.00** **სერიალი "დაკარგული დრო"** **12.50** თოქ-შოუ "პოლიტმეტრი"(გამ) **17.45, 21.30, 0.30, 5.00** "ყოველდღიური აბები" (გამ.). **18.05, 1.30, 6.00** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი"(გამ). **19.00** **სერიალი "ასი"**. **21.45** **სერიალი "დიდებული საუკუნე"**. **23.00, 3.15** თოქ-შოუ "არგუმენტები" (გამ.)

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

14 ნოემბერი


**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 1,6788

ევრო — 2,2496

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,6842

100 რუსული რუბლი — 5,1399

**ამინდის პროგნოზი 14 ნოემბრისთვის**




## ავღანეთში ოპიუმის ყაყაჩოს რეკორდული რაოდენობა მიიღეს



ნარკოტიკების წარმოებამ 2013 წელს, ავღანეთში რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია და 5,5 ათასი ტონა ოპიუმის ყაყაჩო შეადგინა. ყაყაჩოს პლანტაციების ფართობმა 209 ათასი ჰექტარი შეადგინა, რითაც 2007 წელს დამყარებულ რეკორდს გადააჭარბა.

ეს ინფორმაცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ნარკოტიკების სააგენტომ გაავრცელა.

გაერო-ს განცხადებაში ნათქვამია, რომ ამ ნედლეულისგან ჰეროინის იმ რაოდენობის მიღებაა შესაძლებელი, რომელიც მთელ დედამიწაზე მოხმარებადი ნარკოტიკების რაოდენობას აღემატება.

ქაბულში სააგენტოს წარმომადგენლის განცხადებით, სავარაუდოდ, მომავალ წელს, როდესაც ავღანეთიდან ნატო-ს ჯარების დიდი ნაწილი გავა, ყაყაჩოს წარმოება გიზრდება.

„ბი-ბი-სის“ ცნობით, ოპიუმის ყაყაჩოს ყველაზე დიდი რაოდენობა ჰელმენდის პროვინციაში მოყავთ, სადაც დღეისთვის ბრიტანული სამხედრო ნაწილები არიან დისლოცირებული.

ავღანეთს, ოპიუმის ყაყაჩოს მოყვანაში, მსოფლიოში პირველი ადგილი უჭირავს. 2012 წელს ოპიუმისა და ჰეროინის ბაზარზე, ამ ქვეყანამ ნედლეულის 75% შეიტანა, ხოლო წელს შესაძლოა 90%-ზე ავიდეს.

ყაყაჩოს მოყვანიდან მიღებული სახსრების ნაწილი, თალიბებს ხვდებათ. როგორც მოხსენებაშია ნათქვამი, ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილი, სადაც მცენარეებს ზრდიან, სწორედ თალიბების კონტროლის ქვეშაა.

*მოამზადა გერა მამულაშვილმა*

## ასტროპროგნოზი 14 ნოემბრისთვის

**ყველამ გაითვალისწინეთ!**

**წარმატებული დღეა**

**ვერძი** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით ძვირფასი საჩუქარი. **კურო** — ის საქმე აკეთეთ, რაც კარგად გამოგდით. **ტყუპები** — სახლში კარგი ამბებია. **კირჩხიბი** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **ლომი** — ახალი პროექტი გაამართლებს, ფულს იშოვით. **ქალწული** — რომანტიკული თავგადასავალი თავბრუს დაგახვევთ. **სასწორი** — ნუ გაექცევით პასუხისმგებლობას, თქვენს საქმეს ვერავინ გააკეთებს. **ღრიანკალი** — ფულს შოულობთ, ნავაჭრით კმაყოფილი დარჩებით. **მშვილდოსანი** — ყურადღების ცენტრში ხართ, ეს მდგომარეობა გხიბლავთ. **თხის რქა** — არ აყვეთ სხვებს, თავს მიხედეთ. **მერწყული** — ფულის პრობლემა არ გაქვთ, ურთიერთობა გწყურიათ. **თევზები** — ფიქრებში ხართ, დასკვნას მალე გამოიტანთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი

**შვეულად:** 1. პოპულარული საესტრადო სიმღერა, მუსიკალური ნაწარმოები; 2. სამი და ოთხწლიანი ცხენების დოღი; 3. ტიბეტის ადმინისტრაციული ცენტრი; 5. საგანგებოდ გამოყვანილი დამარილებული და შებოლილი ღორის ხორცი; 6. თანამედროვე ქართველი მხატვარი; 9. ბანქოს თამაშის ერთ-ერთი სახეობა; 10. რაიონული ცენტრი სამეგრელოში; 11. ალუბლისაგან დამზადებული ფრანგული ლიქიორი; 14. შინაური ცხოველი; 16. შოტლანდიის ეროვნული გმირი; 18. ინფორმაციის რაოდენობის საზომი ერთეული გამოთვლით ტექნიკაში.

**თარაზულად:** 1. მსოფლიოსი ერთ-ერთი უმსხვილესი სამხრეთ კორეული გემთმშენებელი კონცერნი; 4. უწახნაგოდ, მრგვლად დამუშავებული ძვირფასი ქვა; 7. ოთხშაბათის ძველი ქართული სახელწოდება; 8. ბრაზილიის ფეხბურთელთა გუნდი; 12. კლდეში ნაკვეთი ისტორიული ქალაქი იორდანიაში; 13. დედამიწის თანამგზავრი პლანეტა; 15. საერთაშორისო ანგარიშსწორების საბანკო ჩეკი; 17. რაიმე საქმეში შეტანილი წილი; 19. ოქტომბრის თვის ქართული სახელწოდება; 20. მდინარე პოლონეთში; 21. ქართული მინერალური წყალი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*




## ოტია იოსელიანზე ფილმს იღებენ

**მწერალ ოტია იოსელიანზე რეჟისორი კახა კახაბრიშვილი ფილმს იღებს. როგორც რეჟისორმა „ახალ თაობას“ განუცხადა, ამჟამად ფილმისთვის საჭირო მასალების შეგროვების პროცესი მიმდინარეობს.**

**კახა კახაბრიშვილი, რეჟისორი:**

— ბატონი ოტია ჩემი უფროსი მეგობარი იყო, ჩემი უფროსი ძმა იყო და ჩემი დიდი მასწავლებელი. თუ ალარაფერს ვიტყვით იმაზე, რომ ის უბრალოდ ოტია იოსელიანი იყო. თანაც ის ჩვენი ყველას, ქართველების დიდი მასწავლებელია, რომლებიც ჩვენ გვყოლია დაწყებული ილია ჭავჭავაძიდან, ღმერთმა ნუ ქნას, რომ არ გაჩნდნენ ასეთები საქართველოში. იგი დიდი ილიას გზის გამგრძელებელი იყო თავისი სიბრძნით, თავისი დამოკიდებულებით სამშობლოსადმი, ქართველობისადმი, ქართული ენისადმი. ბოლოს ადგა და მთელი თავისი ნაწარმოებები თავიდან გადაწერა, სადაც კი ერთი არაქართული სიტყვა შეხვდა, ყველა ქართულით შეცვალა. ამაზე ძალიან ბევრს საუბრობდა და სულ ამბობდა, თუკი რუსთაველს ეყო ქართული ენა, რომ გენიალური „ვეფხისტყაოსანი“ შექმნა, თქვენ რა ჭირი გეტაკათ, ქართულად რომ ვერ ლაპარაკობთო.



***— ფილმი რა ეტაპზეა?***

— მხოლოდ ახლა დავიწყთ მუშაობა. მასალებს ვნახულობთ, ვაგროვებთ, საჭირო მასალები შედის კომპიუტერში, უნდა მოვიძიოთ ყველა საინტერესო მასალა. მეც მაქვს მასალები, ასევე ძალიან კარგი მასალები მომაწოდა თამარ გელოვანმა, ასევე საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ მაყვალა გონაშვილმა. ასევე არიან ადამიანები, ვისაც გამორჩეულად უყვარს მისი პიროვნება და მისი შემოქმედება, ამიტომ ისინიც საკმაოდ აქტიურად გვეხმარებიან.

***— ბატონ ოტიაზე პირველად გიწევთ მუშაობა?***

— არა. ბატონი ოტია გადაღებულიც მყავს ჩემს ფილმში, როგორც არტისტი. როდესაც გადავიღეთ მისი ნოველების მიხედვით „მტრედის მოტანილი ბარათები“, ეს არის ოთხსერიანი სატელევიზიო ფილმი, იქ არის ასეთი ნოველა „ბრძენთაბრძენთან ბრძნული საუბრის ამბავი“, ვინ უნდა გადამეღო ბრძენთაბრძენის როლში? რა თქმა უნდა, გადავიღე თვითონ ოტია იოსელიანი.

სამწუხაროდ, მის გასვენებაში ძალიან ცოტა ხალხი იყო. ოტიას უფრო მეტი ეკადრებოდა, მთავრობა და ოფიციალური პირები, ხომ საერთოდ... ეს რომ არ ვთქვა, არ შეიძლება.

***— ეს იქნება დოკუმენტური ფილმი?***

— დიახ, ეს იქნება სუფთა დოკუმენტური ფილმი. მხატვრულ-დოკუმენტური ფილმი რომ გაკეთდეს, მაშინ ვიღაცამ ოტიას როლი უნდა შეასრულოს და ეს არ მიმაჩნია სწორად. სჯობს რეალურ მასალებზე დაყრდნობით ავაგოთ ფილმი. საბედნიეროდ, არსებობს მისი ჩანაწერები. ინსტიტუტში ხშირად მიმყავდა ბავშვებთან და ვმართავდით შეხვედრებს. ჩემი შვილიც კი ჩამყავდა ოტიასთან სოფელში. ჩემი შვილი უცხოეთში სწავლობს და რომ ჩამოვიდოდა საქართველოში, დავურეკავდი ოტიას და ვეტყოდი, მე და სანდრო მოვდივართ-მეთქი. ჩავდიოდით გვიშტიბში და ღამეები გაგვითენებია იმაზე საუბარსა და ბჭობაში, როგორი უნდა იყოს ქართველი კაცი, როგორი უნდა იყოს თავისი სამშობლოს პატრიოტი, სხვადასხვა თემებზე ვსაუბრობდით ხოლმე. ძალიან ბედნიერი ვარ, რომ მქონდა იმის უფლება, დამერეკა ოტიასთვის და მეკითხა, შეიძლება მე და ჩემი შვილი ჩამოვიდეთო.

***— ფილმს საკუთარი სახსრებით აკეთებთ?***

— არაფერი სახსრები ჯერ არ გვაქვს. ქალბატონმა მაყვალა გონაშვილმა თქვა, რომ კულტურის სამინისტრო რაღაცას გაიღებს. სიმართლე რომ გითხრათ, არ ვიცი რამდენს გაიღებენ და არც დავინტერესებულვარ, რადგან ჩემთვის ბატონი ოტიას ხსოვნა და პიროვნება ჩემთვის იმდენად დიდი და მნიშვნელოვანია, რომ ამას არ დავეძებ. მაქვს ჩემი აპარატურა, ჩემი საშუალებები, სამონტაჟო და იმ საშუალებებით გავაკეთებთ ფილმებს.

***— აპირებთ გააკეთოთ დოკუმენტური ფილმების სერია?***

— მანამდე გაკეთებული მაქვს ფილმი პეტრე ბაგრატიონ გრუზინსკიზე, ახლა დავამთავრე ფილმი თეიმურაზ წიკლაურზე და მას „ალსარება“ ჰქვია.

**გაგრძელება მე-10 გვერდზე**

## ფაჩულიას ჩემპიონთან თამაში არ წაუვიდა




ტრავმებით შეთხელებულმა „მილუოკი ბაქსმა“, რომლის ღირსებასაც საქართველოს ნაკრების კაპიტანი ზაზა ფაჩულია იცავს, ნბა-ს მორიგი მატჩი უშანსოდ წააგო. მილუოკელები შარშანდელ ჩემპიონ „მაიამის“ ესტუმრნენ და მიუხედავად იმისა, რომ 95 ქულა ჩააგდეს, 118 მიიღეს და მატჩი დიდი სხვაობით დათმეს.

ზაზა ფაჩულია სასტარტო ხუთულში იყო. ამიერიდან ქართველი ცენტრი ხშირად იქნება ხუთეულში, რადგან მილუოკელთა ძირითადმა ცენტრმა ლარი სანდერსმა ცერა თითი დაიზიანა და მინიმუმ თვენახევარი მოედანზე ვერ გავა.

ზაზას „მაიამისთან“ მატჩი არ წაუვიდა. 18 წუთში მან 3 ქულა და 5 მოხსნა მიითვალა და მისი მონაგარიც ეს იყო. ფაჩულიამ 4-დან 1 ორქულიანი და 1 საჯარიმო ჩააგდო, ბურთი კი 3-ჯერ დაკარგა.

მილუოკელებმა ვერაფერი მოუხერხეს ლებრონ ჯეიმსს, რომელმაც 29 წუთში 33 ქულა ჩააგდო, ხოლო მაიკლ ბისლიმ — 19-ში 19 მოაგროვა. მილუოკელთაგან 18-18 ქულით საუკეთესოები ჯონ ჰენსონი და დარი ნილი იყვნენ. „ირმებს“ სანდერსთან ერთად ერსან ილიასოვა და ლიუკ რიდნური აკლიათ, რომელთა გამოჯანმრთელებამდე სავარაუდოდ ძალიან გაუჭირდებათ.

2 მოგება-4 მარცხით „მილუოკი“ ცენტრალურ დივიზიონში ბოლო, მე-5 ადგილზეა. მომდევნო შეხვედრას ფაჩულიას გუნდი ფლორიდაში, „ორლანდოსთან“ გამართავს.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

## თამარ გვერდწითელი სამებაში იმღერებს

*ეკა ირემაშვილი*

14 ნოემბერს საქართველოს თავადაზნაურთა საკრებულოსა და ზედგინიძე-ამილახვართა საგვარეულო ფონდის ორგანიზებით საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის დარბაზში ახალი წიგნის „ამილახვრები“ წარდგინება გაიმართება. შეხვედრას მუსიკალურად გააფორმებენ მომღერალი თამარ გვერდწითელი, ნიკო ბაგრატიონის სახელობის სკოლა-ლიცეუმის მგალობელთა გუნდი „სამეფო გვირგვინი“, ფოლკლორული ანსამბლები „სამთავისი“ და „ქართული ხმები“.



წიგნი დაიბეჭდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით. წიგნში შესულია მეფისათვის თავდადებული წმიდა იოთამ ზედგენიძის პარაკლისი და დაუჯდომელი, ასევე ამილახვართა კავშირის ისტორია, წმიდა იოთამ ზედგენიძის ცხოვრების დეტალები, გვარის გამორჩეული წარმომადგენლების — სასულიერო და საერო მოღვაწეთა ცხოვრებანი, თავად ალექსანდრე ამილახვარის ნაშრომი „სიბრძნე აღმოსავლეთისა“.

წიგნის გარეკანზე დატანილია წმიდა იოთამ ზედგენიძის ახალი ხატი, რომლის ავტორია ხატმწერი მერაბ ჩაკვეტაძე. წიგნს ახლავს ისტორიული ფოტომასალა ამილახვართა სახელმწიფო და საოჯახო არქივებიდან.

წიგნის ავტორია ნინო ამილახვარი, რეცენზენტები მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე), მიტროპოლიტი თადეოზი (იორამაშვილი), მიტროპოლიტი შიო (მუჯირი). კონსულტანტები იღუმენია ელისაბედი (ზედგენიძე), ზედგინიძე-ამილახვართა გვარის წინამძღოლი შოთა ზედგენიძე, რედაქტორი ია ბაგრატიონ-მუხრანელი, ისტორიკოსები როინ მეტრეველი და ზურაბ რატიანი.

პარაკლისისა და დაუჯდომელის შემდგენელი თინათინ მჭედლიშვილი და სხვები შეკრებილთ გააცნობენ წიგნის თავისებურებანს, ქართული გვარების უნიკალურ საუნჯეს, ყურადრებას გაამახვილებენ საგანმანათლებლო ტრადიციის გაგრძელების აუცილებლობაზე.

საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის დარბაზში ქეთევან დოლიძემ უკვე წარადგინა თავისი წიგნი „ზეცის სარკეში“ წარდგინება, რომელსაც თან დაერთო შემოქმედებითი საღამო. საღამოს წამყვანად ორგანიზატორებმა ერეკლე საღლიანი შეარჩიეს. ქეთევან დოლიძე პოეტია, ის 6 წიგნის ავტორი და გურამ რჩეულიშვილის საუნივერსიტეტო პრემიის ლაურეატია. ღონისძიებაზე მიწვეული იყვნენ პოეტის მეგობრები, მწერლები და საზოგადო მოღვაწეები.

საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის დარბაზში საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეების, ღვაწლმოსილი ქორეოგრაფების, რეზო ჩხეიძისა და რეზო ბულიას საიუბილეო საღამო შედგა. ღონისძიებას უძღვებოდნენ ერეკლე საღლიანი, რეზო ჭანიშვილი და მანანა უშიკიშვილი. საღამოზე სიტყვით გამოსვლის სურვილი გამოთქვეს ფრიდონ სულაბერიძემ, ომარ მხეიძემ, რეზო ჭოხონელიძემ, თენგიზ უთმელიძემ და სხვა ცნობილმა მოცეკვავეებმა თუ ქორეოგრაფებმა.

ამავე ცენტრში ყოველდღე იმართება შემეცნებითი საუბრები, სადაც დასწრება თავისუფალია. თემაზე „მუსიკის როლი რელიგიურ ცხოვრებაში“ საუბარს წარმართავს ახალქალაქისა და კუმურდოს მიტროპოლიტი ნიკოლოზი (ფაჩუაშვილი) თემაზე „მეფე ერეკლე II“ საუბარს წარმართავს დოქტორანტი საბა სალუაშვილი. წმინდა ასი ათასი მოწამის ხსენების დღის გამო, შემოქმედებითი საღამო არ გაიმართა. რუბრიკაში ქრისტიანული ოჯახი და ბავშვთა აღზრდა თემაზე „ოჯახი და თაობები“. საუბარს წარმართავს წმიდა სამების საკათედრო ტაძრის მღვდელმსახური, დეკანოზი გიორგი წეროძე. 15 ნოემბერს რუბრიკით ღვთისმეტყველება და ფილოსოფია გაიმართება შემეცნებითი საუბარი თემაზე „ადამიანის ქრისტიანულ-ასკეტური განვითარების ფაქტორები“. საუბარს წარმართავს წმიდა იოანე ღვთისმეტყველის ტაძრის მღვდელმსახური დეკანოზი გიორგი სხირტლაძე. ამ კვირის შემეცნებითი საუბრები დასრულდება 17 ნოემბერს თამარ თაგვაძის ფილმით „ლადო ასათიანი“.

ლურჯი წითელი ყვითელი შავი